ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა


8 მაისიდან
„ახალ თაობასთან“
ერთად
მასონები
აფცბ უფპტსსფყ ტპსფლ – !) კფპბ





jhif,fsb7 @! vfbcb7 @)!@ 1119 (5809) afcb5 #) stshb

# ბათუმის ზოგიერთ ქუჩაზე თურქები მღვდლებს არ ატარებენ“

გვ.4



## ჟურნალისტ ბელა მთივლიშვილს პოლიცია სცემა

გვ.4

შსს ცემის ფაქტს უარყოფს



## საქართველოს რკინიგზის“ ყიდვა რუსეთს უნდა

გვ.7

## ქართული ოცნების“ შტაბის უფროსს ახრჩობდნენ

გვ.3



## მამუკა გიორგაძე: დროა, ხელისუფლების გამოწვევა მივიღოთ“

გვ.6



## სააკაშვილი ალიევს დავით გარეჯზე ესაუბრა

გვ.2



## სოსო მანჯავიძე: სკოლის წინ ბავშვების ხვევნა-კოცნამ პოლიციაც აღაშფოთა“

გვ.5



## ხათუნა კალმახელიძე ციხეებში არსებული ადგილების რაოდენობას ბერავს

გვ.3

სასჯელაღსრულების სამინისტრომ პატიმრის გარდაცვალების შესახებ თავად განაცხადა



## ზაზა ხატიაშვილი: ხელისუფლება ადვოკატების ცემაზე გადავიდა“

გვ.5



## ირაკლი სესიაშვილი: სააკაშვილის ბედი უკვე გადაწყვეტილია“

გვ.2



## დავით უსუფაშვილი: საკონსტიტუციო ცვლილებები ქვეყანას ანგრევს

გვ.7

ISSN 1987-9385
9 771987 938006

**2** ირაკლი ალასანია: ვისურვებდით, რომ ჩვენი ოპონენტები სამეგრელოში ვაჟკაცები იყვნენ და ვირთხებივით არ მოიქცნენ“

**3** პარლამენტი ამ კვირაში ე.წ. ანტინარკოტიკულ პაკეტს დაამტკიცებს

**2** უკანონო პატიმრების სოლიდარობის ნიშნად მდუმარე აქცია გაიმართება

**5** პრეზიდენტს შეწყალებისთვის 70-მდე პატიმრის საქმე გადაეგზავნება

# ირაკლი სესიაშვილი: სააკაშვილის ბედი უკვე გადაწყვეტილია“

ნონა ცაბაძე



**ქართული ოცნების პოლიტიკური საბჭოს წევრი, ექსპერტი ირაკლი სესიაშვილი დარწმუნებულია, რომ 27 მაისს აქციაზე 100 ათას კაცზე მეტი მივა. სესიაშვილი ფიქრობს, რომ ქართველი საზოგადოება დღეს ისეა ერთ მუშტად შეკრული, როგორც არასდროს და ამის პირველი დემონსტრირება სწორედ 27 მაისს მოხდება.**

***– ბატონო ირაკლი, დარწმუნებული ხართ, რომ ხალხი გამოვა 27 მაისს დაგეგმილ აქციაზე?***

– იცით, რაც არ უნდა მიკერძოებული ვიყო, ფაქტია, რომ ქვეყანა ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. არის უმუშევრობა, უსამართლობა, ხელისუფლების მხრიდან უყურადღებობა. მხოლოდ საკუთარი კომფორტის მოწყობაზე არიან გადასულნი. ჩვენი მოსახლეობა ყველაფერს კარგად ხედავს და ჩვენზე კარგად იცის, რა განწყობებიცაა ხელისუფლების მიმართ. გეტყვით, რომ ბიძინა ივანიშვილის გამოყენებით, საზოგადოებაში დაკმაყოფილებული იქნა ის ძირითადი მოთხოვნა, რაც იყო ლიდერის არსებობა და ისეთი ლიდერის, რომელიც ღირსეულად გაუძღვებოდა ქართველ ხალხს. ეს ორი ფაქტორი და კიდევ ის მოცემულობა, რომ ჩვენ მართლაც ძალიან ბევრნი ვართ და ამას ყველა ხედავს. 27 მაის, როგორც ჩვენი პოლიტიკური კოალიციის საარჩევნო კამპანიის გახსნის დღე, მე ვფიქრობ, იქნება კარგი საფუძველი იმისა, რომ ყველა ის ადამიანი, ვინც მხოლოდ სამზარეულოებში ფიქრობს ჩვენს მხარდაჭერაზე, 27 მაისს ქუჩაში გამოვა. ხალხი გამოვა ქუჩაში და ამით გამოხატავენ ამ კოალიციისადმი მხარდაჭერას. ასევე ეს იქნება პროტესტი ამ ხელისუფლების მიმართ. დღეს ჩვენთვის მთავარი სამიზნე არ არის ხელისუფლება. ხელისუფლებამ რა დანაშაულიც ჩაიდინა ქვეყნისა და ხალხის წინაშე, ეს ყველასათვის ცნობილია და ამ ყველაფერს სხვანაირი პასუხი უნდა გაეცეს. დღეს ჩვენთვის მთავარი სამიზნე არის ქართველი ხალხი, ჩვენი ქვეყანა. ჩვენ ვიკრიბებით არა ვინმეს წინააღმდეგ, არამედ ვიკრიბებით იმისათვის, რომ მოვახდინოთ ჩვენი ძალების კონსოლიდაცია. მოვახდინოთ იმის დემონსტრირება, რომ ქართველი ხალხი თავისუფლების აღკვეთას არ შეეგუება და ჩვენ ვიბრძვით სიკეთისთვის და თავისუფლებისთვის. ამ საქმეს კი სათავეში უდგას მართლაც ღირსეული ადამიანი.

***– ხელისუფლების მხრიდან საკმაოდ დიდია შანტაჟი, მოსახლეობის დაშინება და როგორ ფიქრობთ, გამოვა ხალხი ქუჩაში?***

– ეს შანტაჟი და დაშინება დღითიდღე კლებულობს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ჩვენ ხალხს არჩევანი არ დაუტოვა ამ ხელისუფლებამ. მართალია ხელისუფლება აქტიურად იყენებს სოდს და კუდს იმისათვის, რომ ხალხი ღიად არ დადგეს ბიძინა ივანიშვილის მხარეზე, მაგრამ ყველა კარგად ხვდება, რომ თუ თითოეულმა ჩვენგანმა არ ვაჩვენეთ ჩვენი ერთიანობა, არ გადავლახეთ შიში და ღიად არ დავაფიქსირეთ ჩვენი მხარდაჭერა ამ კოალიციის მიმართ, არჩევნებში წაგების შემთხვევაში, ყველას სახლებში შემოგვივარდებიან. მე დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი ხალხი ამ ყველაფერს სწორად აანალიზებს. ჯერ იყო, მსხვილ ბიზნესს დაერივნენ, მერე მცირეს, მერე პროფესიული ნიშნით მიდგნენ. რომ აღარავინ დარჩათ, უმუშევრებსაც კი ატერორებენ და მათზეც ახდენენ ზეწოლას. ყველა კარგად ხვდება, რომ ეს ბრძოლა არ არის უბრალოდ პოლიტიკური ბრძოლა, რომლის მიზანიც შეიძლება პოლიტიკური ძალაუფლება იყოს, არამც და არამც. პირველ რიგში ეს არის ბრძოლა ამ დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ, ეს არის ბრძოლა ხალხის გათავისუფლებისთვის. დღეს ჩვენს ქვეყანას აქვს სერიოზული პერსპექტივები განვითარების, რასაც ხელს უშლის ჩვენი ხელისუფლება თავისი უსირცხვილო და უმსგავსო საქციელით.

***– რატომ 27 და არა 26 მაისი, ეს თარიღი ხომ უფრო სიმბოლური იქნებოდა?***

– ჩვენ მოთხოვნა გავაგზავნეთ 26-ზე და 27-ზე. იმის გამო, რომ 26 მაისი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეა. მერიამ განგვიცხადა, რომ დაკავებულია ის ტერიტორიები, სადაც ჩვენ ამ მსვლელობის გამართვას ვაპირებდით, ჩვენ არამც და არამც სურვილი არ გვქონდა, წავსულიყავით კომფრონტაციაზე და სიტუაცია დაგვეძაბა. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ეს არის გამარჯვების დასაწყისი და ეს არის თავისუფლებისათვის და სიკეთისთვის ბრძოლა.

***– ეს იქნება აბსოლუტურად მშვიდი აქცია?***

– აბსოლუტურად. ეს იქნება მსვლელობა, ეს იქნება მშვიდი აქცია, ეს იქნება ძალიან პოზიტიური ემოციების აღმძვრელი ღონისძიება.

***– ჩვენი ხელისუფლება 26 მაისის აღნიშვნას ქუთაისში გეგმავს...***

– ზოგადად ხელისუფლების პიარაქციებს და ყვითელი ავტობუსებით აღლუმს განვიხილავ, როგორც მოსახლეობაზე ძალადობის ელემენტს. ადამიანების გარკვეული ნაწილი შეიძლება თავისი ნებით მიდის, მაგრამ ძალიან დიდი ნაწილი იძულებით მიჰყავთ ასეთ შეხვედრებზე. მათ შორის სკოლის მოსწავლეებს გაკვეთილებს აცდენინებენ, მასწავლებლებს ავალდებულებენ, მუნიციპალიტეტის სამსახურის თანამშრომლებს ავალდებულებენ არა მხოლოდ თვითონ წავიდნენ ასეთ ღონისძიებებზე, არამედ ოჯახის წევრები და მეზობლებიც წაიყვანონ. წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახურიდან გაგდებით ემუქრებიან. ეს არის ტიპური მაგალითი იმისა, თუ როგორ უდგება ხელისუფლება არა მხოლოდ ოპოზიციურ ძალას, ან პროტესტულად განწყობილ მოსახლეობას, არამედ საკუთარ მხარდამჭერებს. ამიტომ მე ასეთ ღონისძიებებში შეკვეთით – მიშა, მიშას ძახილს დადებითად ვერ შევაფასებდი.

ამხელა ძალადობის მიუხედავად, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ქართველი საზოგადოება დღეს არის ყველაზე მეტად ერთ მუშტად შეკრული და ამის პირველი დემონსტრირება მოხდება სწორედ 27 მაისს. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ასი ათასზე მეტი ადამიანი მაინც მოვა ამ აქციაზე.

***– როგორც ექსპერტი, როგორია თქვენი შეფასებები, ამ არჩევნებზე რამდენად დამთავრდება სააკაშვილი და მისი რეჟიმი?***

– სააკაშვილის და მისი ხელისუფლების ბედი უკვე გადაწყვეტილია. გადაწყვეტილია პირველ რიგში მათი ულირსი საქციელის გამო. ასე გადაწყვეტილია იმით, რომ ხელისუფლებაში მოდის ღირსეული ძალა, რომელიც მოემსახურება ხალხს და არა პირიქით, როგორც დღეს არის. ერთადერთი საზრუნავი, რაც არის, არის ის, რომ ჩვენ მოვახდინოთ ქართველი საზოგადოების კონსოლიდაცია და ნაკლები რისკების, ნაკლები საფრთხეების ფარგლებში შევძლოთ ქვეყნის გათავისუფლება ამ პოლიტიკური სენისგან და დავიწყოთ ძალიან მოკლე ვადაში ქვეყნის რეალური მშენებლობა. ამ ქვეყანაში იმაზე ბევრად მეტის გაკეთება შეიძლება, ვიდრე ამაზე ვოცნებობთ.

## სახალხო კრება“ დღეს გაფართოებულ შეხვედრას გამართავს



2011 წლის 21-26 მაისის მოვლენების წლისთავთან დაკავშირებით „სახალხო კრება“ მიმდინარე კვირაში რამდენიმე ღონისძიებას გეგმავს.

როგორც „ნიუსპრესს“ „სახალხო კრების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი ბათიაშვილმა განუცხადა, დღეს 14.00 საათზე სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გაფართოებული შეხვედრა გაიმართება.

„ღონისძიებაზე ექსპერტები, ჟურნალისტები, საზოგადოების ცნობილი თუ უცნობი სახეები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები არიან მოწვეული. ჩვენ გასული წლის 26 მაისის მოვლენებზე ვისაუბრებთ“-აღნიშნა ბათიაშვილმა.

23 მაისს „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს წევრები 2011 წლის 21 მაისს ბათუმში გამართული აქციის წლისთავს აჭარის მოსახლეობასთან ერთად, ამავე ქალაქში აღნიშნავენ.

25 მაისს „სახალხო კრების“ ახალგაზრდული ორგანიზაცია შეხვედრას საქართველოში მოქმედი ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გამართავს.

26 მაისს 12:00 საათზე, წმინდა სამების საკათედრო ტაძარში, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, „სახალხო კრება“ 2011 წლის 26 მაისს დაღუპულთა მოსახსენიებელ პანაშვიდს, ხოლო დაზარალებულთა და დაპატიმრებულთათვის პარაკლისს გადაიხდის.

ნიუსპრესი

## დიმიტრი შაშკინმა ბათუმის მოსახლეობის შეკითხვებს უპასუხა



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი ბათუმის მოსახლეობას შეხვდა და მათ შეკითხვებს უპასუხა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სამინისტროდან აცნობეს, ადგილობრივებს ყველაზე მეტი შეკითხვა მოახლოებულ საატესტატო, ერთიან ეროვნულ და მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებთან დაკავშირებით ჰქონდათ.

დიმიტრი შაშკინმა მათ დეტალურად აუხსნა ყველა სიახლე, რაც 2012 წელს ამ მიმართულებით არის დაგეგმილი. მინისტრმა მოსახლეობას განათლების სისტემაში განხორციელებული და დაგეგმილი პროექტებიც გააცნო და მათ ყველა კითხვას უპასუხა.

დიმიტრი შაშკინი მოსახლეობას პრობლემური საკითების მაქსიმალურად მოკლე დროში მოგვარებასაც დაჰპირდა.

ინტერპრესნიუსი

## ირაკლი ალასანია: ვისურვებდით, რომ ჩვენი ოპონენტები სამეგრელოში ვაჟკაცები იყვნენ და ვირთხებივით არ მოიქცნენ“



„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, ირაკლი ალასანია, კოალიციის ხობის რაიონული შტაბის ხელმძღვანელ მამუკა ქარდავაზე თავდასხმაში პასუხისმგებლობას ხელისუფლების წარმომადგენლებს აკისრებს და მიიჩნევს, რომ მათ მმართველობის შესანარჩუნებლად მხოლოდ ერთადერთი ბერკეტი – ხალხის დაშინება გააჩნიათ.

ალასანიამ დაზარალებული თანაგუნდელი დღეს, საკუთრ სახლში მოინახულა. ოპოზიციონერი ლიდერის განცხადებით, მიუხედავად ზეწოლისა, ხალხი და სამეგრელო არ დაშინდება.

„ვისურვებდით, რომ ჩვენი ოპონენტები სამეგრელოში ვაჟკაცები იყვნენ, ვისთანაც შეხვედრა და ოპონირება შეიძლება, მაგრამ ისინი არიან მხდალი ადამიანები, იქცევიან ვირთხებივით და მე მათ ვპირდები, რომ მათი ადგილი, პოლიტიკურ სანაგვეზეც არ იქნება“, – განაცხადა ალასანიამ.

მისივე თქმით, ეს ადამიანები პასუხს აგებენ საქართველოს დამოუკიდებელი მართლმსაჯულების წინაშე.

„ქართული ოცნების“ ინფორმაციით, კოალიციის ხობის რაიონული შტაბის ხელმძღვანელზე თავდასხმა წუხელ, დაახლოებით 00.45 საათზე მოხდა. მათივე ცნობით, მამუკა ქარდავას, ხობის რაიონის სოფელ ნოჯიხევის სარკინიგზო გადასასვლელთან, 4 დაუდგენელი პირი დაესხა თავს. „თავდამსხმელები მას ავტომანქანაში მაშინ ჩაუხტნენ, როდესაც სარკინიგზო გადასასვლელთან ავტომობილი წინ მდგომი ავტომანქანის გამო გააჩერა. მანქანაში ჩხუბის დროს ავტომობილი მგზავრთა მოსაცდელს შეეჯახა. მამუკა ქარდავას თავდამსხმელებმა ხელკეტებით უმოწყალოდ სცემეს, რის გამოც ის ხობის რაიონულ საავადმყოფოში მოათავსეს“, – ნათქვამია კოალიციის განცხადებაში.

ინტერპრესნიუსი

## სააკაშვილი ალიევს დავით გარეჯზე ესაუბრა



საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აშშ-ში აზერბაიჯანის პრეზიდენტს ილჰამ ალიევს შეხვდა. როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ აღნიშნა, პრეზიდენტების მოლაპარაკების მთავარი თემა დავით გარეჯის სამინასტრო კომპლექსი იყო.

მისივე თქმით, აღნიშნული სამონასტრო კომპლექსის საზღვრებთან დაკავშირებული პრობლემა საბჭოთა დროიდან მოდის, რადგან კომუნისტურმა ხელისუფლებამ ადმინისტრაციული საზღვარი ისე გაატარა, რომ კომპლექსის დაახლოებით, 2% აზერბაიჯანულ მხარეს აღმოჩნდა.

„პრეზიდენტის საქართველოში დაბრუნებისთანავე ჩვენ მოვითხოვთ სასაზღვრო კომისიის შეკრებას, რათა ამ საკითხზე მუშაობა გაორმაგებული ძალისხმევით გავაგრძელოთ“ - განაცხადა ვაშაძემ. ჩიკაგოში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისა და მისი აზერბაიჯანელი კოლეგის შეხვედრაცაა დაგეგმილი. ქართული და აზერბაიჯანული დელეგაციები ჩიკაგოში ნატო-ს სამიტის ფარგლებში იმყოფებიან, რომელიც 20-21 მაისს იმართება.

## უკანონო პატიმრების სოლიდარობის ნიშნად მდუმარე აქცია გაიმართება

საზოგადოებრივი მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ დღეს, თბილისის საქალაქო სამართლოსთან მდუმარე აქციას გამართავს.

როგორც „ნიუსპრესს“ ორგანიზაციიდან აცნობეს, 21 მაისი უკანონო და პოლიტიკური პატიმრების სოლიდარობის დღედ 2009 წელს, ორგანიზაციის ინციატივით გამოცხადდა და უკვე მესამე წელია უფლებადამცველების მიერ აღინიშნება.

„უკანონო პატიმართა სოლიდარობის დღეს საქალაქო სასამართლოსთან აღვნიშნავთ, იქ, სადაც ყველაზე მეტად უნდა იგრძნობოდეს სამართლიანობა და კანონის პატივისცემა“ – აცხადებენ ორგანიზაციაში.

მდუმარე აქციაში მონაწილეობას უფლებადამცველები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე პატიმართა ოჯახის წევრები მიიღებენ.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ქართული ოცნების“ შტაბის უფროსს ახრჩობდნენ

## რა მოხდა ხობში?

შალვა ჯოხაძე

20 მაისს, დაახლოებით 00:45 წუთზე, ხობის რაიონის სოფელ ნოჯიხევის სარკინიგზო გადასასვლეთან 4 დაუდგენელი პირი თავს დაესხა პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ხობის რაიონული შტაბის ხელმძღვანელს მამუკა ქარდავას. თავდამსხმელები მას ავტომანქანაში მაშინ ჩაუხტნენ, როდესაც სარკინიგზო გადასასვლეთან ავტობილი წინ მდგომი ავტომაქნის გამო გააჩერა. მანქანაში ჩხუბის დროს ავტომობილი შეეჯახა მგზავრთა მოსაცდელს. მამუკა ქარდავა თავდამხსმელებმა ხელკეტებით უმოწყალოდ სცემეს, რის გამოც ის ხობის რაიონულ საავადმყოფოში მოათავსეს.

როგორც საინფორმაციო პორტალი პრესაჯი.თივი იუწყება, შეჩერებულ ავტომანქანაში ერთ-ერთმა თავდამსხმელმა შეღწევა მოახერხა და ქარდავას დახრჩობა სცადა. მან კი გაქცევის მიზნით უკუსვლა გადაწყვიტა, თუმცა თავდამსხმელმა საჭის მართვაში ხელი შეუშალა და ავტომანქანა რკინის ბოძს შეეჯახა. დაზიანებული ავტომანქანიდან ქარდავა სამმა თავდამსხმელმა ძალის გამოყენებით გადმოაგდო და რკინის ხელკეტით სცემა, შემდეგ კი, უგონო მდგომარეობაში მყოფი მიატოვა და ხობის მიმართულებით „აუდის“ მარკის ავტომანქანით გაუჩინარდა. ნახევარი საათის შემდეგ მამუკა ქარდავამ ადგომა და საკუთარ მანქანასთან მისვლა მოახერხა, თუმცა პირადი ნივთები გატაცებული დახვდა. თავდამსხმელებს შემთხვევით მხოლოდ მობილური ტელეფონი გადაურჩა. სატელეფონო ზარებით მან მეგობრებისგან დახმარება ითხოვა. პორტალის ცნობით, შემთხვევის ადგილზე მალევე გამოჩნდნენ „ქართული ოცნების“ ხობისა და სენაკის ორგანიზაციების, საზოგადოებრივი მოძრაობა „დაიცავი საქართველოს“ წევრები. ინციდენტიდან ორი საათის შემდეგ ნოჯიხევთან ხობის პოლიციის უფროსი, ლექსო რაფავა, მისი მოადგილეები, დათა ახალაია და ირაკლი ჯობავაც გამოცხადდნენ. ახალაიამ აღნიშნა, რომ ავტოავარიის ფაქტზე დაიწყო გამოძიება. ძალოვანი უწყების ხელმძღვანელებს პრესაჯი.თივისთვის არაფერი უთქვამთ თავდასხმის მიზეზებზე, თავდამსხმელების ვინაობასა და დაშავებულის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

– მიუხედავად იმისა, რომ პოლიციისთვის ცნობილია მომხარდის შესახებ, ამ დრომდე არ მომხდარა მისი დაზარალებულის სტატუსით დაკითხვა.

ხობში კიდევ ერთხელ გამოჩნდა ძალაუფლების დაკარგვით შეშინებული, ხელისუფლებაში მყოფი მაფიოზური კლანის რეალური სახე. მათ ისღა შეუძლიათ, რომ ბნელ ღამეში ქურდულად მიეპარონ ოთხნი და ხელკეტებით სცემონ ერთ ადამიანს. ასეთი ქმედებით მათი არსებობის დასასრული კიდევ უფრო სწრაფად ახლოვდება. ღამღამობით თარეშსაც მალე მოეღება ბოლო და ყველა დამნაშავე – ბრძანების გამცემიც და აღმსრულებელიც კანონის სრული სიმკაცრით აგებს პასუხს ჩადენილ დანაშაულზე. „ქართული ოცნება“ ოქტომბერში გაიმარჯვებს და სამართლიანობას დაუყოვნებლივ აღადგენს, მაგრამ დღეს მოქმედ ხელისუფლებას კიდევ აქვს დრო, გონს მოეგოს და აღასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულება, – აცხადებენ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“.

ივანიშვილის კოალიციის წარმომადგენლები მიმართავენ რამდენიმე დღის წინ შექმნილ უწყებათაშორის კომისიას თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის, დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება მომხდარ დანაშაულზე და მოსთხოვოს სამართალდამცავ ორგანოებს, განახორციელონ ყველა საჭირო ქმედება დამნაშავეების გამოსავლენად.

# პარლამენტი ამ კვირაში ე.წ. ანტინარკოტიკულ პაკეტს დაამტკიცებს

პარლამენტი მომავალ კვირას ე.წ. ანტინარკოტიკულ პაკეტს მესამე მოსმენით დაამტკიცებს.პროექტის ინიციატორი და მომხსენებელი ვიცე-სპიკეტი გიგი წერეთელია, რომელიც ინიციატივის მთავარ ღირსებად მის პრევენციაზე, რეაბილიტაციასა და მკურნალობაზე აქცენტს ასახელებს.

პროექტის დამტკიცების შემდეგ, ნარკომომხმარებლების სარეაბილიტაციო პროგრამები ჩამოყალიბდება, რომლის კოორდინაციასაც სპეციალურად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი განახორციელებს.

გარდა ამისა, პროექტით ნარკოტიკული საშუალებების დოზები გადაიხედება, მათ შორის განისაზღვრება მეტადონისა და ჰეროინისთვის მცირე დოზები. კერძოდ, თუ აქამდე პირს, რომელსაც ამ ნივთიერებების ნებისმიერ რაოდენობას აღმოუჩენდნენ, ფაქტი ნებისმიერ შემთხვევაში დამამძიმებელ გარემოებად ითვლებოდა, ახალი რეგულაციების ამოქმედების შემდეგ კი, მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი დოზები განისაზღვრება და სასჯელებიც შესაბამისი იქნება. „ნაკლები დანაშაული ნაკლებ სასჯელს იმსახურებს“, – აცხადებს გიგი წერეთელი.

მისივე ინფორმაციით, კანონს უკუძალაც ექნება და იმ პირებსაც შეეხება, რომლებიც ნარკოდანაშაულისთვის იხდიან სასჯელს. წერეთელი ვარაუდობს, რომ ახალი კანონის ამოქმედების შემდეგ, სასჯელის გადახედვის კუთხით, სასამართლოს რამდენიმე ასეული საქმის განხილვა მოუწევს.

ინტერპრესნიუსი



# ხათუნა კალმახელიძე ციხეებში არსებული ადგილების რაოდენობას ბერავს

## სასჯელაღსრულების სამინისტრომ პატიმრის გარდაცვალების შესახებ თავად განაცხადა

შალვა ჯოხაძე

**დღეს, 21 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოსთან აქცია გაიმართება. ეს დღე ორგანიზაციამ „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ პატიმართა სოლიდარობის დღედ გამოაცხადა და ამ თარიღს მდუმარე აქციით აღნიშნავს.**

**საზოგადოებრივი მოძრაობა „სოლიდაობა უკანონო პატიმრებს“ სახელით, ეკა ბესელია აცხადებს, რომ აქცია სასამართლოსთან იმ მიზეზით იმართება, რომ იქ ყველაზე უკეთ უნდა იგრძნობოდეს სამართლიანობა.**

**ეკა ბესელია:**

– მესამედ ავღნიშნავთ პატიმართა სოლიდარობის დღეს. სწორედ 3 წლის წინ ,,სოლიდარობა უკანონო პატიმრების“ ინიციატივით გამოცხადდა 21 მაისი პატიმართა სოლიდარობის დღედ. 21 მაისს, 12 საათზე საქალაქო სასამართლოსთან, იქ, სადაც ყველაზე მეტად უნდა იგრძნობოდეს სამართლიანობა და კანონის პატივისცემა, გაიმართება მდუმარე აქცია უკანონო პატიმრების სოლიდარობის ნიშნად. სამოქალაქო საზოგადოება, უფლებადამცველები, პატიმართა ოჯახის წევრები და ყველა, ვისთვისაც სულ ერთი არ არის ადამიანის თავისუფლება, ვალდებულნი ვართ, გამოვუცხადოთ სოლიდარობა უკანონოდ თავისუფლებააღკვეთილ პირებს. თქვენი მონაწილეობა და სოლიდარობა, მნიშვნელოვანი და ღირებულია.

სწორედ უკანონო პატიმრების მომრავლების გამოა, რომ საქართველო ევროპაში I ადგილზეა 100,000 მოსახლეზე პატიმართა რაოდენობის თვალსაზრისით. ლონდონში არსებული ორგანიზაციის, „ინთერნეიშენალ სენთერ ფორ პრიზონ სთადის“ მონაცემებით, 2003 წელს 100,000 მოსახლეზე 148 პატიმრის მაჩვენებლით, საქართველო 59-ე ადგილს იკავებდა 155 სახელმწიფოს შორის. 2012 წლისთვის კი 539 პატიმრით 100,000 მოსახლეზე საქართველო უკვე მე-4 ადგილზეა 216 ქვეყანას შორის. ამ მხრივ, საქართველომ უკვე გაუსწრო მე-6 ადგილზე მყოფ რუსეთს, რომელიც მანამდე მესამე ადგილს იკავებდა.

იგივე მონაცემების მიხედვით, ევროპის მასშტაბით, საქართველო უკვე პირველ ადგილს იკავებს და მან აქაც უკან ჩამოიტოვა რუსეთის ფედერაცია.

– როგორც არსებული მონაცემებიდან ჩანს, ამ მიმართულებით, საქართველოს ხელისუფლებამ ნამდვილად „დაამარცხა“ რუსეთი და წინ გაუსწრო მას. გამოვხატავთ წუხილს, რომ თუ ასე გაგრძელდა, საქართველომ არა მხოლოდ ევროპის, არამედ მსოფლიოს მასშტაბის ანტირეკორდი შეიძლება დაამყაროს.

საინტერესოა, რომ საქართველოში ჩატარებული ყველა ე.წ. დამოუკიდებელი კვლევა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკა ქვეყანაში კრიმინალის შემცირებაზე მიუთითებს. ხელისუფლება ხშირად ცდილობს, საქართველო „ყველაზე უსაფრთხო ქვეყნად“ წარმოაჩინოს. ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი ციფრები კი, ფაქტობრივად, საპირისპიროს ამტკიცებს, – განაცხადეს ადამიანის უფლებათა ცენტრში.

ცენტრი ხელისუფლებას მოუწოდებს, დაიწყოს სისხლის სამართლის პოლიტიკის რეალური ლიბერალიზაცია და უარი თქვას მოჩვენებით, კოსმეტიკურ ცვლილებებზე.

საპატიმროების გადატვირთულობის აღმოსაფხვრელად ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა. შესაბამისად, დღის წესრიგში უნდა მოხვდეს: სასამართლო პრაქტიკაში სასჯელთა შეკრებადობის პრინციპის გაუქმება; საზოგადოებისათვის ნაკლებად საშიში დანაშაულების დეკრიმინალიზაცია და ზოგადად, „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკის შეცვლა ჰუმანური პოლიტიკით; არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიება; პატიმართა რესოციალიზაციის მიზნით, მსჯავრდებულთა დასაქმების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, სასწავლო და სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება; პატიმართა ჯანმრთელობის უფლების დაცვა; არასრულწლოვან პატიმართა მდგომარეობის გაუმჯობესება; საპატიმროებში საზოგადოებრივი მონიტორინგის დაშვება; ევროკავშირის სტანდართებთან შეუსაბამო კანონმდებლობის შეცვლა.

– ამავე დროს, ხელისუფლებას მოვუწოდებთ, პირნათლად შეასრულოს ევროპარლამენტის 2011 წლის 17 ნოემბრის რეზოლუცია, რომელიც შეიცავს ევროპარლამენტის რეკომენდაციებს მინისტრთა კაბინეტის, ევროკომისიისა და ევროკავშირის საგარეო ქმედებების სამსახურის მიმართ ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შეთანხმების თემაზე გასამართი მოლაპარაკებების შესახებ. ამ რეზოლუციით, ევროპარლამენტი „მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, გააუმჯებოსოს არსებული პირობები ციხეებსა და დაკავების ცენტრებში, გააგრძელოს სახალხო დამცველის მხარდაჭერა უფლებადარღვევის ფაქტების მონიტორინგის დროს და გაუადვილოს სამოქალაქო საზოგადოებისა და უფლებდამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ციხეებსა და დაკავების ცენტრებში ადამიანების მონახულება“, – განაცხადეს ადამიანის უფლებათა ცენტრში, თუმცა ეს მოწოდებები რომ არ სრულდება, ყველამ კარგად ვიცით.

აღსანიშნავია, რომ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში, განსაკუთრებით მას მერე, რაც სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიში გამოქვეყნდა, საპატიმროებში არსებული მძიმე ვითარების შესახებ ინფორმაციის ნაკადი არ წყდება. ფაქტობრივად, მივეჩვიეთ, რომ კვირა არ გადის, პატიმრის გარდაცვალების შესახებ არ გავრცელდეს ცნობები.

როგორც წესი, პატიმრების გარდაცვალების შესახებ მედია მათი ახლობლებისა თუ უფლებათა დამცველების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ახმაურებს, სასჯელაღსრულების სამინისტროს მხრიდან რეაქცია კი იგვიანებს-ხოლმე. ეს რეაქცია, ძირითადად, თავის მართლებაა. არის შემთხვევებიც, როდესაც ხათუნა კალამახელიძის უწყება სულაც დუმილს ამჯობინებს. ორიოდ დღის წინ კი სრულიად არასტანდარტული და სასჯელაღსრულების სამინისტროსათვის არც ისე ჩვეული ფაქტი მოხდა. მან თავად გაავრცელა ინფორმაცია პატიმრის გარდაცვალების შესახებ. ალბათ, სამინისტროში თავის მართლების პოზიციაში ყოფნა მობეზრდათ, ან პრესისათვის დასწრება დაისახეს მიზნად.

სამინისტროს ვებგვერდზე განთავსდა განცხადება მსჯავრდებულ რ.ზ-ს გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

– სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოხატავს მსჯავრდებულ რ.ზ-ს გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია მსჯავრდებულის გარდაცვალებასთან დაკავშირებით საზოგადოებას ამცნოს შემდეგი ინფორმაცია:

მსჯავრდებული რ.ზ. 2010 წლის 3 ნოემბერს გასამართლებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ საქართველოს სსკ-ის 19-109-ე მუხლის მესამე ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტით (მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებებში) და სასჯელის სახით განესაღვრა 18 წლით თავისუფლების აღკვეთა.

5 იანვარს რუსთავის №16 თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან, მსჯავრდებული შემდგომი მკურნალობის მიზნით გადაყვანილ იქნა ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში. მსჯავრდებულს, ქრონიკული ავადმყოფობიდან გამომდინარე, დაეწყო ავადმყოფობის ადეკვატური ინტენსიური მკურნალობის კურსი.

სამწუხაროდ, მიმდინარე წლის 18 მაისს დადგა პაციენტის ლეტალური შედეგი.

მსჯავრდებული რ.ზ-ს გარდაცვალებასთან დაკავშირებით, 8 მაისს, ისევე როგორც სისტემაში დაფიქსირებულ ნებისმიერ გარდაცვალების ფაქტზე, მყისიერად დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, – აცხადებენ სამინისტროში.

სამწუხარო ფაქტია, რომ ასეთი სახის ინფორმაცია მართლაც ძალიან ხშირად ვრცელდება და ზაფხულის ცხელი დღეების ძალაში შესვლისთანავე, შარშანდელის მსგავსად, სიკვდილიანობა ციხეში, ალბათ განსაკუთრებული სიმწვავით იჩენს თავს. ციხეებში კვლავ გადატვირთულობაა და პატიმრები უჰაერობისაგან იხოცებიან, მათი დაავადებები ასეთ პირობებში განსაკუთრებით მწვავდება. მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ ციხეში არსებული ადგილების ხელოვნურად გაბერვა დაიწყო და 7 მაისს გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ლიმიტი 1,724 ადგილით გაიზარდა.



– ცვლილების მიხედვით, სასჯელაღსრულების 8 დაწესებულებისთვის განისაზღვრა ახალი, გაზრდილი ლიმიტები, რის შედეგადაც სასჯელაღსრულების დაწესებულებებს ერთობლიობაში მოემატა 1,724 ადგილი და შესაბამისად, საერთო ლიმიტი 25,354 ადგილს შეადგენს.

7 მაისის ბრძანება ერთმნიშვნელოვნად უნდა შეფასდეს, როგორც უკან გადადგმული ნაბიჯი, რადგან უკანასკნელ ხანს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არ განხორციელებულა არანაირი მნიშვნელოვანი და მასშტაბური ინფრასტრუქტურული ცვლილება, რაც განაპირობებდა ლიმიტის გაზრდის მართებულობას. საყურადღებოა, რომ ამჟამინდელი ლიმიტი, რომელიც ნაწილდება 17 დაწესებულებაზე, 704-ით აღემატება ლიმიტს, რომელიც განსაზღვრული იყო 19 დაწესებულებაზე, 2011 წელს გაუქმებული ავჭალის №10 და ხონის №13 დაწესებულებების ჩათვლით, რაც თავისთავად მეტყველებს აღნიშნული ცვლილების უარყოფით ხასიათზე, – აცხადებს სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში.

ტუღუშის ინფორმაციით, განხორციელებული ცვლილებებით გაიზარდა მათ შორის იმ დაწესებულებების ლიმიტებიც, რომლებიც აქამდეც ვერ უზრუნველყოფდა ყველა პატიმარს ინდივიდუალური საწოლით. კერძოდ, საუბარია თბილისის №1 და ზუგდიდის №4 დაწესებულებებზე, რომლებიც სრულად არის ამორტიზებული და გასაუქმებელია და რომელთა ლიკვიდაციაზე სახალხო დამცველმა არაერთი რეკომენდაცია გასცა. იგივე შეეხება №12 დაწესებულებას, სადაც საყოფაცხოვრებო პირობები არასახარბიელოა.

– მეტიც, გაზრდილი ლიმიტების ფარგლებში სასჯელაღსრულების დაწესებულებების უმეტეს ნაწილში პატიმრები საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საცხოვრებელი ფართობითაც ვეღარ ისარგებლებენ, რომელიც სპტ-ის მიერ რეკომენდირებულ ევროპულ სტანდარტზე 4 კვ.მ.-ზე გაცილებით ნაკლებია.

პრაქტიკულად, მინისტრის ბრძანებამ ფორმალურად შენიღბა გადატვირთულობა, რომელიც ბოლო რამდენიმე წელია წარმოადგენს ზოგიერთი დაწესებულების პრობლემას, რაც არაერთხელ იქნა ხაზგასმით აღნიშნული როგორც საქართველოს სახალხო დამცველის, ისე წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (სპტ) ანგარიშებში. მიგვაჩნია, რომ გადატვირთულობასთან ბრძოლა დაწესებულებების ლიმიტების ფორმალური ზრდით დაუშვებელია და ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს პრობლემის მოგვარებას, – განმართავს ტუღუში.

სახალხო დამცველმა არაერთი რეკომენდაციით მიმართა შესაბამის უწყებებს, გადაჭრილიყო სასჯელაღსრულების დაწესებულებების გადატვირთულობის პრობლემა, რომელიც, თავის მხრივ, საგრძნობლად ამძიმებს როგორც პატიმრების ყოველდღიურ ყოფას, ასევე უარყოფითად აისახება მათ ფიზიკურ თუ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. გადატვირთულობასთან ბრძოლისთვის, სახალხო დამცველის აზრით, აუცილებელია კომპლექსური ღონისძიებების გატარება, მათ შორის, სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის გადახედვა, ალტერნატიული სასჯელის ზომების უფრო აქტიური გამოყენება, პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემის ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფა.

# ბათუმის ზოგიერთ ქუჩაზე თურქები მღვდლებს არ ატარებენ“

თეა მარხვაიძე

## ლალი მოროშკინა გამოძიების ჩატარებას ითხოვს

**აჭარის გარშემო არცთუ სახარბიელო ვითარებაა. ოპოზიცია და საზოგადოება ბათუმის გათურქებაზე ჩივის. ხელისუფლება კი ამ თემაზე კომენტარს არ აკეთებს. თუ აკეთებენ, ამბობენ, რომ ეს ყველაფერი მონაჭორია.**

**ყოფილი დეპუტატი ელიზბარ ჯაველიძე კი ამტკიცებს, რომ ბათუმის გამალებულ თურქიზაციას აქვს ადგილი. ის იხსენებს ასლან აბაშიძის დროსაც. მისი თქმით, აბაშიძე ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ აჭარაში თურქებს ფეხი არ შემოედგათ.**

„აქ თუ თურქებმა ფეხი მოიკიდეს, ჩათვალე, რომ მათ აქედან ვერავინ გაყრის, – ამბობდა თურმე აბაშიძე.

მოძრაობა „თეთრების“ ლიდერის თემუ შაშიაშვილის მტკიცებით კი ბათუმში 20 ათასზე მეტი თურქი ჩაეწერა. ხელისუფლება ამ ინფორმაციას არ ადასტურებს, თუმცა იმას ვერ უარყოფს, რომ ქალაქი თურქებით არის სავსე. ბათუმში ხშირად გვხვდება თურქეთის სახელმწიფო დროშები, რომლებიც სხვადასხვა დაწესებულებაზეა გადმოკიდებული.

ჟურნალისტმა ლალი მოროშკინამ კი კიდევ უფრო შემაშფოთებელი ინფორმაცია გაავრცელა. მისი მტკიცებით, ბათუმის ზოგიერთ ქუჩაზე თურქები ქართველ მღვდლებს არ ატარებენ.

ჩვენში რელიგიურ თემას დიდი სიფრთხილით ეკიდებიან. აქამდე შეფარვით მიდიოდა იმაზე საუბარი, რომ აჭარაში ისლამური სასწავლებლები ერთმანეთის მიყოლებით იხსნებოდა. ამ თემაზე ხმამაღლა საუბარი აზიზიეს მეჩეთის წყალობით დაიწყო.

მოგეხსენებათ, რომ ხელისუფლება თანახმაა, ბათუმში ეს მეჩეთი აღმართოს. ამას დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. ამასობაში ცნობილი გახდა, რომ ბათუმის შემოგარენში 10 რელიგიური პანსიონი მოქმედებს, სადაც, სხვა საგნებთან ერთად, ყურანსაც ასწავლიან.

ამ პანსიონებიდან 7 ვაჟთაა, ხოლო 3 – ქალთა. ერთ-ერთი პანსიონი ადლიაშია განთავსებული, სადაც 35, სხვადასხვა ასაკის მოსწავლე სწავლობს და ცხოვრობს. პანსიონის სასწავლო პროგრამაში, ჩვეულებრივ საგნებთან ერთად, რელიგიური, მუსლიმანური თემატიკაც არის. პანსიონში მოქმედებს ჰაფიზობის კურსიც, სადაც მოსწავლეები ყურანს ზეპირად სწავლობენ.

პანსიონი 2006 წელს, საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია „მიზანმა“დააფუძნა. სასწავლებელში, ძირითადად, მაღალმთიანი რეგიონებიდან ჩამოსული მოსწავლეები სწავლობენ. პანსიონი უზრუნველყოფს მათ კვებას და ცხოვრების ხარჯებს. როგორც სასწავლებლის ხელმძღვანელები აცხადებენ, პანსიონში სწავლის სურვილი ბევრს აქვს, თუმცა უადგილობის გამო მოსწავლეებს ვერ იღებენ; „მიზანს“, ძირითადად, თურქეთის მორწმუნე მუსლიმანები აფინანსებენ.

მუსლიმანურ სასწავლებელში ცხოვრება უფასოა, უფასოა კვებაც. როგორც ამბობენ, შემოწირულობის სახით ფულზე მეტი საკვები პროდუქტი შემოდის, ძირითადად, ხორცი.

ამ ტიპის სასწავლებლების ზედამხედველები, ძირითადად, თურქები არიან, ბათუმში კი ხელმძღვანელებად ქართველი მუსლიმანები მუშაობენ. აქ მოსახვედრად რამდენიმე პირობა არსებობს: შემსვლელი უნდა იყოს მორწმუნე და ისლამის კანონებით უნდა ცხოვრობდეს.

ახლა რაც შეეხება ბათუმში შექმნილ ვითარებას. ლალი მოროშკინა ამტკიცებს, რომ ზოგიერთ უბანში ქართველ მღვდლებს გავლის უფლებას არ აძლევენ. ამაში ჟურნალისტი თურქებზე მეტად საქართველოს ხელისუფლებას ადანაშაულებს. ვითარებაში გარკვევის მიზნით კი მონიტორინგის ჯგუფის შექმნას ითხოვს.

ბათუმში თურქული ექსპანსია გაცხოველებით მიმდინარეობს. არის უბნები, სადაც თურქები მართლმადიდებლებს არ უშვებენ და ჯვრის ტარების უფლებას არ აძლევენ. ჟურნალისტი ლალი



მოროშკინა ერთ-ერთ ასეთ ფაქტს ახმაურებს, რომელიც ბათუმის ერთ-ერთ უბანში მოხდა. ამ უბანში ქართველი სასულიერო პირი შესვლას აპირებდა, როცა თურქებმა შეამჩნიეს, არ შეუშვეს და ჯვრის დამალვა მოსთხოვეს.

ლალი მოროშკინა, რომელიც ლექციებს ბათუმის უნივერსიტეტში კითხულობს, თურქული ექსპანსიის შესახებ „პრესაგე.ტვ-სთან“ ღიად საუბრობს. მისთვის გასაკვირი არ იქნებოდა, თურქები ტურისტული მიზნით რომ ჩამოსულიყვნენ აჭარაში, მაგრამ ბათუმის თურქიზაცია ჟურნალისტისთვის დაუშვებელია. მისი თქმით, ბათუმში უკვე აღარ ისმის ქართული სიმღერები. სანაცვლოდ კი თურქულ სიმღერებს ხშირად გაიგონებთ. ასეთივე ვითარებაა ბათუმის ყინულის სასახლეში, რომელსაც ქართულის ნაცვლად, თურქული ჰანგები მოეფინება. არადა, ეს ის ყინულის სასახლეა, რომელიც ჩვენი ხელისუფლების მიერ ზარ-ზეიმით გაიხსნა და, როგორც სახელმწიფო მეურვეობის ქვეშ არსებულ დაწესებულებაში, იმ ენაზე უნდა ისმოდეს სიმღერები, რომელი ენაც საქართველოში ოფიციალურად ითვლება.

უკვე აღარავის უკვირს, რომ ბათუმის ქუჩებს „ამშვენებს“ თურქული, არაბული, ირანული არაფრისმთქმელი სახელები, რაც ადგილობრივებში გაუგებრობას იწვევს. იქაურებმა არ იციან, საიდან მოდის ვინმე ნაჰაინ მუბარაქ ალ ნაჰაიანის, ნურონის, ლაო ჯინ ჯაოს ქუჩების დასახელება. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი ჭავჭავაძის ქუჩისთვის სახელის გადაკეთების შემდეგ იქცა ჩინელი აგრონომის სახელის უკვდავსაყოფ ქუჩად. ასევე, ხშირია აჭარაში უცნობი შეიხების სახელების ქუჩის ტოპონიმებად გამოყენება, რომლებმაც თურმე ვარდების რევოლუციის შემდეგ ინვესტიცია ჩადეს საქართველოში.

ლალი მოროშკინას თქმით, ამ დღეებში აჭარიდან თბილისში სპეციალური დელეგაცია ჩამოვიდა. ეს ადამიანები გამწარებულნი არიან, რადგან ბათუმი კარგავს თავის სახეს. იმის მიუხედავად, რომ ლამაზი სახლები დაიდგა და გარემონტდა, რეალურად ეს არის მუსლიმანური ქალაქი. თუმცა აჭარლები ამ ყველაფერზე ღიად არ საუბრობენ, რადგან პატარ-პატარა ბიზნესები აქვთ, რითიც ისინი სეზონურად თავს ირჩენენ და, რა თქმა უნდა, გარკვეულ მიზეზთა გამო ხმას არ იღებენ.

– ჩვენ ვიცით, ეს რა მიზეზებიცაა, მომენტალურად იქ ან სასტუმროს დაუწვავენ, ან რესტორანს აუფეთქებენ, ან არაფრის გულისთვის დაიჭერენ და ეს ჩვეულებრივი ამბავი გახდა საქართველოში; პირადად მე რეალობის შეულამაზებელ გადმოცემას შევეცადე, რითიც გამოვხატე ძალიან ბევრი ბათუმელის და არა მარტო ბათუმელის სატკივარი; ეს ყველაფერი მთლიანად აჭარას ეხება, – აცხადებს მოროშკინა.

მისი აზრით, ბათუმის გათურქება მარტივად შეიძლება დადასტურდეს. ამისთვის ჟურნალისტებისგან მონიტორინგის ჯგუფი უნდა დაკომპლექტდეს, რომლებიც ჩავლენ და ნახავენ, რა ხდება დღეს ბათუმში, რა ხდება სანაპირო ზოლზე.

– ჩვენ უნდა განვასხვავოთ ტურიზმი და ის ფაქტი, რომ მოქალაქეობას პანტა-პუნტით ვაძლევთ თურქებს, რომლებმაც სრულიად წალეკეს იქაურობა. აი, ეს არის საშიში პროცესი. თორემ, თურქი რომ ჩამოდიოდეს როგორც ტურისტი, ამაში საშიში არაფერი იქნებოდა. აჭარა დაიყო ზონებად, ბათუმი არის თურქების ხელში, ქობულეთი არის სომხების ხელში. ძალიან ბევრმა სომეხმა იყიდა უკვე მიწა და მოქალაქეობას იღებენ ძალიან მარტივად. ასევე, ძალიან ბევრმა თურქმა იყიდა ტერიტორიები, ქუჩები აქვთ ნაყიდი. ალბათ იცით, რომ თურქი სადაც შემოდის, თავისი ინფრასტრუქტურით მოდის. ეს არის თავისი მაღაზიები, სალონები და, როგორც წესი და აუცილებლობა, – საროსკიპოები. ერთ-ერთი ყველაზე დიდი საროსკიპო გონიოს ციხესთან არის გახსნილი და ამის შესახებ ყველამ იცის. საღამოობით ვინც გაივლის, ნახავს, იქ რაც ხდება. ეს არის მთელი ჩვენი ქვეყნის შეურაცხყოფა. ქართველი ასე არასდროს იქცევა არც ერთ ქვეყანაში და ამის უფლებას არავინ მოგცემს. ეს თურქების მიერ გახსნილი საროსკიპოებია და მომუშავე პერსონალად ჩვენებიც ურევიან. თურქების მხრიდან ბათუმის გამიზნული ექსპანსია მიმდინარეობს, – აცხადებს ლალი მოროშკინა.

როგორც უკვე ვთქვით, მოროშკინა მიიჩნევს, რომ თურქები აქ არაფერ შუაში არიან და ეს სახელმწიფოს არასწორი პოლიტიკის შედეგია. თურქები კი ცდილობენ, მიიღონ ის, რაც ძალიან ადვილად ხელმისაწვდომია მათთვის. მაროშკინასთვის გასაგებია, რომ თურქები ვერ იტყვიან უარს ისეთ მშვენიერ მხარეზე, როგორიც აჭარაა.

– რეალურად დიდი პრობლემის წინაშე ვდგავართ. ყოველკვირეული შეხება მაქვს იქაურ სტუდენტებთან და ძალიან გამწარებულები არიან. გარკვეულ ჯგუფს პრეზიდენტთან შეხვედრაც უნდოდა, რომელიც ხშირად ჩადის ბათუმში, მაგრამ ამის საშუალება არ ეძლევათ. ეს არის ტყუილი, რომ პრეზიდენტი სტუდენტებს ხვდება. მას მუდმივად ის ადამიანები ხვდებიან, რომლებიც სპეციალურად არიან შერჩეულები, რომ ვინმეს რამე არ წამოსცდეს... რაზეა საუბარი, როცა მღვდელიც არ გაატარეს ქუჩაზე. რა თქმა უნდა, ანაფორით იყო მღვდელი და ჯვრით, თურქებმა კი მიუთითეს და უთხრეს, რომ, თუ ამ ქუჩაზე გავლა მოუნდება, ყველა ამ ატრიბუტიკის გარეშე შევიდეს. ერთ-ერთი ასეთი ექსტრემისტული ქუჩა გახდა ქუთაისის ქუჩა ძველ ბათუმში და ეს ქუჩა ამ მხრივ ყველაზე მძიმე მდგომარეობაშია, – მიიჩნევს მოროშკინა.

სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა თურქები ჯვართან დაკავშირებით პრეტენზიებს გამოთქვამენ. მოგეხსენებათ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ხშირად გადაადგილდებიან თურქი მძღოლები. მათ გზის მონაკვეთის გავლა უწევთ, სადაც ჯვრებია აღმართული. ჰოდა, ერთხელაც თურქმა მძღოლებმა მოითხოვეს ეს ჯვრები იქნებ აიღოთო. ხელისუფლებამ გადაწყვიტა მძღოლების მოთხოვნა შეესრულებინა. შეუდგნენ კიდევაც მოვალეობის შესრულებას. და ალბათ, აიღებდნენ კიდევაც ჯვრებს, საქმეში რუის-ურბნისის ეპარქიის წარმომადგენლები რომ არ ჩარეულიყვნენ.

ტურისტიც ძალიან კარგია და ინვესტორიც, თუმცა არ შეიძლება მას ყველაფრის უფლება მისცე. იმედი ვიქონიოთ, რომ ხელისუფლება აჭარაში შექმნილ ვითარებას რეალურად შეაფასებს. გააკეთებს განცხადებებს, თუ რა ხდება სინამდვილეში. რაც მალე იზამენ ამას, მით უკეთესი იქნება.

ამასთან, კარგი იქნება, თუ აგვიხსნიან, რატომ მუშაობს ბათუმის აეროპორტი თურქეთის დროით. კარგი იქნება, თუ გაარკვევენ, რატომ ითვლება თურქული ავიაკომპანიისთვის საქართველოში შესრულებული ავიარეისები შიდარეისებად.

მოკლედ, ბევრი რამ არის გასარკვევი. ხელისუფლება ვალდებულია, ყველაფარზე პასუხი გაგვცეს.

# ჟურნალისტ გელა მთივლიშვილს პოლიციამ სცემა

## შსს ცემის ფაქტს უარყოფს

თეა მარხვაიძე

**მცხეთა–მთიანეთის რეგიონი, შეიძლება ჟურნალისტებისთვის ყველაზე საშიშ მხარედ გამოცხადდეს. ჟურნალისტებზე თავდასხმებმა და მათმა შეურაცხყოფებმა აქ მასობრივი სახე მიიღო.**

ცოტა ხნის წინ დუშეთის გამგეობაში ჟურნალისტებს აგინეს და თვალების ამოცლით დაემუქრნენ. გუშინ კი თიანეთში კახეთის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი გელა მთივლიშვილს სცემეს.

სხვათა შორის ის მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრსაც კურირებს. ამ ცენტრის შექმნას დუშეთში მეორედ მოსვლის ეფექტი ჰქონდა. ჟურნალისტებად ადგილობრივები აიყვანეს. თუმცა ადგილობრივი ხელისუფლების ზეწოლის შედეგად მათ სამსახური დატოვეს. პრობლემები შეექმნათ ოფისთან დაკავშირებითაც. მეპატრონემ მათ მალე მოსთხოვა გაქირავებული ფართის დაცლა. გაირკვა, რომ მისი და სამსახურიდან გაათავისუფლეს. ინციდენტები ხშირად ჰქონდათ. პრობლემები არც თავად გელას მოჰკლებია. ერთ-ერთი თანამდებობის პირი მას დამიწებით დაემუქრა. ამაზე საჯარო განცხადებაც გაკეთდა, დამიწების ინიციატორი არავის დაუსჯია.

დამნაშავეები არც გუშინდელი ინციდენტის შემდეგ დაისჯებიან სავარაუდოდ. შსს-ს გაკეთებული განცხადება ამის გარანტიას ნამდვილად იძლევა. სამართალდამცავებს თუ დავუ-



გელა მთივლიშვილი

ჯერებთ მთივლიშვილი თავად შეჭრილა თიანეთის პოლიციის შენობაში. დაახლოებით ისე 19 მაისს, ჩემპიონთა ლიგის ფინალში დიდიე დროგბა რომ შეიჭრა მიუნხენის „ბაიერნის“ საჯარიმოზე.

არასამთავრობოები და მედიასაშუალებები მომხდარის გამოძიებას ითხოვენ. მათ შსს-ს ვერსიის არ სჯერა.

არ სჯერათ თუნდაც იმიტომ. რომ პოლიციის შენობაში შეჭრილი მთივლიშვილი საავადმყოფოში აღმოჩნდა. ის თავს საშინლად გრძნობდა. ჟურნალისტი საკმაოდ სერიოზულად არის ნაცემი.

კახეთის საინფორმაციო ცენტრთან საუბრისას მან განაცხადა, რომ თიანეთის პოლიციაში მასზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა განხორციელდა.

– პოლიციის შენობაში ერთი საათი ვყავდი. წამართვეს კამერა, სადაც ყველაფერი მქონდა გადაღებული და დაფიქსირებული. მეძალადნენ და ისე წამართვეს აპარატურა. ადვოკატთან დალაპარაკების საშუალება არ მომცეს. ერთი-ორი წამომკრეს და მაგინებდნენ. იქვე გავხდი ცუდად. ტუალეტშიც კი არ მიშვებდნენ და ჩემზე განხორციელდა ფსიქოლოგიური ზეწოლა, – თქვა გელა მთივლიშვილმა.

გელა მთივლიშვილთან ერთად თიანეთში იმყოფებოდა „ქართული ოცნების“ წევრი რუსუდან სისაური.

მისი თქმით, 20 მაისს, დაახლოებით 13:00 საათისთვის გელა მთივლიშვილი თიანეთის პოლიციის შენობას იღებდა, როცა პოლიციის შენობიდან უცნობი პირები გამოვიდნენ, მას საბუთების წარდგენა მოსთხოვეს, შემდე კი კამერის წართმევა მოინდომეს. სისაურის თქმით, მთივლიშვილმა აპარატურა არ დაანება და ამის შემდეგ იგი პოლიციის შენობაში შეიყვანეს

ჟურნალისტ ნინო ზურიაშვილის განცხადებით, მთივლიშვილს ყველა მასალა წაუშალეს და შეურაცხყოფა მიაყენეს. ასევე ზურიაშვილის ცნობით, დაკავებული ჟურნალისტი სასწრაფო დამხარების გამოძახებას ითხოვდა, მაგრამ მისი თხოვნა პოლიცელებმა არ დააკმაყოფილეს.

მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსს შოთა უტიაშვილს დაუკავშირდა. მისი განცხადებით, მთივლიშვილი პოლიციას არ დაუკავებია.

– თავად შევარდნილა პოლიციის შენობაში. პოლიცია ეხვეწებოდა დაეტოვებინა შენობა და ის არ გადიოდა.

– როგორ წარმოგიდგენიათ, რაიონში სამუშაოდ წასული ჟურნალისტი დაკავებას რატომ უნდა ითხოვდეს? იქნებ ზუსტად გაგერკვიათ რა მოხდა და მერე მოგეწოდებინათ ინფორმაცია?

– არ ვიცი, არ ვიცი. რაც ვიცი ისაა, რომ ახლა თავისუფალია უკვე და დატოვა პოლიციის შენობა.

მთივლიშვილის დაკავების ფაქტს საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია გამოეხმაურა. ქარტიის განცხადებაში აღნიშნულია, რომ უტიაშვილის განცხადება მინიმუმ უპასუხისმგებლოა.

– საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია მოითხოვს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაუყოვნებლივ გამოიძიოს ქარტიის საბჭოს წევრის, გელა მთივლიშვილის მიმართ თიანეთის პოლიციაში მომხდარი ფაქტი. დღეს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, შოთა უტიაშვილის მიერ გაკეთებული კომენტარი უნდა მივიჩნიოთ სამინისტროს უპასუხისმგებლო დამოკიდებულებად. უკანასკნელ პერიოდში ჟურნალისტების მიმართ მომხდარი ძალადობის ფაქტებზე სამინისტროს უმოქმედობა არის წამახალისებელი ფაქტორი ჟურნალისტების მიმართ ძალადობის განსახორციელებლად, დღეს მომხდარი ფაქტიც ამ უმოქმედობის შედეგია. სწორედ ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ სრულად უნდა აიღოს პასუხისმგებლობა მომხდართან დაკავშირებით, – წერია ქარტიის განცხადებაში.

მთივლიშვილის დაკავებას შეშფოთება მოჰყვა სოციალურ ქსელ ფეისბუკში.

ჟურნალისტი ია ანთაძე აცხადებს, რომ როცა გელა მთივლიშვილს ასეთ გამოცდილ ჟურნალისტს ამას უბედავენ, გაცილებით დაუცველი და სუსტი ჟურანლსიტები ბერად მძიმე მდგომარეობაში არიან.

– გელას რომ ამას გაუბედვენ, სხვას, გაცილებით დაუცველს და სუსტს – რას უზამენ. ძალიან უხეში ფორმით შეიყვანეს და აპარატიდან ყველაფერი წაუშალეს. უტიაშვილის განცხადებები ცეცხლზე ნავთის დასხმის ტოლფასია, – მიიჩნევს ანთაძე.

თიანეთში მომხდარ ინციდენტს გამოეხმაურა „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი ელისო ჩაფიძეც. ჩაფიძე მთივლიშვილის დაკავებას გმობს და მომხდარის გამოძიებას ითხოვს.

თავის მხრივ შინაგან საქმეთა სამინისტრო ჟურნალისტ გელა მთივლიშვილის საკითხზე განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

– 20 მაისს თიანეთის პოლიციის რაიონულ შენობასთან ჟურნალისტი გელა მთივლიშვილი სურათებს უღებდა პოლიციის შენობასა და პოლიციის თანამშრომლებს. პოლიციიელებმა სთხოვეს მას ვინაობის დასახელება, რაზეც გელა მთივლიშვილმა უარი განაცხადა. ვინაობის დადგენის მიზნით იგი შეყვანილ იქნა პოლიციის შენობაში, საიდანაც რამდენიმე წუთში გაათავისუფლეს, მას შემდეგ, რაც დადგენილ იქნა მისი ვინაობა, თუმცა, მან შენობის დატოვებაზე უარი განაცხადა. ამის შემდეგ პოლიციის თანამშრომლებმა გელა მთივლიშვილს იძულების წესით დაატოვებინეს პოლიციის შენობა. ინციდენტის დროს ფიზიკურ დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია. შინაგან საქმეთა სამინისტრო კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ პრესის წარმომადგენლებს სრული უფლება აქვთ სურათები გადაუღონ პოლიციის შენობებს და პოლიციის თანამშრომლებს, თუმცა ვსარგებლობთ შემთხვევით და მოვუწოდებთ მედიის წარმომადგენლებს მეტი კორექტულობისკენ.

# ზაზა ხატიაშვილი: ხელისუფლება ადვოკატების ცემაზე გადავიდა“

**ცოტა ხნის წინ, საქართველოში იმყოფებოდა მსოფლიო ადვოკატთა ასოციაციის საგამოძიებო ჯგუფი, რომელიც საქართველოში ადვოკატთა დევნის ფაქტებს იძიებდა. ისინი შეხვდნენ ხელისუფლების წარმომადგენლებსაც, მათ შორის, იუსტიციის სამინისტროს მესვეურებს. ამ საკითხზე და ადვოკატთა დევნის ახალ ფაქტებზე საუბრობს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი.**

გულიკო ბალაძე

***— ბატონო ზაზა, ცოტა ხნის წინ, თქვენს ასოციაციას სტუმრობდნენ მსოფლიო ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლები. რასთან დაკავშირებით იყვნენ ჩამოსული ისინი, რას იკვლევდნენ?***

— მათი ჩამოსვლა ადვოკატთა ინსტიტუციონალურ დევნას უკავშირდებოდა. მანამდე ევროპის ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიამ, რომელთა წარმომადგენლები საქართველოში სამჯერ იმყოფებოდნენ, ორი დასკვნა დადო. იმ დასკვნებით ადვოკატთა კორპუსის ინსტიტუციონალური დევნა დადასტურდა. დადასტურდა, რომ ადვოკატები შიშის ქვეშ ახორციელებდნენ საადვოკატო პრაქტიკას, რაც უპრეცედენტო იყო. მიუხედავად ამისა, სააკაშვილის რეჟიმმა გააგრძელა ადვოკატთა კორპუსის ინსტიტუციონალური დევნა. შემდეგ ჩამოვიდა ევროპის ადვოკატთა ასოციიაციის სამართლის საბჭო, გახსნა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფისი და, პირველად ადვოკატთა ასოციაციის ისტორიაში, ჩაატარა გასვლითი სხდომა არაევროპულ სახელმწიფოში. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფისში ჩატარდა ევროპის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტისა და სამართლის საბჭოს სხდომა. სააკაშვილის რეჟიმმა რომ დაინახა, სამართლებრივად დავფიქსირდით როგორც ერთ-ერთი ძლიერი სუბიექტი, ახალი სიძლიერით, ყველანაირი ფორმით დაიწყო ზეწოლა ადვოკატთა კორპუსზე.

***— ამ შემთხვევაში ზეწოლა რაში გამოიხატა?***

— როგორც კი წავიდნენ ევროპის ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლები, ხელისუფლებამ გააძლიერა ადვოკატების დევნა. იმ ადვოკატებს, რომლებიც შედიან საპატიმრო დაწესებულებებში, რომ გამოიტანონ ინფორმაცია, პირდაპირ თავს ესხმიან და სცემენ, აყენებენ ფიზიკურ შეურაცხყოფას.

***— ხელისუფლება ადვოკატების მიმართ ფიზიკურ ძალადობაზე გადავიდა?***

— დიახ, ხელისუფლება ადვოკატების მიმართ ფიზიკურ ძალადობაზე გადავიდა. 3 ოქტომბერს ფიზიკური ძალადობა იყო ჯუმბერ მილორავაზე, როდესაც ძალის გამოყენებით წაგლიჯეს მოპოვებული მტკიცებულება. ადვოკატს აიძულეს, მათთვის გადაეცა მოპოვებული მტკიცებულება, რომ პატიმარმა გადაიჭრა ვენები, რადგან ვერ გაუძლო წამებას, რასაც ადგილი ჰქონდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. იგივე მოხდა დიანა მარტიაშვილის, ქეთი ვარდანაშვილისა და ირინა სალინაძის მიმართ. ირინა სალინაძის საქმე ძალიან მნიშვნელოვანია და გამოვყოფ. მსოფლიო ადვოკატთა ასოციაცია ყველაზე მეტად ირინა სალინაძის საქმით დაინტერესდა. ირინა სალინაძე შეხვდა პატიმარს ქსნის დაწესებულებაში, რომელმაც მისცა ჩვენება, როგორ აწამებდნენ იქ პატიმრებს. როცა ადვოკატს გამოჰქონდა ეს ჩვენება, წაართვეს და დაუხიეს. მან შეძლო „მაესტროსთან“ დაკავშირება და „მაესტრომ“ გამოიყვანა ქსნიდან თბილისში. იქიდან დაგვირეკა მე და ქეთი ბექაურს. ქეთი ბექაურმა ირინა სალინაძე წაიყვანა და სამედიცინო ცნობა აიღო, რომ მას აღენიშნებოდა დაზიანება. მე, ადვოკატთა ასოცაციის თავმჯდომარემ მივმართე იუსტიციის მინისტრს და მოვთხოვე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა. ორი კვირის შემდეგ, შედის ირინა სალინაძე და იქივე ქმედება მეორდება.



***— კვლავ საპატიმროში შედის?***

— დიახ. ვინაიდან ადვოკატთა ასოციაციამ მიმართა იუსტიციის სამინისტროს და სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვა, ადვოკატმა იფიქრა, რომ ის დაცული იქნებოდა, მაგრამ პირიქით მოხდა — ირინა სალინაძეს ახლა უკვე გაორმაგებული ძალით გაუსწორდნენ. სამმა მამაკაცმა გადაუგრიხა ხელები და შეაგდო ოთახში (მანამდე პატიმარს უთხრეს, რომ მისი ადვოკატის გაუპატიურება უნდოდათ), გაუხსნეს ხელჩანთა, წაართვეს ჩვენება და გამოაგდეს. მე პირადად ჩემი მანქანით წავიყვანე ირინა სალინაძე სამედიცინო შემოწმების მიზნით, შემოწმდა და დადგინდა, რომ ის დაჟეჟილი იყო.

***— სცემეს?***

— დიახ, სცემეს. იუსტიციის მინისტრს მივმართე, მაგრამ დღემდე პასუხი არ მიმიღია. ამ ფაქტების თაობაზე მივმართე ასევე მსოფლიოს ადვოკატთა ასოციაციას, რომ სააკაშვილის რეჟიმი ანადგურებს დამოუკიდებელ პროფესიას, ადვოკატურას.

***— იუსტიციის მინისტრი პასუხს ალბათ აწი გაგცემს ვირტუალური სამყაროდან.***

— მსოფლიო ადვოკატთა ასოციაციას მივწერე და ვთხოვე, ელემენტარულად, სანამ ვილაცას მოკლავენ, მოგვხედეთ-მეთქი. მსოფლიო ადვოკატთა ასოციაციის შტაბბინა არის ლონდონში, ხოლო პრეზიდენტი

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# სოსო მანჯავიძე: სკოლის წინ გეების ხვევნა-კოცნამ პოლიციაც აღაშფოთა“

## წინააღმდეგობის მოძრაობა აშშ-ს ელჩს რჩევას აძლევს

ქეთი ხომერიკი

**რამდენიმე დღის წინ, თბილისში გამართულ გეიაღლუმს საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა, რომელიც შეხლა-შემოხლით დასრულდა. გაწევ-გამოწევის დროს იქ იმყოფებოდა „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ლიდერი სოსო მანჯავიძე, რომელიც სამართალდამცავებმა დააკავეს. რატომ მოხდა მანჯავიძეს დაკავება და რა იყო დაპირისპირების რეალური მიზეზი? „ახალ თაობას“ „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ლიდერი სოსო მანჯავიძე ესაუბრა.**



**სოსო მანჯავიძე:**

— 51-ე სკოლის წინ გაიმართა ეს აქცია, ანუ თავიდან დაიწყო ასე და იმ დროს ზუსტად, როდესაც ბავშვების დიდი უმრავლესობა გარეთ იყო, ამ ადამიანებმა იქ, ასე ვთქვათ, თავისებური ,,პერფორმანსი“ ჩაატარეს. ამ ადამიანებმა ორი უცხოელი, თუ არ ვცდები, შვედი მოქალაქე ამ საპატიო მისიის შესასრულებლად დააყენეს თვალსაჩინო ადგილას და ისინი 51-ე სკოლის მოსწავლეების დასანახად კოცნიდნენ ერთმანეთს. აი, ეს კადრები დაფიქსირებულია და გავრცელებულია სოციალურ ქსელებში და ყველას შეუძლია ნახოს. ამ დროს, პარალელურად, ისმოდა შეძახილები და მათი თვალსაჩინო მასალა იყო გამოფენილი, კერძოდ, პლაკატები. პლაკატებზე იყო ფერადი, ცისარტყელას ფერებში გამოხატული ყვავილები, ეს იყო ვიზუალური მასალა და ვერბალური კი იყო შემდეგი შინაარსის — შენც გაფერადდი, ფერადი ცხოვრება საამურია და ა.შ.

***— ანუ ამ ადამიანების მხრიდან იყო შემოთავაზებები — მოგვბაძეთ, გახდით, ასე ვთქვათ, ჩვენნაირები — გეები?***

— არა, კი არ სთავაზობდნენ, არამედ მოუწოდებდნენ და წარმოიდგიენთ, მოუწოდებდნენ ბავშვებს. ვიმეორებ, ამ დროს ხდებოდა დემონსტრაცია იმ ორი უცხოელი მამაკაცის ხვევნა-კოცნის. შემდეგ გაოცებული და აღშფოთებული მოქალაქეების შეძახილების ფონზე პირველი სკოლისაკენ გაუყვნენ გზას და მათ გაჰყვა ეს გაოცებული ხალხიც.

***— რა დროსაც ფიზიკურად გაუსწორდნენ მათ, რაც მათი უფლებების დარღვევაა...***

— ჩვენ, მათ რუსთაველის ძეგლთან გადავუკეტეთ გზა, რომ არ წასულიყვნენ პირველი სკოლისაკენ და იგივე არ გაემეორებინათ იქაც. მინდა გითხრათ, რომ საოცრად გულმოცემულები იყვნენ, ისროდნენ ათასგვარ შეურაცხმყოფელ სიტყვებს და ამ დროს ორმხრივი შეურაცხყოფა წავიდა, რადგან ადამიანებს არ უნდათ ასეთი ტიპის მოწოდებების მოსმენა, ასეთი რამის ცქერა, მეორეც, მათ არ სურთ, რომ მათმა ბავშვებმა დაინახონ ეს.

***— თქვენ რას აკეთებდით ამ დროს? ფიზიკურად გაუსწორდით თუ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეთ მათ?***

— მე, მათ მოვუწოდებდი, ეარათ, სადაც უნდოდათ, ვეუბნებოდი, რომ არავინ მათ არ დევნის და ეს მოწოდებების შემცველი ლოზუნგები დაეწყოთ სადმე მყუდრო ადგილას და ისე გაეარათ, ანუ ნუ იწვევდნენ დაპირისპირებას, თუმცა, აი, ამას მოჰყვა საწინააღმდეგო რამ — დაპირისპირება. ისინი სიტყვიერ შეგონებებს არ ექვემდებარებოდნენ, ჰოდა, ერთ-ერთი ახალგაზრდა, რომელიც განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა, მათი ერთ-ერთი მედროშე, შემოიჭრა, ასე ვთქვათ, მოწინააღმდეგის ზურგში, განახორციელა გვერდითი მანევრი და იქნევდა ამ თავის შტანდარტს. ძალიან აღგზნებული იყო და იძულებული გავხდი, გონზე მომეყვანა, შემეჩერებინა, ამიტომ სილა გავარტყი, რის შემდეგაც დაწყნარდა და გაჩერდა. სიტყვიერ ზემოქმედებას არ ექვემდებარებოდა, ამან კი იმოქმედა მასზე და დამშვიდდა. შემდეგ მის მიმართ არავის აგრესია არ განუხორციელებია, ზედმეტი არაფერი უთქვამთ, ანუ მიზეზი ამ დაპირისპირების იყო ღია პროპაგანდა მათი არჩევნის, თანაც ბავშვების წინაშე და არა ის, რომ ვიღაც მათ დასდევდა და ეს ნათლად გამოჩნდა ჩემი ქმედების შემდეგაც.

***— გამოდის, აგრესიას და ხელით შეხებას პირველად თქვენი, იქ მყოფი საზოგადოებისგან და არა მათი მხრიდან ჰქონდა ადგილი....***

— აგრესია რა შუაშია, აგრესიული არის მოწოდება, ახლა, მე, რომ დავწერო — მე შენ მოგკლავ, ან ისეთი ტიპის განცხადება, რაც მიუღებელია, აგრესია უკვე ჩემგან მოდის ავტომატურად, იქიდან გამომდინარე, რომ მე, ამ შინაარსის პლაკატი მიჭირავს. ასე რომ, რა მნიშვნელობა აქვს პირველად ვინ გაიწია, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ამას.

***— როგორ არ აქვს, აგერ, აშშ-ს ელჩმა, ჯონ ბასმა განაცხადა, რომ აღლუმის მონაწილეების უფლებები დაირღვა, არ ეთანხმებით?***

— აშშ-ს ელჩს, ჯონ ბასს ვურჩევდი, ყურადღებით გადახედოს თავის მოღვაწეობას. არანაირად არ ვეთანხმები და მე, მახსოვს, როცა ათასობით ადამიანს სცემეს, ერთი საპროტესტო სიტყვაც კი არ უთქვამს ჯონ ბასს, რატომღაც მას ავიწყდება, რომ საქართველოში ქართველი ხალხის უფლებებია შელახული და მიმდინარეობს სოციალური გენოციდი, ამას ჯონ ბასი ფართოდ დახუჭული თვალებით უცქერს და მხოლოდ უმცირესობების უფლებების დარღვევაზე რეაგირებს გულდათუთქული (ისიც საკითხავია, ირღვევა თუ არა), აი, ამით გამოიწვია ძალიან მძიმე და არასასურველი ანტიამერიკული განწყობილებები საქართველოში და აშშ ხალხის თვალში გაუიგივა ცრუ ინტერპრეტაციის მოვლენებს, უსინდისო ტყუილებსა და სექსუალური უმცირესობების მხარაჭერას. ჯონ ბასის მოღვაწეობა შეიძლება ასე შევაფასოთ, აი, ეს არის მისი მოღვაწეობის შხამიანი ნაყოფი.

***— კი მაგრამ, ჯონ ბასი ხომ თავისი ქვეყნის პოზიციას გამოხატავს?!***

— არანაირად არ გამოხატავს თავისი ქვეყნის პოზიციას, ამ შემთხვევაში, მე, აბსოლუტურად, ვემხრობი, მაგალითად, ობამას მოწინააღმდეგეების პოზიციას, ეს ობამას პოზიციას გამოხატავს ჯონ ბასი. საერთოდაც, ეჭვი მეპარება ის საერთოდ აშშ-ს ინტერესებს განასახიერებდეს იმდენად ღრმა უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვია მან ქართველი საზოგადოების.

***— სხვების მსგავსად თქვენც ფიქრობთ, რომ აღლუმი ხელისუფლებისა და სპეცსამსახურების დაკვეთით გაიმართა?***

— არა, ეს იყო ლოგიკური გაგრძელება ხელისუფლების მიერ წლების განმავლობაში წარმოებული პოლიტიკისა. მათ ეს ქვეყანა თავიანთმა პატრონებმა მისცეს საძარცვავად და გასანადგურებლად. აგერ, სააკაშვილი დადის აქეთ-იქით, რა გააკეთოს, რით გაგვაოცოს, არ იცის, სამაგიეროდ გამოდის ერიკ რუბინი და აცხადებს, რომ საქართველოში დემოკრატიის მშენებლობის ხარვეზების შესახებ სიგნალები ქართველი საზოგადოების მხრიდან გადაჭარბებულია და თითქოს ,,ნაციონალურ მოძრაობას“ მხარს უჭერს 60% , ანუ წინასწარ აანონსებს თავისი ადმინისტრაციის პოზიციას ოქტომბრის არჩევნების შედეგებზე. აი, ეს ვითარებაა. უმცირესობების მსვლელობა, ,,ლგბტ“-სა და ამ არასამთავრობო ორგანიზაციების ასეთი უხვი დაფინანსება იმ ქვეყანში, სადაც მშიერი კვდება ხალხის დიდი ნაწილი და 60% დაუსაქმებელია, იცით, რისთვის ხდება? იმისთვის, რომ შემდეგ გაღიზიანებული ხალხი დაადანაშაულონ ახლა უკვე ჰომოფობიაში.

***— დაბოლოს, დაკავებისას როგორ იქცეოდნენ მერაბიშვილის უწყების თანამშრომლები, ზეწოლა-შეურაცხყოფას ხომ არ ჰქონდა ადგილი?***

— პოლიცია კორექტულად იქცეოდა, მეტიც, ისინიც აღშფოთებულები იყვნენ. პროპაგანდა რომ მიდიოდა ბავშვების წინ რა, მათ არ იცოდნენ ეს? დაირღვა ბავშვების უფლებები, აი, ეს დაწერეთ აუცილებლად, რაც არის აკრძალული მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. და არათუ ეს არის აკრძალული, არამედ, აი, ასეთი დემონსტრაცია და პროპაგანდა ისჯება ყველგან კანონით. აშშ-ში სასმელის დალევა არ შეიძლება ქუჩაში, რათა ბავშვმა არ დაინახოს და არ მიბაძოს, დიახ, ლუდის დალევა არ შეიძლება და ასეთ რაღაცაზე ნებისმიერ ქვეყანაში იქნებოდა უმკაცრესი სასჯელი. სამწუხაროდ, მხოლოდ საქართველოშია გაუკულმართებული ყველაფერი!

# ხვალ მეთორმეტეკლასელებისთვის საატესტატო გამოცდები იწყება

დღეს მეთორმეტეკლასელებისთვის საატესტატო გამოცდები იწყება, რომელიც 30 მაისამდე გაგრძელდება.

გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, წლევანდელი გამოსაშვები გამოცდებისათვის გამოცდების ეროვნულ ცენტრში სპეციალური პროგრამა, შეიქმნა, რომელიც სრულად უზრუნველყოფს ტესტირების დაცულობასა და საიმედოობას, პროგრამა ზღუდავს ყველა სტანდარტულ პროცედურას ტესტირების განმავლობაში.

დღეს, პირველ საგამოცდო დღეს, 09:00 საათზე მეთორმეტეკლასელები ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდას ჩააბარებენ.

საგამოცდო ოთახებში იმუშავებს ვიდეო კამერა და ხმის ჩამწერი აპარატურა. საგამოცდო პროცესში 2000-ზე მეტი მეთვალყურეა ჩართული.

გამოცდების დაწყებამდე ყველა მოსწავლემ საკუთარ სკოლაში მიიღო საგამოცდო ბარათი, რომელზეც მითითებულია რვავე გამოცდაზე გამოცხადების თარიღი და დრო.

მოსწავლე მითითებულ დღეს და საათზე უნდა გამოცხადდეს შესაბამის სკოლაში და გაიაროს რეგისტრაცია.

მან თან უნდა იქონიოს მოსაწვევი, პირადობის მოწმობა და კალამი. დასაშვებია მხოლოდ პირადი ჰიგიენის ნივთებისა და პლასტმასის ბოთლით წყლის შეტანა.

საატესტატო გამოცდების განრიგი ასეთია: 21 მაისი — ქართული ენა და ლიტერატურა, ქართული ენა როგორც მეორე ენა, 22 მაისი — უცხოური ენა, 23 მაისი — ისტორია, 24 მაისი — გეოგრაფია, 25 მაისი — ფიზიკა, 28 მაისი — ქიმია, 29 მაისი — ბიოლოგია, 30 მაისი — მათემატიკა.

**მედიანიუსი**

# პრეზიდენტს შეწყალებისთვის 70-მდე პატიმრის საქმე გადაეგზავნება

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის, შეწყალების კომისიის წევრის ნიკოლოზ რურუას განცხადებით, პრეზიდენტს 26 მაისს დაგეგმილი შეწყალებისთვის 70-მდე პატიმრის საქმე გადაეგზავნება.

ამის შესახებ ნიკოლოზ რურუამ შეწყალების კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

მისი თქმით, დადებითი რეკომენდაცია ძირითადად იმ პატიმრებმა მიიღეს, რომლებიც შედარებით მსუბუქი დანაშაულისთვის, პირველად იხდიან სასჯელს. შეწყალების რეკომენდაციები ვერ მიიღეს იმ პატიმრებმა, რომლებიც სასჯელს მკვლელობის, ყაჩაღობისა თუ გაუპატიურებისთვის იხდიან.

შეწყალების კომისიაში 105 პატიმრის საქმე იყო შესული, მათგან 15 ქალბატონის საქმეა, 4 კი არასრულწლოვნის. 15 ქალბატონიდან შეწყალების კომისიამ დადებითი რეკომენდაცია 5 ქალს მისცა, 4 არასრულწლოვნიდან კი მხოლოდ ერთს.

არასრულწლოვნებიდან სამმა შეწყალების კომისიის დადებითი რეკომენდაცია იმ მიზეზით ვერ მიიღო, რომ ისინი სასჯელს გაუპატიურებისთვის იხდიან.

პრეზიდენტი პატიმრებს 26 მაისისთვის შეიწყალებს.

**მედიანიუსი**

# მამუკა გიორგაძე: დროა, ხელისუფლების გამოწვევა მივიღოთ“

## რატომ აწყობს ხელისუფლებას პროცესების ქუჩაში გადატანა

**ეროვნული მოძრაობის წევრი და „სახალხო პარტიის“ ლიდერი მამუკა გიორგაძე ფიქრობს, რომ ხელისუფლებამ დავით გარეჯი არა მხოლოდ აზერბაიჯანული ხმების სანაცვლოდ დათმო. აქ მნიშვნელოვანი ბიზნესინტერესებია.**

**— დღეს თითოეული ჩვენგანი ქუჩაში უნდა ვიდგეთ და ხელისუფლებას პასუხს ვთხოვდეთ დავით გარეჯთან დაკავშირებით. სხვათა შორის, ტექნოლოგიურადაც, თუ ჩვენ მართლა გვინდა სააკაშვილის ხელისუფლებიდან გაშვება, ელემენტარულად, დღესვე რუსთაველზე უნდა ვიდგეთ, თორემ სამ თვეში რა უნდა შეიცვალოს?! ეს არის საინტერესო, — აცხადებს მამუკა გიორგაძე. მისი თქმით, დღეს რუსთაველზე ათასობით ადამიანი უნდა იდგეს და ხელისუფლებისგან უკან დახევას უნდა მოითხოვდეს.**

**გთავაზოვთ ინტერვიუს „სახალხო პარტიის“ ლიდერ მამუკა გიორგაძესთან.**



შორენა კოწოწაშვილი

*— ბატონო მამუკა, რით ახნიდით იმას, რაც დავით გარეჯთან მიმართებაში ხდება?*

— დავით გარეჯის გარშემო მიმდინარე პროცესები პრაქტიკულად ასახავს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების დამოკიდებულებას საკუთარ ქვეყანასთან. უფრო სწორად, ასახავს იმას, რომ სააკაშვილს ეს ქვეყანა თავის სამშობლოდ, საკუთარ სახელმწიფოდ არ მიაჩნია. კიდევ ერთხელ გამოვლინდა მისი ანტიქართული, ანტიმართლმადიდებლური, შეიძლება ითქვას, ანტისაკაცობრიო ბუნება, რომელიც ასე უდიერად ეპყრობა არა მარტო ისტორიას, ეკლესიას და ქართველ ხალხს, არამედ ცივილიზებულ საზოგადოებაში დამკვიდრებულ წესებს და მექანიზმებს. ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ თავისი მიზნები კიდევ ერთი ნაბიჯით წასწიოს წინ და უპატაკოს ყველას, ვისაც საქართველოს მიმართ თავისი ინტერესები გააჩნია — აქ, ვართ და საქართველოს ჩვენზე უკეთეს დამაქცევარს ვერ ნახავთ. ამიტომ მაქსიმალურად მოგვეხმარეთ, რომ ხელისუფლება შევინარჩუნოთ. ეს არის ამ ხელისუფლების სულიერი წინაპრების — ბოლშევიკების მიერ დაწყებული საქმე და სააკაშვილის გუნდიც ამ საქმის ღირსეული გამგრძელებელია. ამ გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ წარმოაჩინეს თავისანთ თავი. მაგრამ აქ კიდევ დამატებითი პრობლემაა: წარმოჩნდა ქართული პოლიტიკური სპექტრის და საზოგადოების რეალური მდგომარეობა: ხელისუფლებას ოდნავ მაინც რომ ჰქონდეს იმის შიში, რომ ქართველი საზოგადოება ქმედუნარიანია და პოლიტიკური ჯგუფები რეალურ ძალას წარმოადგენს, ამ ნაბიჯს ვერ გადადგამდნენ.

*— ანუ ხელისუფლება სუსტად მიიჩნევს ოპოზიციას და საზოგადოებას და გარეჯის გამო სერიოზულ პროტესტს არ ელის?*

— სამწუხაროდ, არ ელოდება. იმიტომ, რომ ძირითადი პოლიტიკური ჯგუფები, პრაქტიკულად ხელისუფლებისთვის ბრძოლაში არიან ჩართული და მსგავს საკითხებზე ქმედით დონეზე არ რეაგირებენ, თორემ ვერბალურად პროტესტს გამოხატავენ. არ ხდება ხელისუფლებაზე ზეწოლა, მისი იძულება, რომ გადადგას ქართული სახელმწიფოსათვის საჭირო ნაბიჯები. ქართული ოპოზიციური სპექტრი კონკრეტული პრობლემის მოგვარებას შემდგომ ეტაპზე ფიქრობს — ხელისუფლებაში რომ მოვალ, მერე მივხედავო. შე კაი დედმამიშვილო, ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე ყურადღებას დღეს არ ამახვილებ და რომ მოხვალ ხელისუფლებაში, რატომ უნდა დაგიჯერო, რომ ამას გააკეთებ?! თავის თავს რომ შიფრავენ, ამაზეც არ ფიქრობენ. ამიტომაც ბედავს სააკაშვილი ამდენს. კიდევ ერთხელ გამოჩნდა ერთი პოლიტიკური ვითარება საქართველოში, რომ განსაზღვრულ პოლიტიკურ კურსს, არ ცდება ხელისუფლების თუ ოპოზიციის მოქმედებები. ამ კალაპოტში ყველა ერთნაირად იქცევა, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთს პიროვნულად შეიძლება ვერ იტანენ. თორემ, როგორ შეიძლება დღევანდელ პირობებში იგივე ოსმალიზაციის თემა და იგივე აჭარაში აზიზიეს მეჩეთი; როგორ შეიძლება, რომ მამისონის თემა და ხელოვნური იმიგრაციის ხელშეწყობა, რომელიც მიმდინარეობს საქართველოში, არაქართველების ჩამოსასახლებლად ხელოვნური სტიმულირება — ამ საკითხებზე ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევდეთ. დღეს რუსთაველზე ათასობით ადამიანი უნდა იდგეს და ხელისუფლებისგან უკან დახევას უნდა მოითხოვდეს. სამწუხაროდ, მსგავსი რამ არ ხდება. კიდევ ერთხელ სწორედ ეს აძლევს საშუალებას სააკაშვილის რეჟიმს, რომ მსგავსი გადაწყვეტილების რეალიზება გააკეთოს. და დღეს მიმდინარეობს საუბრები იმასთან დაკავშირებით, რომ ხმას არავინ ამოიღებს იმიტომ, რომ 200 000 აზერბაიჯანელი მოქალაქის ხმა არ დაკარგოს და ა.შ. ამ პასიურობით კი შეიძლება ქართველი ამომრჩევლების ხმა დაკარგონ. აქედან გამომდინარე, ქართველებმა დასკვნა უნდა გავაკეთოთ: საქართველოში ყველას ხმებია დაცული, ყველას ინტერესებია გარანტირებული, გარდა ქართველების ინტერესებისა. ამიტომ უნდა გამოვფხიზლდეთ და ქმედითი ნაბიჯები გადავდგათ. როცა ეროვნული პარტიები და ეროვნული პოლიტიკური ძალები მძლავრად იყო წარმოდგენილი ქართულ პოლიტიკაში, კომუნისტებიც კი ვერ ბედავდნენ მსგავსი გადაწყვეტილებების განხორციელებას. საბჭოთა კავშირმა დაიხია უკან გარეჯის თემასთან დაკავშირებით იმიტომ, რომ ქართველი საზოგადოება იყო მაშინ შეკავშირებული დავით გარეჯის თემის გამო. ხოლო დღეს მათ იციან, რომ ქართველი საზოგადოება არის დაძაბუნებული და ამიტომ ბედავენ მსგავსი გადაწყვეტილებების განხორციელებას. თანაც ამას ცინიკურად აცხადებენ. მთელი უბედურება ესაა. გვეუბნებიან, რომ მოლაპარაკებები მიმდინარეობს, მაგრამ ეს საკითხი უკვე გარკვეულია. თან დაგვცინიან: დავეთანხმოთ ჩვენ ამ გადაწყვეტილებას და გავაგრძელოთ მოლაპარაკებები. ამაზე თუ დავეთანხმეთ, მოლაპარაკებები რაღაზე გავაგრძელოთ. დანარჩენი არის ბელეტრისტიკა; უბრალოდ, მოსახლეობის თვალის ასახვევად გაკეთებული — 1921 წლის ხელშეკრულება, 1929 წლის თუ 1994 წლის ხელშეკრულებები. ეს სერიოზული განხილვისთვის საინტერესოც კი არ არის.

*— თქვენი აზრით, რატომ არ არის გარეჯის საკითხზე დღეს სათანადო პროტესტი საზოგადოების მხრიდან გამოხატული?*

— ეროვნული მოძრაობის დროს ყველა პრობლემა საკმაოდ გულთან იყო მიტანილი და არ არსებობდა პრობლემა იმასთან დაკავშირებით, რომ ჯერ კომუნისტები გავაგდოთ და მერე მივხედოთ გარეჯს. რაც ფუჭდება დღეს, უნდა მივხედით დღეს. ხვალ უკვე გვიან იქნება. სწორედ ამიტომაც იყო ეროვნული მოძრაობა წარმატებული. მაშინ ხალხს სტკიოდა საქართველო, უყვარდა და საქართველოსთვის თავგანწირვა შეეძლო. დღეს, სამწუხაროდ, პოლიტიკური ბრძოლა მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლებისთვის ბრძოლაში გადაიზარდა. აქედან გამომდინარე, აქტიური პროტესტიც აღარ არის. ხელისუფლება არჩევნების წინ ასეთ არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმას როგორ გაბედავდა, ხალხის პროტესტის შიში რომ ჰქონდეს?!

*— ფიქრობთ, რომ სააკაშვილმა აზერბაიჯანული ხმების სანაცვლოდ დათმო დავით გარეჯის ტერიტორია?*

— არა მარტო ხმების სანაცვლოდ, ფულის სანაცვლოდ, გარკვეულწილად ბიზნესინტერესების სანაცვლოდ და ა.შ. ჩვენ ამ ეტაპზე აზერბაიჯანულ მხარესთან პრეტენზია არც უნდა გვქონდეს იმიტომ, რომ საკუთარი ხელისუფლებისთვის ვერ მოგვივილია. ჩვენმა ხელისუფლებამ მისცა თანხმობა, რომ აზერბაიჯანელი მესაზღვრეები გადმოსულიყვნენ აქეთ. ჯერ ჩვენ ხელისუფლებასთან უნდა გავარკვიოთ საქმე და შესაბამისად, აზერბაიჯანის ხელისუფლებას უნდა დავანახვოთ, რომ ჩვენ შეგვწევს იმის უნარი, რომ საქართველოს ვუპატრონოთ და ელემენტარულად აზერბაიჯანის მხარე დაფიქრდეს, უღირს თუ არა ეს ერთჯერადი ფინანსური გარიგებები და მსგავსი გადაწყვეტილებები, მომავალში ქართველ ხალხთან მეგობრულ და ახლო ურთიერთობად.

*— თქვენი ივანიშვილის ერთი განცხადებაა — არა ქუჩის აქციები, იმის მიზეზი, რომ დავით გარეჯის გამო საპროტესტო აქცია არ დიანიშნა?*

— რა შუაშია ივანიშვილი? ერთ ადამიანს არ უნდა აკიდო პასუხისმგებლობა. დანარჩენები როგორ ვიქცევით და რას ვაკეთებთ? ამაზეა საუბარი. რატომღაც პოლიტიკურმა სპექტრმა ჩათვალა, რომ გარანტირებულია მათი მდგომარეობა დღეს ქართულ პოლიტიკურ სივრცეში და მშვიდად აგრძელებენ ცხოვრებას. დღეს სიმშვიდის დრო არ არის. დღეს ძალიან აქტიურად უნდა გავმოვთქვათ პროტესტი და ყველა უნდა დავირაზმოთ გარეჯის პრობლემის მოსაგვარებლად. ამ საკითხში აისახება ჩვენი სულიერი და პოლიტიკური მდგომარეობაც და ღირსებაც.

*— ნინო კალანდაძემ საკუთარი პოზიციიდან გამომდინარე ჩათვალა, რომ დავით გარეჯის ტერიტორია აზერბაიჯანული მხარის კუთვნილებაა და აქ სადავო არაფერია?*

— იმიტომ ჩათვალა, რომ გარიგება უკვე შემდგარია. შესაბამისად, მოგვცეს ინფორმაცია, თავს ტყუილად ნუ იკლავთ ამისთვის. ეს არის ცინიზმი და ამ ხელისუფლების შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება. უკვე მიღებულ გადაწყვეტილებას გვაცნობენ და თან გეუბნებიან, ამას შეეგუეთო. ისევე, როგორც შევეგუეთ აზიზიეს მეჩეთის თემას და სხვა საკითხებს.

*— რატომ წამოსწია ხელისუფლებამ არჩევნების წინ ასეთი მწვავე პრობლემა?*

— პირველი და მთავარი: საქართველოს ბედი წყდება საქართველოს ფარგლებს გარეთ და სააკაშვილის ხელისუფლება თვლის, რომ მთავარია ქვეყნის გარედან იყოს მხარდაჭერა და ქართველ ხალხს რასაც უნდა, იმას უზამს. შესაბამისად, ის გარესამყაროს უმტკიცებს, რომ მასზე უკეთესად საქართველოს ვერავინ დაანგრევს. აქედან გამომდინარე მრავალი მოიძებნება, ვისაც სურს საქართველოს დანგრევა და სააკაშვილის რეჟიმის მხარდაჭერა. ეს ერთი მიმართულება; და მეორე: როგორც ჩანს, სააკაშვილს აქვს გარკვეული გარანტია, რომ ამ პროცესებს არ მოჰყვება არანაირი რეაგირება. ელემენტარულად, მრავალ პოლიტიკურ სუბიექტთან „სახალხო პარტიას“ ჰქონდა მოლაპარაკება, რომ იგივე აზიზიეს მეჩეთის თემასთან დაკავშირებით, მძლავრი საპროტესტო მანიფესტაცია თბილისში გამართულიყო. სამწუხაროდ, ვერ მივაღწიეთ იმას, რომ მძლავრი აქცია გაგვემართა თბილისში. სამწუხაროდ, „სახალხო პარტიის“ ძალები დამოუკიდებლად დღეს იმ კონდიციაში არ არის, რომ დამოუკიდებლად შევძლოთ ამ პრობლემის მოგვარება. როცა საკმარისი რესურსი გვქონდა, დამოუკიდებლად ვაგვარებდით ამ პრობლემებს. ვისაც მიაჩნია, რომ ის ძლიერი პოლიტიკური სუბიექტი და ამ ხელისუფლების რეალური ალტერნატივაა, მათი მხრიდან პასიურობა პრაქტიკულად არის მინიშნება იქითკენ, რომ ისინი დიდად არ განსხვავდებიან დღევანდელი ხელისუფლებისაგან. თუ შეგიძლია სააკაშვილს დღეს ხელი აალებინო გარეჯის გასხვისებაზე და ამას არ აკეთებ, მაშინ რატომ ხარ სააკაშვილზე უკეთესი? ან რა დროს არჩევნების თემატიკაა? ანდა, ბატონო, დაიცავი საქართველოს ინტერესი და არჩევნებზე ისედაც დაგიჭერთ მხარს. რადგან მხოლოდ არჩევნებზე ხდება აპელირება და არჩევნების დროს ხელისუფლების შეცვლის მხარდაჭერაზე, ვიმეორებ, ეს აშკარად ნიშნავს, რომ დიდი განსხვავება ხელისუფლებასა და ოპოზიციის ფართო სპექტრს შორის არ არის.

*— დაბოლოს, არ ფიქრობთ, რომ ეს ხელისუფლების მხრიდან სერიოზული გამოწვევაა? არაერთხელ ითქვა, რომ სააკაშვილს პოლიტიკური პროცესის ქუჩაში გადატანა აწყობს.*

— ჰოდა, მივიღოთ ეს გამოწვევა. თუ მსგავს საკითხზე გამოწვევას გვიკეთებს, ჩვენ უნდა მივიღოთ ეს გამოწვევა. უნდა მივიღოთ პირველ რიგში, იქედან გამომდინარე, რომ ჩვენ მართლები ვართ; მეორე — ჩვენ ჩვენსას ვიცავთ. როგორც ჩვენ სულიერ აკვანს, ისე ქართველთა სისხლით გაპოხილ მიწას. როდესაც ასეთი უპირატესობა გვაქვს, ბუნებრივია, ეს გამოწვევა უნდა მივიღოთ. ჩვენ ეს თემატიკა აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ და რეალურ ქმედებებში გადავიტანოთ, რეალური ზეწოლის მექანიზმის ამუშავებაზე.

# ზაზა ხატიაშვილი: ხელისუფლება ადვოკატების ცემაზე გადავიდა“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

გახლავთ იაპონელი აკირა კელამურა. გასული წლის მაისში ვარშავაში საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია მსოფლიო ადვოკატთა ასოციაციაში გავაწევრიანე. როცა სააკაშვილი აქ ხალხს სცემდა, მე იქ ვიყავი. ასევე სკანდალური ფაქტი იყო ტარიელ მურვანიშვილის პატიმრობა. ამაზე ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისიამ, რომელიც შექმნილია ადვოკატთა ასოციაციაში, დადო დასკვნა, რომ ეს არის ინსტიტუციონალური დევნის შედეგი, მართლა უპრეცედენტო ფაქტი. ახლა კი ყველაზე მთავარი — ლალი ჯიმშერაშვილის საქმე, რომელსაც აიძულებდნენ, ზაზა ხატიაშვილის წინააღმდეგ ჩვენება მიეცა, რომ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე დაეჭირათ. ლალი ჯიმშერაშვილმა უთხრა, ოღონდ გამიშვით და ზაზა ხატიაშვილსა და სხვა ადვოკატებზე ინფორმაციას მოგცემთო. როგორც კი გამოუშვეს, აიღო ბილეთი, გადაფრინდა ერთ-ერთ ქვეყანაში, შემდეგ ავტომობილის საბარგულში ჩაჯდა, ჩავიდა ბრიუსელში და ჩაბარდა, როგორც ლტოლვილი. მან გაახმაურა ყველა მასალა, რაც კი ჰქონდა მოპოვებული. ადვოკატთა ინსტიტუციონალურ დევნაზე. ექვსთვიანი მიმოწერის შედეგად, მსოფლიო ადვოკატთა ასოციაციიდან ჩამოვიდა 5-კაციანი საგამოძიებო ჯგუფი. ისინი შეხვდნენ ირინა სალინაძეს, ტარიელ მურვანიშვილის ადვოკატებს, ჯუმბერ მილორავას, ვალერიან ტაბაღუას და ყველა იმ ადვოკატს, რომელიც ხელისუფლების მხრიდა იდევნებოდა. ვლადიმერ ტაბაღუას, 70 წლის ადამიანს, რომელსაც ისე მოექცნენ, როგორც ირინა სალინაძეს. მას მოჰქონდა ინფორმაცია, წაართვეს და იჭერდნენ. ვლადიმერ ტაბაღუას საქმე იმ კუთხითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ევროპის ადვოკატთა ასოციაციისა და სამართლის საბჭოს პრეზიდენტმა ხოსე მარია ტაო ფერნანდესმა მიხეილ სააკაშვილს მისწერა წერილი, რომ ეს საქმე გამოეძიებინა. ხელისუფლებამ ეს ფაქტი იცით, როგორ გამოიძია? 2 თვის შემდეგ იგივე პატიმარს სცემეს. შემდეგ შედის საპატიმროში ვლადიმერ ტაბაღუა, რომელსაც გამოსვლისას მოპოვებული მტკიცებულება წაართვეს, აკავებდნენ, გელა ნიკოლაიშვილი რომ არ შესწრებოდა და არ მიხმარებოდა. ასეთი რეაქცია მოახდინა „დემოკრატიის შუქურამ“ ვლადიმერ ტაბაღუას ფაქტზე. ყველა ეს ფაქტი გამოსაძიებელია. შემდეგი იყო მარიანა იველაშვილი.

*— მსოფლიო ადვოკატთა ასოციაციის საგამოძიებო ჯგუფი ხელისუფლების წარმომადგენლებს არ შეხვედრია? რა პასუხები გასცეს?*

— უთხრეს, რომ ზაზა ხატიაშვილი პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებს.

*— არ უთხრეს, კონკრეტულად, რომელი განცხადება იყო პოლიტიკური?*

— მე რომ მოვითხოვე პერსონა ნონ გრატად გამოეცხადებინათ და ევროპის ტერიტორიაზე არ შეეშვათ სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი, კუბლაშვილი და კალმახელიძე, ადვოკატების დევნის გამო, ეს ჩათვალეს პოლიტიკურ განცხადებად. მსოფლიო ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლებს ვუპასუხე, რომ ლუკაშენკო არის პერსონა ნონ გრატად გამოცხადებული. დღეს ლუკაშენკოს დაპატიმრებული ჰყავს 4 ადვოკატი. სააკაშვილმა, რომელსაც „დემოკრატიის შუქურას“ ეძახიან, 150 ადვოკატი გაასამართლა და დევნის. არის თუ არა ეს სახელმწიფო პოლიტიკა? სახელმწიფო პოლიტიკაა ადვოკატების დევნა. სახელმწიფო პოლიტიკაა ადვოკატის ინსტიტუტის დაკნინება. ადვოკატთა შევიწროვების ფაქტები. ადვოკატთა შევიწროვების ორი ახალი ფაქტი მოხდა კიდევ. ირინა სალინაძეს, საერთოდ, აღარ უშვებენ ციხეში. თუმცა, ძლიერი პიროვნებაა და მაინც იბრძვის. მსოფლიო ადვოკატთლა ასოციაციის წარმომადგენლებს ვუთხარი, რომ ირინა სალინაძეზე გადაიღეს ფილმი, გავიდა ტელეკომპანია „მაესტროზე“, ყველა ადვოკატმა ნახა. ირინა სალინაძის ფაქტზე რომ არავინაა დასჯილი, არავინ რეაგირებს, სხვა ადვოკატი შიშით საპატიმროში შევა და იგივეს გააკეთებს? ეს არ არის სახელმწიფო პოლიტიკა? მე, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ამაზე გავჩუმდები? ასეთი კითხვა დავუსვი მათ.

*— რა გიპასუხეს?*

— არაფერი. ისეთი ხალხია, რომელიც თავიდანვე არ რეაგირებს, ჯერ უნდა წავიდნენ, შეაჯამონ და შემდეგ დადონ დასკვნა. მე ვთხოვე ჩამოსულიყვნენ და შეესწავლათ მდგომარეობა. ისინი ყველა მხარეს შეხვდნენ და დასკვნასაც დადებენ. ევროპის ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიამ შეისწავლა სიტუაცია და დაწერა დასკვნა, რომელსაც ყველაზე კარგ სიზმარშიც ვერ წარმოვიდგენდი. შემდეგ თომას ჰამერბერგმა დაწერა დასკვნა. მსოფლიო ადვოკატთა ასოციაციის საგამოძიებო ჯგუფიც ალბათ მალე წარმოადგენს დასკვნას და მათ შეფასებებსაც გავეცნობით. გარდა იმისა, რაზეც მე გესაუბრე, ადვოკატთა დევნის სხვა ფაქტებიც არის, რომელზეც მოგაწვდით ინფორმაციას.

## 27 მაისს დაგეგმილ აქციაზე მისვლას გამოკითხულთა 47,5% გეგმავს

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, 27 მაისს კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ დაანონსებულ აქციაზე მისვლას გამოკითხულთა 47,5% გეგმავს.

კითხვაზე — „მიდიხართ თუ არა 27 მაისს დაანონსებულ საპროტესტო აქციაზე,“ გამოკითხულთა 47,5%-მა დადებითი პასუხი გასცა, 45,9 პროცენტმა კი — უარყოფითი.

აქციაზე წასვლის შესახებ გადაწყვეტილება ჯერჯერობით გამოკითხულთა 6,6%-ს არ აქვს მიღებული.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ გამოკითხვის შემდეგი კვირის კითხვა იქნება — „მიგაჩნიათ თუ არა, რომ არსებული ხელისუფლების შეცვლა მხოლოდ არჩევნების გზითაა შესაძლებელი?“

ნიუსპრესი

## იტალიაში განმეორებითი მიწისძვრა მოხდა

იტალიის ჩრდილოეთ ნაწილში 5.1 მაგნიტუდის განმეორებითი მიწისძვრა დაფიქსირდა. ნგრევა განმეორებით მიწისქვეშა ბიძგებსაც მოჰყვა. უცხოური მედიის ცნობით, დღეს გამთენიისას ძლიერი მიწისძვრა ქალაქ ბოლონიის ჩრდილოეთით მოხდა. შემთხვევის შედეგად 4 ადამიანი დაიღუპა და 100-მდე დაშავდა. ამასთანავე, 3 000-მდე ადამიანია ევაკუირებული მიწისძვრის ზონის მახლობლად მდებარე ქალაქებიდან.

ნიუსპრესი

# საქართველოს რკინიგზის“ ყიდვა რუსეთს უნდა

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ექსპერტთან კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძესთან

***— ბატონო მამუკა, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებით საკმაოდ დიდი აჟიოტაჟია ატეხილი, მოვისმინე შეფასებები, რომ ხელისუფლება შეგნებულად მიდის ამაზე, ახალი პროვოკაციები და საზოგადოების ყურადღების სხვა თემაზე გადატანა სურსო...***

— გეთანხმებით, რომ არც უმაგისობაა. გარკვეულ ძალებს მართლა უნდათ, რომ გარკვეული ტესტირება ჩაუტარონ ქართველ საზოგადოებას და ის აპრობირებული მეთოდი გამოიყენონ, რომელიც იყო 90-იანი წლების დასაწყისში, როცა ხდებოდა დაპირისპირება ამა თუ იმ მიზეზის გამო. ყოველ შემთხვევაში, ასეთი სუნი უდის. ასეთი ტიპის სიმბოლოები, როგორიც არის გარეჯის სამონასტრო კომპლექსი და ზოგიერთი სხვა. ეს არ არის მხოლოდ საკულტო ნაგებობა, ეს არის ეროვნული სიამაყე და ღირსების სიმბოლო. აქედან გამომდინარე განსაკუთრებით მწვავედ განიცდის ქართველი ხალხი ამის ხელშეხებას. ამას იმიტომ ვამბობ, რომ 30 მაისს არის დავით გარეჯელის ხსენების დღე, მის წინ მოხდა ეს ყველაფერი და 6 მაისს დაიწყო. რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს ყველაფერი შეგნებულად იყო გააზრებული, რომ ამ ყველაფრის პიკს მიეღწია 30 მაისისთვის. დაპირისპირება მომხდარიყო



თუნდაც საყოფაცხოვრებო დონეზე ქართველების და აზერბაიჯანელების. ზოგიერთი ნიკს ამოფარებული პროვოკატორის აქტიურობა ამ კუთხით კარგად ჩანდა, იგივე სოციალურ ქსელებში. მე ცალსახად ვამბობ და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ მთავარი დამნაშავე ამაში არის საქართველოს ხელისუფლება, როგორც დღევანდელი, ისე მისი წინამორბედი და არა აზერბაიჯანული მხარე. აზერბაიჯანულ მხარეს აქვს თავისი დანაშაული, გასაკიცხია, რასაკვირველია, მაგრამ თუ საპირწონეზე დავდებთ, ვინ მეტი დამნაშავეა, რასაკვირველია, ქართული მხარე. ქართული ხელისუფლების ამოცანაა საქართველოს ტერიტორიაზე ზრუნვა, საზღვრებზე ზრუნვა და სხვა ამდაგვარი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხები. ქართული ანდაზაა — გამდის და ვტირიო, აზერბაიჯანული მხარის მისამართით შეიძლება ამის თქმა, ასევე — უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო და რომელი ერთი... ეს იმიტომ ხდება, რომ ყველანი იცავენ თავიანთ ინტერესებს, ჩვენ კი ვერ ვახერხებთ ჩვენი ინტერესების დაცვას სრულფასოვნად, ისე, როგორც ამას მოითხოვს ხელისუფლებისაგან საზოგადოება.

***— საქართველოს ოფიციალური მხრიდან საკმაოდ გამაღიზიანებელი განცხადებები გაკეთდა, შემდეგ კი სცადეს ამის გამოსწორება...***

— ამ განცხადებებს ორი ნიშანი ჰქონდა, ერთი იყო ის, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ჩინოვნიკებმა არ იცოდნენ, არ ჰქონდათ ზუსტი ინსტრუქცია, რა უნდა ეთქვათ. მეორეს მხრივ, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ საზოგადოების ქვეცნობიერებაში ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს უნდოდა ჩაებეჭდა, რომ დავით გარეჯი არ არის საქართველოს ტერიტორია. ასევე აფხაზეთი არ არის საქართველოს ტერიტორია. ცდილობენ, რომ აი, ასეთი ტიპის მოცემულობები ჩაბეჭდილიყო ჩვენი მოსახლეობის თავში. საქმე ისაა, რომ სადავო ტერიტორიაა, ამას არავინ უარყოფს. მე არ ვარ იმათ რიგში, რომელიც დაიწყებს, რომ გადაწყვეტილად ეს საქართველოს ტერიტორიაა და დამთავრდა. სამწუხაროდ, ზოგიერთ ადმინისტრაციულ რუკაზე მართლა არის ეს მონაკვეთი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. მაგრამ ვიმეორებ, რომ არც ერთი საერთაშორისო, თუ საბჭოთა დოკუმენტებით ეს არ დასტურდება.

***— არსებობს რუკები, სადაც ჩანს, რომ ეს ტერიტორია საქართველოს ეკუთვნის...***

— არსებობს, როგორ არ არსებობს. უამრავი რუკა არსებობს, რომელშიც ჩვენს საზღვარზეა, ზოგან კვეთს. მე სხვა რამეს ვგულისხმობ და ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ნიუანსი. ვიმეორებ, არც ერთი საერთაშორისო დოკუმენტით ეს დადასტურებული არ არის, არც ერთი მხარის სასარგებლოდ და არც მეორე მხარის. ეს არის მოლაპარაკების თემა. რადგან არ არის დადასტურებული, არაფრით არ შეიძლება ითქვას, რომ ეს არის საქართველოს ტერიტორია, ან აზერბაიჯანის ტერიტორია. მე ჯერჯერობით არა მაქვს ინფორმაცია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ რაიმე დოკუმენტს მოაწერა ხელი, ვერც აზერბაიჯანული მხარე ვერ ახდენს ამ დოკუმენტის დემონსტრირებას. აქედან გამომდინარე, მრჩება შთაბეჭდილება, რომ საზოგადოებრივი აზრის მომზადებისთვის იყო ორიენტირებული ეს ავანტიურა.

***— თუ რა რეაქციები მოჰყვებოდა ამას?***

— დიახ, რა მოჰყვებოდა. თუმცა მე ვფიქრობ, რომ ტესტი სულ სხვა რამისთვის კეთდებოდა, იმიტომ კი არა, რომ დღეს და ხვალ გადაეცემა აზერბაიჯანულ მხარეს. არამედ იმიტომ, რომ მოხდება თუ არა ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირება.

***— თქვენ თქვით, რომ 6 მაისს დაიწყო და 30 მაისს იქნება პიკიო, შუაში არის 27 მაისი, როდესაც ოპოზიცია ქუჩაში გამოსვლას გეგმავს და მოსახლეობის დიდ რაოდენობას ელიან. ამ თემებსაც ხომ არ შეიძლება დავუკავშიროთ?***

— აბსოლუტურად ყველაფერს უკავშირდება. მთლიანად საზოგადოებრივ აქტივობას, ყურადღების გადატანის მცდელობას, ნიადაგის მოსინჯვა სხვადასხვა მიმართულებით. ყველაფერი ეს არის ერთ კონტექსტში. ასევე გადაფარვა სხვადასხვა თემატიკის. ახლა ამ პროცესში ირკვევა, რომ ბათუმში იუნკერების საფლავი გაყიდეს. ესეც გარკვეული სიმბოლოა ქართველი ერის, ის ტერიტორია, სადაც ეს საფლავებია განლაგებული. ქართველმა საზოგადოებამ კი ამაზე რეაგირება ვერ მოახერხა, იმიტომ, რომ გადართულია გარეჯის საკითხზე. ეს ყველაფერი საქართველოს ხელისუფლების მოქმედებების კონტექსტშია, მუდმივად ახალ-ახალი თემებით ერთი მეორის გადაფარვა, რომ საზოგადოებამ რეაგირება ვერ მოახერხოს.

***— ყოველთვის ასე ხდებოდა, წამოწევდნენ ერთ თემას და შემდეგ ცუდი საქმეების კეთებით დაკავდებოდნენ ხოლმე...***

— კი ასეა. ამას რატომ ვამბობ, იცით? ამავე კონტექსტშია საკმაოდ საინტერესო თემაც, რკინიგზის პაკეტის გატანა ლონდონის საფონდო ბირჟაზე. იქიდან 250 მილიონს ელოდებიან ამ 25%-ის გაყიდვით. ყველამ იცის საქართველოში, ვინ შეიძლება იყოს ამ არასაკონტროლო პაკეტის მფლობელი, მხოლოდ რუსეთი შეიძლება იყოს. სხვა არავინ არ იყიდის არასაკონტროლო პაკეტს, ვის რაში სჭირდება დაქცეული საქართველოს რკინიგზის 25%. რუსეთი იყიდის ამას, იმისთვის, რომ შემდეგ, პერსპექტივაში გააგრძელებს მთლიან პაკეტზე დავას და ვაჭრობას. ყველანაირად ეცდება რკინიგზის მართვა ჩაიგდოს ხელში. მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია რკინიგზის ფუნქციონირება. მთავარი ის არის, რომ საქართველოს რკინიგზის შემადგენლობაში დღეს ისევ შედის აფხაზეთის რკინიგზა, საერთაშორისო ნორმებიდან გამომდინარე. ამიტომ მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ხელში ჩაიგდოს საქართველოს რკინიგზის 25%. აფხაზეთის რკინიგზას ისედაც აკონტროლებს. შემდგომში თუ გაგრძელდა კიდევ აქციების შეძენა, საკონტროლო პაკეტამდე აიყვანს აქციების საერთო რაოდენობას. რუსეთისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი ამ ხაზის გახსნა, მხედველობაში მაქვს ერევნის მიმართულება. ის შეუერთდება სომხეთის რკინიგზას და მთელი სამხრეთ კავკასიის რკინიგზა იქნება მის ხელში, აზერბაიჯანის მონაკვეთის გარდა და აზერბაიჯანი აღმოჩნდება ტომარაში. აი ამაშია საქმე, ეს უნდა გააკეთონ. ეს თემაც უკვე გადაიფარა, იმიტომ, რომ ჩვენ სხვა თემაზე ვართ ორიენტირებული და არ ვაქცევთ ამას ყურადღებას, ასევე არ ვიცით, რა ხდება ბათუმში, რა ხდება საზღვრის სხვა მონაკვეთებზე და ასე შემდეგ. ჩვენს ხელისუფლებას აქვს პიარ თემები, რომლებსაც მისდევენ წლების განმავლობაში და რომელიც სტრესულ მდგომარეობაში ამყოფებს საზოგადოებას.

***— ამ ფონზე ახლოვდება არჩევნები, რა შანსები აქვს ხელისუფლებას და რა მდგომარეობაში გვიტოვებენ ქვეყანას?***

— ჯერ დატოვებაზე არ არის ლაპარაკი, მოგებამდე არ მივსულვართ. ჯერ არჩევნები უნდა მოვიგოთ და მერე უნდა ვილაპარაკოთ, მაგრამ მიაქციეთ ყურადღება ხელისუფლების ქმედებას. ხელისუფლება დღეს თავის მოქმედებას მოსახლეობისთვის ნაკლებად ცდილობს. ხომ იყო ხოლმე ადრე ცრემლიანი თვალები პლაკატებზე და რაღაცების კეთება ხალხისთვის... დღესაც კეთდება, მაგრამ ნაკლებად. დღეს ხელისუფლება ძირითადათ ორიენტირებულია ხალხის დაშინებაზე და დათრგუნვაზე და ასეთი სტრესული ვითარებებით მოსახლეობის მართვა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, ზოგს ჰგონია, რომ მოსახლეობის გაღიზიანების გამო ხალხი განუდგება ხელისუფლებას. არ არის ასე. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, სტრესულ მდგომარეობაში მყოფი ერის მართვა შესაძლებელია. შეიძლება ამან რისხვა და რევოლუცია გამოიწვიოს, მაგრამ მეორეს მხრივ შეიძლება ასეთ მდგომარეობაში მყოფი ერი მართო ძალიან იოლად.

# დავით უსუფაშვილი: საკონსტიტუციო ცვლილებები ქვეყანას ანგრევს“

ნათია ხურცილავა

**ხელისუფლება 26 მაისს დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავს. 27 მაისს პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება“, როგორც დავით უსუფაშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, სტარტს აიღებს და წინასაარჩევნო კამპანიას გახსნილად გამოაცხადებს. იქნება თუ არა ეს მოგების სტარტი?**

ინტერვიუ კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ ლიდერ დავით უსუფაშვილთან:

***— ბატონო დავით, კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ 27 მაისი დააანონსა და ხალხს შეკრებისკენ მოუწოდა. გვითხარით, რა იქნება ამ დღეს?***

— პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება“ 27 მაისს ძალიან სერიოზულ აქციას გეგმავს. ეს საეტაპო მნიშვნელობის აქცია იქნება.

***— რას გულისხმობთ საეტაპო მნიშვნელობაში?***

— ამაში ვგულისხმობთ იმას, რომ პოლიტიკური კოალიცია შეიქმნა გარკვეული მიზნებისთვის. 27 მაისს ჩვენ გამოვაცხადებთ ჩვენი მზაობის დონეს მიზნის მისაღწევად. კოალიციის შექმნის დღიდან ძალიან ბევრ საორგანიზაციო, მოსამზადებელ სამუშაოებს ვასრულებდით. აქციაზე ამ სამუშაოების დასრულების გამოცხადება მოხდება. ამის დასტური იქნება თავად თავისუფლების მოედანზე მომსვლელი ადამიანების რაოდენობა და განწყობა. 27 მაისიდან არაფორმალურ საარჩევნო კამპანიაში გადავდივართ. ასევე საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების თაობაზე ვისაუბრებთ. დიდი ალბათობით არაოფიციალურად გავხსნით უკვე საარჩევნო კამპანიას.

***— რა პოლიტიკური გზავნილები იქნება კოალიციის მხრიდან?***

— ამის შესახებ 27 მაისს გაიგებთ.

***— ხალხის რა რაოდენობას ელოდებით?***

— ძალიან, ძალიან ბევრ ხალხს ველოდებით, რადგან ვხედავთ ინტერესს, ვხედავთ დამოკიდებულებას. 27 მაისს ორგანიზებული აქცია იქნება. ასევე იქნება მსვლელობა რამდენიმე ადგილიდან. ეს იქნება ერთდღიანი აქცია და ამ აქციიდან ხალხი უკვე წავა კონკრეტულ საარჩევნო საქმიანობაში. 27 მაისს გამოცხადდება კონკრეტული მიმართულებები ჩვენი აქტიურობის. რეგიონებში იქნება ძალიან სერიოზული ღონისძიებები გამართული. კოალიციის პოლიტიკური ლიდერები უფრო კონკრეტულ რეგიონებს, რაიონებს, საარჩევნო ოლქებს მიხედავენ. ამ დღის შემდეგ კოალიციას ყოველდღე ექნება კამპანიური ხასიათის ღონისძიებები. ახლაც მიმდინარეობს შეხვედრები, მაგრამ უფრო ინტენსიურ რეჟიმში გადავალთ.



***— 27 მაისს რეგიონებიდან ხალხი ჩამოვა, ელოდებით?***

— ეს არ არის ამ შემთხვევაში სრულიად საქართველოს აქცია. ეს არის უფრო თბილისში ჩასატარებელი აქცია. რეგიონებში ცალკე გვექნება მსგავსი ღონისძიებები ძალიან მალე. ცხადია, თუ ვინმე ჩამოვა რეგიონებიდან მისი წინააღმდეგი არ ვართ, მაგრამ ეს არ არის ჩვენ მიერ საქართველოს მასშტაბით ორგანიზებული აქცია. ეს არის თბილისის მასშტაბით ორგანიზებული აქცია. ჩვენ უკვე ჩავატარეთ თბილისის ათივე რაიონში მცხოვრებ აქტივთან შეხვედრები.

***— როგორია მათი განწყობა?***

— მე ვიტყოდი, ძალიან საქმიანია. მათ აქვთ ენთუზიაზმი. მინდა ამ აქციის ერთ განმასხვავებელ ნიშანზე ვისაუბრო. თბილისში არაერთხელ გვინახავს მასშტაბური აქციები, მაგრამ ეს აქცია იმით იქნება განსხვავებული, რომ აქ მოსულ ადამიანს არ ექნებათ მოლოდინი, რომ 27 მაისს გადაწყდება მათთვის მნიშვნელოვანი პრობლემები. ის პრობლემები, რომელიც ჩვენს მოქალაქეებს აწუხებთ. ეს იქნება აქცია, სადაც მოვა ხალხი შემდეგ საქმიანობაში ჩართვის სურვილით. ეს იქნება სტარტი არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ მოსული მხარდამჭერებისთვისაც, რომ შედეგი ჩვენ საარჩევნო დღეს უნდა მივიღოთ.

***— საქმიანობაში ჩართვაში რას გულისხმობთ?***

— ჩართულობაში ძალიან ბევრი რამ იგულისხმება. მაგალითად, ამომრჩეველთა სიის გადამოწმების კამპანია, რომელიც ივნისში დაიწყება. ასევე დაიწყება ყველა ოჯახში ჩვენი პროგრამისა და ხედვების შეტანის კამპანია, რომელიც ასევე ივნისში დაიწყება. კონკრეტული ლიდერების, კონკრეტულ რაიონებში და რეგიონებში უფრო ხშირად გამოჩენა, წარმოჩენაც დაიწყება. ასევე გაგრძელდება საერთაშორისო ასპარეზზე მუშაობის გაგრძელება. ივნისში ძალიან ბევრი ღონისძიება იგეგმება უცხოეთში, ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

***— უცხოეთში შეხვედრებს ბიძინა ივანიშვილი გამართავს თუ სხვა ლიდერები?***

— ამ თვეების განმავლობაში ბატონმა ბიძინამ არაერთი რაიონი მოინახულა. არ დამითვლია სპეციალურად, მაგრამ დაახლოებით 20–მდე გასვლა ჰქონდა. რა თქმა უნდა, ის გააგრძელებს შეხვედრებს საქართველოს მოსახლეობასთან. უცხოეთში გამგზავრებას, რაც შეეხება გარკვეული საკითხები არის, რომელთა გათვალისწინებითაც გადაწყდება ეს საკითხი.

***— რას გულისხმობთ?***

— მოქალაქეობის, სხვა საკითხს.

***— ათი წლიდან ხუთწლიან ვადამდე დაიწია ქვეყანაში ცხოვრების ვადამ, ამაზე როგორია თქვენი პოზიცია?***

— ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს იმედი, რომ ხელისუფლება გონს მოვა და ამ დონის დარტყმას არ მიაყენებს ქართულ სახელმწიფოს და საქართველოს კონსტიტუციას.

***— პარლამენტში ორი მოსმენა უკვე იყო...***

— კიდევ ერთი მოსმენაა დარჩენილი. ამდენად, გონს მოსვლა არსდროს არ არის გვიან. თუ დავინახეთ, რომ გონს არ მოდიან, მაშინ ჩვენ გვექნება ჩვენი პოზიცია, რომელსაც გამოვაცხადებთ. ეს საკონსტიტუციო ცვლილებები სახელმწიფოს ნგრევის პროცესია. ის, რასაც ხელისუფლება აკეთებს, დაუშვებელია, მაგრამ მაინც თუ ბოლომდე მიიყვანენ ამ საქმეს, მაშინ ჩვენ კიდევ ერთხელ ვიტყვით ჩვენს სათქმელს.

# თიბისი ბანკმა სავალუტო გადარიცხვების მაღალი ხარისხის სერტიფიკატი მიიღო

**დოიჩე ბანკმა (Deutsche Bank) თიბისი ბანკი დაასახელა საუკეთესო ბანკად ევროსა და დოლარში სავალუტო გადარიცხვების მაღალი ხარისხის მაჩვენებლის მიხედვით და „2011 STP Excellence Award“ სერტიფიკატი გადასცა.**

**დოიჩე ბანკის წლევანდელი ჯილდო განსაკუთრებულია, ვინაიდან თიბისი ბანკმა წელს პირველად მიიღო ევროში გადარიცხვების მაჩვენებლის მიხედვით უმაღლესი ხარისხის სერთიფიკატი.**

რაც შეეხება დოლარში გადარიცხვებს, თიბისი ბანკი ამ მაჩვენებლის მიხედვით უკვე მეექვსედ დაჯილდოვდა დოიჩე ბანკის მიერ. ეს ფაქტი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ ამ ხნის განმავლობაში, ბანკი სტაბილურად ინარჩუნებს მომსახურების მაღალ დონეს.

ხარისხის სერტიფიკატის მინიჭება ხდება წინა წლის მონაცემებზე დაყრდნობით და ითვალისწინებს, როგორც სავალუტო დავალებების ეფექტურ განხორციელებას, ასევე შესრულებული გადარიცხვების რაოდენობას.

STP (Streight Through Payments) წარმოადგენს სავალუტო დავალებას, რომელიც ჩამოყალიბებულია სვიფტის სტანდარტების შესაბამისად და სრულდება ავტომატურად, კორესპონდენტი ბანკის მხრიდან ყოველგვარი ჩარევის გარეშე.

თიბისი ბანკისთვის მინიჭებული ხარისხის უმაღლესი ჯილდო, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ბანკი სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის მოთხოვნებს და მომავალშიც განაპირობებს ორ ბანკს შორის წარმატებულ ურთიერთთანამშრომლობას.

# დუტა მოხსნეს

ეკა ირემაშვილი

მსახიობი და შოუმენი დუტა სხირტლაძე თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის თეატრის მმართველის თანამდებობიდან გაათავისუფლეს. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ კახეთში ვიზიტისას თელავის თეატრის წევრებს პირობა მისცა, რომ მათი პრობლემა უახლოეს მომავალში მოგვარდებოდა.

დუტა სხირტლაძეს თელავის თეატრის წარმომადგენლები უყურადღებობაში ადანაშაულებდნენ. შოუმენი თე-



ატრს 2010 წლიდან ხელმძღვანელობდა, თუმცა თეატრის საქმეები წინსვლის მაგივრად, სულ უკან და უკან მიდიოდა. თეატრში გაითიშა შუქი, გაზი, წყალი, ტელეფონი და ინტერნეტი.

— თეატრი ჩაბანძებული და ჩამპალია. მოკლა თეატრი, წიხლით გადაუარა ზედ. თეატრი აღარ არსებობს, — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს თელავის თეატრის მსახიობმა ელდარ თავდიდიშვილმა.

როგორც თელავის თეატრის წარმომადგენლები ამბობენ, დუტამ თეატრის ბიუჯეტი არამიზნობრივად გახარჯა. ხელფასების გასაცემად კი ბანკიდან კრედიტი აიღო, ახლა სესხის დაფარვა თელაველ მსახიობებს სახელფასო სუფსიდიიდან უწევთ. თელავის თეატრის მმართველს ათზე მეტმა თანამშრომელმა სასამართლოში უჩივლა და სახელფასო დავალიანების გასტუმრება მოითხოვა. სასამართლომ თეატრის წევრების სარჩელი დააკმაყოფილა და დუტას სახელფასო დავალიანების დაფარვა დააკისრა. რამდენიმე სარჩელს კი სასამართლო ახლაც განიხილავს.

დუტა სხირტლაძე თელავის თეატრში 2011 წლის ოქტომბრის შემდეგ აღარ ყოფილა. თელავში ჩაუსვლელობას და მუდმივად თბილისში ყოფნას კი შოუმენი იმით ხსნიდა, რომ სპონსორების მოძიებას ცდილობდა, რათა თეატრში არსებული პირობები კიდევ უფრო გაეუმჯობესებინა.

თელავის თეატრის დასის წევრებსა და დუტა სხირტლაძეს შორის დაპირისპირება ერთი წლის წინ დაიწყო. მსახიობების თქმით, 2011 წლის 22 მარტს, თეატრის დასის შეკრებაზე, თეატრის მმართველის დუტა სხირტლაძის გინების შემდეგ, რუსთაველის თეატრის მსახიობის პაატა გულიაშვილის მამა, რომელიც ავად იყო, დარბაზში გარდაიცვალა, თეატრის რეჟისორი გოგი ჩაკვეტაძე და მსახიობი ვანო იანტბელიძე კი ავად გახდნენ. გოგი ჩაკვეტაძეს სამედიცინო დახმარება თელავის საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში აღმოუჩინეს. დუტა სხირტლაძე მასთან დაპირისპირების გამო თეატრის მთავარ რეჟისორს გოგი ჩაკვეტაძეს გათავისუფლებითაც დაემუქრა, თუმცა მოგვიანებით გადაიფიქრა და ჩაკვეტაძის გათავისუფლების შესახებ გაკეთებული განცხადება ემოციურობით ახსნა.

ამდენი პრობლემის დაგროვების შემდეგ, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო და დუტა სხირტლაძე თელავის თეატრის მმართველის თანამდებობიდან გაათავისუფლა. შესაბამის ბრძანებას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ხელი 14 მაისს მოაწერა. ბრძანებაში თეატრის მმართველის თანამდებობიდან დუტა სხირტლაძის გათავისუფლების საფუძვლად მისი პირადი განცხადებაა მითითებული. ამ დროისთვის კი თელავის თეატრის მმართველის პოსტი ვაკანტურია. ვინ დაიკავებს თელავის თეატრის მმართველის პოსტს, ჯერჯერობით უცნობია. თავად დუტა სხირტლაძე კი ამ საკითხზე კომენტარს არ აკეთებს, რადგან მას ჟურნალისტებთან თელავის თეატრის თემაზე საუბარი ისედაც არ უყვარს.

# დაიცავით „ჯარისკაცის მამა“!

ეკა ირემაშვილი

რეზო ჩხეიძის მიერ გადაღებული ლეგენდარული ფილმის „ჯარისკაცის მამა“ სცენარის ავტორის სულიკო ჟღენტის ოჯახი საავტორო უფლებების დაცვას ითხოვს. როგორც კინოდრამატურგის შვილი ოლიკო ჟღენტი აცხადებს, საუბარია ვაშინგტონის „სინეთიკ თეატრის“ სპექტაკლთან დაკავშირებით „ჯარისკაცის სახლი“. მისი თქმით, ადგილი აქვს საავტორო უფლებების შემლახველ გარემოებებს, სწორედ ამიტომ ოჯახმა გადაწყვიტა მიმართოს „საავტორო უფლებების დაცვის ორგანიზაციას“ დეტალებზე ოლიკო ჟღენტი „ახალ თაობას“ თავად ესაუბრა.

**ოლიკო ჟღენტი:**

— უკანასკნელ პერიოდში მედიასაშუალებებისა და ჟურნალისტების ყურადღება მიიპყრო ვაშინგტონის „სინეთიკ თეატრის“ მომავალმა სპექტაკლმა „ჯარისკაცის სახლი“ და მის ირგვლივ წამოჭრილმა საავტორო უფლებების თემამ. მსურს კიდევ ერთხელ შევეხო აღნიშნულ საკითხს და მივცე შემდეგი განმარტება: 2011 წლის ზაფხულში, ვაშინგტონის „სინეთიკ თეატრის“ ხელმძღვანელმა ბატონმა პაატა ციქურიშვილმა ჩვენს ოჯახს, როგორც კინოდრამატურგ სულიკო ჟღენტის მემკვიდრეს, მოგვმართა თხოვნით, რათა მას უფლება მიეღო ფილმის, „ჯარისკაცის მამის“ თანამედროვე თეატრალურ ადაპტაციაზე — მისი ამერიკული პროექტი ითვალისწინებდა ცნობილი კინონაწარმოებიდან სიუჟეტის გადატანას თანამედროვე მსოფლიოს ცხელ წერტილებში (ავღანეთსა და ერაყში).

***— თქვენ ამის წინააღმდეგი იყავით?***

— ჩვენი ოჯახი კინოსცენარისა და ფილმის, „ჯარისკაცის მამის“ თანამედროვე ადაპტაციის წინააღმდეგი არ ყოფილა და ზოგადად, არც არასოდეს იქნება. თუმცა, წერილობითი მოლაპარაკების დროს, საავტორო უფლებებთან დაკავშირებით წამოიჭრა რამდენიმე საკითხი, რომელთა გათვალისწინებასა და დაცვას პაატა ციქურიშვილისგან ხელშეკრულებით ვითხოვდი — საქმე ეხებოდა მარტივ და ყველასათვის გასაგებ პირობებს.

***— რა პირობებზეა საუბარი?***

— ჩვენ რამდენიმე პირობა წამოვაყენეთ: გვაინტერესებდა, თანამედროვე თეატრალური ადაპტაციის შემთხვევაში პაატა ციქურიშვილი დაეყრდნობოდა „ჯარისკაცის მამის“ სცენარსა თუ ფილმს და, საბოლოოდ, როგორი უნდა ყოფილიყო ამის განსაზღვრება? ამასთანავე, თუკი პაატა ციქურიშვილი თავის სპექტაკლში გამოიყენებდა კინოსცენარის ორიგინალურ სიუჟეტს, შენარჩუნდებოდა თუ არა ფილმის დრამატული ფინალი — მამის მიერ ომში შვილის პოვნა და მისი ტრაგიკული დაღუპვა? ასევე გვაინტერესებდა იქნებოდა თუ არა სპექტაკლში ნაციონალური იდენტობის გამომხატველი ისეთი მოტივები, როგორიცაა გლეხკაცის ვენახი, სიმღერა ანუ ყოველივე ის, რაც ქართველი ადამიანის ხასიათს, ტრადიციებს ასახავს სცენარსა და ფილმში. ასევე მნიშვნელობას ვანიჭებდით შემდეგ საკითხს: ვინაიდან სპექტაკლში მოქმედება უნდა განვითარებულიყო ყველასთვის ცნობილი და აქტუალური თანამედროვე მსოფლიოს ცხელ წერტილებსა თუ უმწვავეს კონფლიქტურ ზონაში, სასურველი იყო, რომ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულიყო: „სცენარის თანამედროვე თეატრალური ადაპტაცია არ შეიცავს ეროვნებათა შორისი და რელიგიური შუღლის გამომწვევს ელემენტებს“. ჩემდა გასაკვირად, ბატონმა პაატამ ყველა ეს პირობა უარყო.

***— მოლაპარაკებებს მხოლოდ თქვენ აწარმოებდით?***

— მე ვითხოვდი, რომ მოლაპარაკებაში ჩართულიყო ფილმის „ჯარისკაცის მამა“ რეჟისორი და პროდიუსერი ბატონი რეზო ჩხეიძე, რომელიც აღნიშნულ ფილმზე განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობს. შესაბამისად, მოლაპარაკება უნდა წარმართულიყო ყველა საავტორო, იურიდიული უფლებების, ფინანსური საკითხის გათვალისწინებითა და დაცვით. ამის საპასუხოდ ბატონმა პაატამ სრულიად გაუგებარი და აბსურდული მიზეზები დაასახელა და განაცხადა: „ჩემი თეატრალური ადაპტაცია არ იქნება დაყრდნობილი არც სცენარზე და არც ფილმზე“, და, რომ „ჩემი მხრიდან ძალიან რთული იქნება, თითქმის შეუძლებელიც, რომ მოლაპარაკება ვაწარმოო ცალცალკე ორ იურიდიულ პირთან“. ჩემი აზრით, ამ განცხადებით იგი უარს ამბობდა ოფიციალურ



იურიდიულ შეთანხმებაზე. კიდევ უფრო მეტი გაურკვევლობა გამოიწვია პაატა ციქურიშვილის გადაწყვეტილებამ, რომლის თანახმად, მისი სპექტაკლის თანამედროვე ამერიკული ადაპტაცია დაეყრდნობოდა არა ფილმსა და სცენარს „ჯარისკაცის მამა“, არამედ, მხოლოდ და მხოლოდ სულიკო ჟღენტის რეალურ ისტორიას ანუ ბიოგრაფიულ ფაქტს — იგი მოხალისედ წავიდა ომში, მძიმედ დაიჭრა და მამამ შვილი შორეული ქალაქის ჰოსპიტალში მოძებნა. ამასთანავე ბატონი პაატა გვპირდებოდა, რომ ფილმი, სცენარის ავტორი და მისი პიროვნება შეიძენდა ახალ საერთაშორისო რეზონანსს. ცხადია, ციქურიშვილის ამგვარი გადაწყვეტილების წინააღმდეგი ჩვენი ოჯახი არ იყო, მაგრამ მისი ეს არჩევანი, ბუნებრივია, ფილმის სიუჟეტის გამოყენებას კითხვის ქვეშ აყენებდა — ბატონი ციქურიშვილის მთავარი ინტერესი კი თავიდანვე ფილმის ორიგინალური სიუჟეტი გახლდათ. ბატონი პაატას ამ გადაწყვეტილებამ ჩემში საფუძვლიანი ეჭვი გამოიწვია, რომ მას სურდა თავი აერიდებინა ხელშეკრულების გაფორმებისთვის ფილმის ავტორებთან. მან არათუ თავი აარიდა ზემოთ აღნიშნულ პირობებს, არამედ, არც კი ჩათვალა საჭიროდ, რომ მოლაპარაკების პროცესში თავისი თეატრის იურისტი მოეწვია და როგორც ცივილურ სამყაროშია მიღებული, ეს პირობები თუ წინადადებები იურიდიული განხილვისა და განსჯის საგნად ექცია. საინტერესოა, ნუთუ ის პირობები, რომელთა გათვალისწინებასა და დაცვასაც ნახევარი წლის განმავლობაში ვითხოვდი, წარმოადგენდა რაიმე გაუგებარს, დამაბნეველს ან შემოქმედებითი თავისუფლებისა და პიროვნების უფლებების შემლახველს? გასაკვირია, უცხოეთში მოღვაწე წარმატებული ხელოვანისთვის, რომელსაც მრავალი თეატრალური პრემია და პრესტიჟული ჯილდო აქვს მოპოვებული, რატომ აღმოჩნდა უჩვეულო და მიუღებელი ის, რაც საერთაშორისო სტანდარტებსა და ცივილიზებულ სამყაროში დადგენილ ნორმებს მიესადაგება?

***— როგორ გაგრძელდა მოლაპარაკებები?***

— საბოლოოდ, პაატა ციქურიშვილმა კატეგორიული უარი განაცხადა, როგორც საქმიანი ურთიერთობის წარმართვაზე, ასევე ფილმის „ჯარისკაცის მამის“ თანამედროვე თეატრალურ ადაპტაციაზე. თუმცა, სპექტაკლის პრემიერა „ჯარისკაცის სახლი“ მაისის ბოლოს, ვაშინტონის „სინეთიკ თეატრში“ უკვე დაიგეგმა.

***— ეჭვი გაქვთ, რომ კინოსცენარი და ფილმი „ჯარისკაცის მამა“ ამ სპექტაკლში მაინც იქნება გამოყენებული?***

— ბოლოხანს სპექტაკლის „ჯარისკაცის სახლი“, ანუ როგორც ახლახან ბატონმა პაატა ციქურიშვილმა მოიხსენია „ჯარისკაცის ნავსაყუდელი“, შესახებ არსებული ინფორმაციები სერიოზულ ეჭვს იწვევს და მაფიქრებინებს, რომ ახალ სპექტაკლში გამოყენებული იქნება

გაგრძელება მე-10 გვერდზე


ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900.




იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

ცფ,ფყრჯჰტრდბპბნტ,ბ5
ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`



უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● სამკურნალო სადიაგნოსტიკო რეაბილიტაციის ცენტრი „მედიგარდი“ გთავაზობთ კუჭისა და ნაწლავების ექოსკოპიას, რაც გასტროსკოპიისა და რენტგენოლოგიური კვლევის ალტერნატივაა. ამავე კლინიკაში გთავაზობთ მკურნალობას სამკურნალო მცენარეებით, ისეთი დაავადებების დროს, როგორიცაა კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, გასტრიტი, კოლიტი, შარდ-კენჭოვანი დაავადება და სხვა. მისამართი: ფალიაშვილის ქ.№17. ტელ: 225-20-50; მობ: 599-57-25-08.

● ნანა ქიბროწაშვილი, შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ფოტოსურათით მოგიხსნით: პათოლოგიურ სიმთვრალეს, ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებს და ქმედებებს, ეჭვიანობას, ძილში მოუსვენრობას, კოშმარულ სიზმრებს, თვითმკვლელობის სურვილს, დეპრესიას, დაძაბულობას, ოჯახურ კონფლიქტებს. მის: წერეთლის 57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი 7. მიღება 12-დან 15 საათამდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# ფინალურ სერიაში არმია დაწინაურდა

**არმია _ ოლიმპი 72:66**
**(20:15, 14:17, 15:20, 23:14)**

**არმია:** რიჩარდსონი (20ქ), ბოისა (3ქ), უგრეხელიძე (6ქ), კვიმსაძე, ტომასი (13ქ.11მ), შელბომი (2ქ.8მ), დიაზი (6ქ), ვუდსაიდი (22ქ)

**ოლიმპი:** გამყრელიძე (10ქ.8მ), გულისაბედაშვილი, მილუტინოვიჩი, ბერიშვილი (2ქ) სლიუკა (3ქ) ტუტუსი (9ქ), ცინცაძე (24ქ.6ჩ), ტოდოროვიჩი (11ქ), ჰოგერი (7ქ)

ფინალური სერიის პირველი მატჩში არმიელებმა 72:66 იმარჯვეს და სერიაში 1:0 დაწინაურდნენ.

დასაწყისიდანვე ეტყობოდა, რომ მოედანზე მაგარი ბრძოლა გაჩაღდებოდა და ასეც მოხდა. თავდაპირველად „ოლიმპის" უპირატესობა უფრო თვალსაჩინო იყო და პირველი პერიოდის მე-3 წუთზე 8:2 დაწინაურდნენ. თუმცა, არმიელები მალევე გააქტიურდნენ და მეოთხედის შუაში თაბლოზე უკვე მათი უპირატესობა ციმციმებდა – 11:8. „ოლიმპი" არ გატყდა, მალევე ანგარიში გაათანაბრა და ასე გაგრძელდა ბოლო წუთამდე, სადაც უკეთ არმიელები გაისარჯნენ – იოაკიმ შელმბომის ზუსტი საჯარიმოებისა და ბენჯამენ ვუდსაიდის შორეული სამქულიანის წყალობით „არმია" 20:15 გავიდა წინ და საწყისი ათწუთეულიც მის სასარგებლოდ დასრულდა.

მეორე პერიოდი კიდევ უფრო საინტერესო და დაძაბული აღმოჩნდა. ოლიმპელებმა მეოთხედის შუაწელში მოახერხეს და ანგარიში გაათანაბრეს – 26:26 დააფიქსირეს, თუმცა დარჩენილ დროში არმიის გუნდმა მაინც მოახერხა წინ გასვლა და ტაიმი 34:32 მოიგო.

მესამე მეოთხედი „ოლიმპის" უპირატესობით დაიწყო და პერიოდის მესამე წუთზე 38:36 დაწინაურდა. ძალოვნები მდევრის როლში აღმოჩნდნენ, მაგრამ ამჯერად ვეღარ მოახერხეს პერიოდის სათავისოდ შემოტრიალება – „ოლიმპი" დასკვნითი მეოთხედის წინ 2 ქულას იგებდა – 51:49.

დასკვნითი მეოთხედი კვლავ „ოლიმპის" უპირატესობით დაიწყო და სოლიდურადაც დაწინაურდა – 59:53. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ კოტე ტუღუშის დამოძღვრილი „არმია" სეზონში პირველ მარცხს განიცდიდა, მაგრამ...

ჯერემი რიჩარდსონმა ზუსტად ისროლა ორქულიანი, იქვე „ოლიმპმა"

ტექნიკური ჯარიმა მიიღო და რიჩარდსონმა უკვე სამქულიანით სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა. „არმია" ამას არ დასჯერდა, მეტოწის შეტევა ჩაშალა და ანატოლი ბოისამ სამქულიანით წინ გაიყვანა თავისიანები : 61:59 და ეს მონაკვეთი გარდამტეხი აღმოჩნდა მატჩში. არმიელები გატეხილ „ოლიმპთან" ნელ-ნელა ზრდიდნენ უპირატესობას და მატჩის ბოლომდე მიყვანა აღარ გასჭირვებიათ.

გამარჯვებულებს 22 ქულით ბენჟამენ ვუდსაიდმა ულიდერა, ხოლო 13 ქულითა და 11 მოხსნით ორმაგი დუბლი უილიამ ტომასმა მიითვალა. ოლიმპელთა მხრიდან საუკეთესო იყო გიორგი ცინცაძე, რომელმაც საკუთარ გუნდს 24 ქულა შესძინა.

**მატჩის შემდეგ**

**კოტე ტუღუში, არმიის მწვრთნელი:**

– როგორც მოსალოდნელი იყო თამაში დაძაბული გამოდგა და „ოლიმპმა" ძალიან კარგი თამაში აჩვენა როგორც დაცვაში, ასევე შეტევაშიც. რაც შეეხება ჩვენს გუნდს, 18 დაკარგვა გვაქვს, რაც ნამდვილად საგანგაშოა და აუცილებლად უნდა გამოვასწოროთ. მიუხედავად ამისა, პირველ მატჩი გავიმარჯვეთ, შედეგით კმაყოფილები ვართდა უკვე ხვალინდელი მატჩისთვის ვიწყებთ მომზადებას. რაც შეეხება ზედიზედ ორი მნიშვნელოვანი მატჩის ჩატარებას, ეს ჩვენ წინასწარ ვიცოდით და საამისოდ მომზადებულნიც ვიყავით. ვფიქრობ, ხვალ უკეთესად გამოჩნდება თუ რამდენად კარგად მოემზადა ამისთვის ჩვენი გუნდი.

**გია კაზანჯიანი, ოლიმპის მწვრთნელი:**

– ვულოცავ არმიის გუნდს გამარჯვებას, რომელმაც გადამწყვეტ მომენტში ჩვენზე უკეთ შეასრულა ჯარიმები და შორეულ ტყორცნებშიც საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა. არ მინდა მსაჯებზე საუბარი, მაგრამ აღვნიშნავ რომ რამდენიმე სასტვენზე პრეტენზია გვაქვს. მიუხედავად ამისა, ვთვლი რომ მეტოქემ დამსახურებულად გაიმარჯვა. თუ როგორ მოემზადა გუნდი ფინალური სერიისთვის, ეს მესამე მატჩში გამოჩნდება. ვფიქრობ, გადაღლილობა ორივე გუნდს უფრო 22 მაისს დაეტყობა.

**დავით უგრეხელიძე:**

– პირველ ტაიმში შეტევაში თამაში არ წაგვივიდა და 18 დაკარგაც ძალიან ბევრია ფინალური მატჩისთვის. შევეცდებით ხვალისთვის გამოვასწოროთ ეს ხარვეზი და უფრო დაძაბული და საინტერესო მატჩი ვაჩვენოთ.

**გიორგი ცინცაძე:**

– ფინალისთვის შესაფერისი მატჩი იყო და დარწმუნებული ვარ მაყურებელმა დიდი სიამოვნება მიიღო. ვულოცავ არმიის გუნდს და ვიმედოვნებ ხვალინდელი შეხვედრაც დაძაბული და სანახაობრივი იქნება, სადაც გამარჯვებას ჩვენი გუნდი მოიპოვებს.

# ჩემპიონთა ლიგა არისტოკრატული გახდა

**ბაიერნი _ ჩელსი 1:1 (3:4პ)**

1:0 მიულერი (83), 1:1 დროგბა (88)

95-ე წუთზე, რობენმა ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)

მატჩის შემდგომი პენალტები: 1:0 ლამი, 1:0 მატა, 2:0 გომესი, 2:1 ლუისი, 3:1 ნოიერი, 3:2 ლემპარდი, 3:2 ოლიჩი, 3:3 კოული, 3:3 შვაინშტაიგერი, 3:4 დროგბა.

**ბაიერნი:** ნოიერი, ლამი, ბოატენგი, ტიმოშჩუკი, კონტენტო, შვაინშტაიგერი, კროოსი, რობენი, მიულერი (ვან ბუიტენი 86), რიბერი (ოლიჩი 97), გომესი

**ჩელსი:** ჩეხი, ბოსინგვა, ლუისი, კეჰილი, კოული, მიკელი, ლემპარდი, კალუ (ტორესი 84), მატა, ბერტრანი (მალუდა 73), დროგბა

ლონდონის „ჩელსის" მფლობელის, რომან აბრამოვიჩისა და რამდენიმე ათასი გულშემატკივრის ოცნება ასრულდა – კლუბმა პირველი ევროპული ტიტული მოიგო, ამასთან, ყველაზე პრესტიჟული და ჩემპიონთა ლიგის მფლობელი შეიქმნა.

არადა, მიმდინარე სეზონის მიხედვით, ეს წელი ლონდონელთა არ უნდა ყოფილიყო. ისინი ჯერ კიდევ შუა სეზონში გამოემშვიდობნენ მწვრთნელს, შეეცვალა მწვრთნელი და ჩემპიონთა ლიგის გათამაშების დროსაც ბეწვის ხიდზეც რამდენჯერმე გაიარეს. ჯერ მეოთხედფინალში, „ნაპოლისთან" პირველი წაგების შემდეგ წინააღმდეგ გადაუსვეს ხაზი, „ბარსელონასთან" ნახევარფინალში ხომ სულ უშანსოდ მონათლეს და ბოლოს ფინალი – მეტოქის მოედანზე და ისიც მრისხანე მიუნხენის „ბაიერნის" წინააღმდეგ. არისტოკრატებმა ყველა გამოცდას გაუძლეს, ყველაფერი მართლაც დიდებულად გააკეთეს, იღბალიც წაეხმარათ, მეტოქე გუნდის ფეხბურთელებიც და ბოლოს და ბოლოს მოახერხა სანუკვარი თასის მოგება.

„ალიანს არენაზე" გამართული მატჩის ფავორიტად „ბაიერნი" მიიჩნეოდა. ამის მიზეზი თუნდაც ის იყო, რომ მიუნხენელები საკუთარ მოედანზე თამაშობდნენ. მთელი ძირითადი დროისა და შემდეგ დამატებითი ტაიმების მანძილზე მასპინძლები დიდ უპირატესობას ფლობდნენ, „ჩელსი" კარგად იცავდა თავს და შიგა და შიგ თუ გამოანათებდა. დიდი უპირატესობის მიუხედავად, ბავარიელებმა ვერ შეძლეს თავისი მომენტების გამოყენება და ეს პირველ რიგში მარიო გომესზე ითქმის.

უკვე მე-5 წუთზე „ბაიერნმა" პირველი ხიფათი შექმნა მეტოქის კართან, თუმცა კროოსმა ხელსაყრელი სიტუაციიდან არაზუსტად დაარტყა. მე-19 წუთზე, კარის წინ მყოფ გომესს იმის ნაცვლად რომ კარში დაერტყა, ორიგინალურად თამაში მოინდომა, ბურთი გაატარა და მეტოქეს ჩააბარა. მალე ჩეხის რიგი დადგა, რომელმაც არიენ რობენის დარტყმა მოიგერია, მეკარისგან ასხლეტით კი ბურთი სტუმართა კარის ძელს მოხვდა. კარში ზუსტად დარტყმა მიულერს, რიბერისა და გომესს მართებდათ, მაგრამ ბოლო ფაზაში ცუდად გაისარჯნენ.

შესვენების შემდეგ, „ჩელსი" შედარებით უკეთ ათამაშდა დაპირველი სახიფათო მომენტი მათ შექმნეს. 57-ე წუთზე, ლონდონელებმა კარგი კომბინაცია გაითამაშეს, მაგრამ სალომონ კალუს დარტყმულს ნოიერი გაუმკლავდა.

ამის შემდეგ თამაში კარგ ტემპში, მაგრამ ძირითადად მოედნის ცენტრში ტრიალებდა და რაც უფრო გადიოდა დრო გუნდები უფრო ფრთხილობდნენ. თუმცა, 83-ე წუთზე, მარცხენა ფლანგიდან, კროოსმა ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა, რასაც მიულერის ზუსტი თავური მოჰყვა – 1:0. არადა, გერმანელმა ფეხბურთელმა ჩეხს ახლო კუთხეში კი დაურტყა,




მაგრამ იმდენად ახლოდან და ზუსტად, რომ მეკარე უძლური აღმოჩნდა.

თითქოს მატჩის ბედიც აქ გადაწყდა – „ბაიერნის" ფეხბურთელები და გულშემატკივრები საზეიმოდ ემზადებოდნენ, როდესაც „ჩელსიმ" მთელი მატჩის განმავლობაში პირველი კუთხური მოაწოდა და დიდიე დროგბამ ხუან მატას ჩაწოდების შემდეგ ანგარიში გაათანაბრა. უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში მანუელ ნოიერი შეცდა.

პირველი დამატებული ტაიმი „ჩელსის" შეტევებით დაიწყო, მაგრამ 94-ე წუთზე, ლონდონელთა კარში პენალტი დაინიშნა. საკუთარ საჯარიმოში, დროგბამ რიბერი წააქცია, მაგრამ თერთმეტი მეტრიდან რობენმა საკმაოდ ცუდად და სუსტად დაარტყა – ჩეხმა ბურთი იოლად მოიგერია. ამ ეპიზოდმა, გულშემატკივრებს, შესაძლოა, „ბარსელონასა" და „ჩელსის" შორის გამართული დაპირისპირება გაახსენა. გეხსომებათ, ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა „ბარსელონასთან" ნახევარფინალის განმეორებით მატჩში – დროგბამ თამაშის წესები საკუთარ საჯარიმოში დაარღვია, მაგრამ მესიმ თერთმეტმეტრიანის გამოყენება ვერ მოახერხა და საბოლოოდ, გამარჯვებული ლონდონელები დარჩნენ.

დარჩენილ დროში, სახიფათო მომენტები მხოლოდ „ჩელსის" კართან იქმნებოდა, მაგრამ ძალზე ხელსაყრელ სიტუაციაში მყოფმა ოლიჩმა არაზუსტად დაარტყა, ხოლო გომესს ხელი კეჰილმა შეუშალა და საქმე პენალტების სერიამდე მივიდა.

აქამდე მიუნხენელებს ევროტურნირებზე თერთმეტმეტრიანების 4 სერიიდან ყველა ჰქონდათ მოგებული, ლონდონელებს კი პირიქით, ორივე წაგებული. თიტქოს აქაც „ბაიერნის" უპირატესობა ჩანდა, მაგრამ 19 მაისი ლონდონელთა დღე გამოდგა.

პენალტის შესასრულებლად პირველად ლამი მივიდა – ჩეხმა კუთხე გამოუცნო და ბურთს ხელიც მიარტყა, მაგრამ მასპინძლები მაინც დაწინაურდნენ. ლონდონელთა მხრიდან, პირველი დარტყმა მატამ ითავა, თუმცა ნოიერმა აუღო და მასპინძელთა გამარჯვება გულშემატკივრებმა ისევ ირწმუნეს. შემდეგ იყო მარიო გომესისა დავიდ ლუისის ზუსტი დარტყმები. მოულოდნელად, თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან მანუელ ნოიერი მივიდა – „ბაიერნის" მეკარემ კარგად დაარტყა, რასაც ლემპარდის პასუხი მოჰყვა. მიუნხენელთა რიგირ მეოთხე პენალტის დარტყმა ოლიჩს ერგო წილად, მაგრამ ბრწყინვალედ მოთამაშე ჩეხმა მოიგერია. ეს გერმანელებს ეშლი კოულმა არ აპატია და სერიაში ანგარიში გაათანაბრა. მე-5 პენალტის დასარტყმელად პირველად ბასტიან შვაინშტაიგერი მივიდა, რომელმაც ბურთი ძელს მოარტყა. ბოლო სიტყვა კი დროგბასი გამოდგა, რომელმაც ბურთი და მეკარე სხვადასხვა კუთხეს შეჰყარა და „ჩელსის" ამ თაობამ დამსახურებული ჯილდო მოიგო.

მატჩის საუკეტესო ფეხბურთელი: პეტერ ჩეხი

დიდიე დროგბა, თუ პეტერ ჩეხი – არჩევანი ამ ორ ფეხბურთელზე შევაჩერეთ, მაგრამ უპირატესობა ჩეხს მივანიჭეთ. რომ არა დროგბას ზუსტი თავური მატჩის დასრულებამდე 2 წუთით ადრე, „ჩელსი" თასს ვერ მოიგებდა, მაგრამ ჩეხმა ორჯერ, ჯერ მატჩის მსვლელობისას, შემდეგ კი გადამწყვეტ მომენტში მოახერხა პენალტების აღება, რითიც განაპირობა გუნდის გამარჯვება.

**მატჩის შემდეგ**

**დი მატეო, ჩელსის მთავარი მწვრთნელი:**

– ეს დიდი გამარჯვება პირველ ყოვლისა ჩვენი ფეხბურთელების თავგანწირულმა თამაშმა მოგვაპოვებინა. თითოეულმა მათგანმა თამაშში აბსოლუტური მაქსიმუმი ჩადო და შედეგით არანორმალურად გახარებულები ვართ. „ბაიერნი" უძლიერესი გუნდია და როდესაც თამაშის მიწურულს დაწინაურდა, მივხვდი სასწაული თუ გვიხსნიდა. ეს სასწაული კი დროგბამ მოახდინა. სიტყვებით ვერ გადმოგცემთ, რამხელა განძია ეს ფეხბურთელი „ჩელსისთვის". ანგარიში ხომ გაათანაბრა, ბოლოს კი, სულაც გადამწყვეტი, ჩემპიონთა თასის მომგები პენალტიც გაიტანა.

**იუპ ჰაინკესი:**

– მთელი შეხვედრის განმავლობაში კარგად ვთამაშობდით, მაგრამ მომენტების რეალიზებაში საშინლად არ გვიმართლებდა. მინდორზე ძალიან დამუხტულები გავედით და პირველივე წუთებიდან ისე მძლავრად შევუტიეთ, მეტოქეს თავდაცვის გარდა, არაფერზე ფიქრი არ შეეძლო. ამას კი „ჩელსი" მართლა საუცხოოდ აკეთებდა. უპირატესობა ვერ გამოვიყენეთ, პენალტიც კი ვერ გავიტანეთ და აკი დავისაჯეთ კიდეც. ვულოცავ ლონდონელებს. მათ საოცარი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს და თასი დამსახურებულად მოიგეს.

# ანდრეა პირლომ ბუფონის მეგობრებს ფული მოაგებინა

შარშან „მილანის" შემადგენლობაში სკუდეტომოპოვებულმა ანდრეა პირლომ, წელს იგივეს გამეორება ტურინის „იუვენტუსში" მოახერხა. პირლო მალევე იქცა „ბებერი სენიორას" საკვანძო ფიგურად და თუ დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებულ მატჩებს არ ჩავთვლით, ყველა მატჩში მიიღო მონაწილეობა. არადა, მილანელებს მისი მოთხოვნები რომ გაეთვალისწინებიათ, შესაძლოა, სკუდეტო ახლა მათი ყოფილიყო.

***– ანდრეა, ფიქრობთ, რომ „მილანში" სათანადოდ არ დაგაფასესთ?***

– როდესაც „როსონერისთან" ახალი ხელშეკრულების პირობებს ვათანხმებდით, მხოლოდ ერთწლიანი კონტრაქტის გაფორმება შემომთავაზეს, მე კი სამწლიანზე ვიყავი თანახმა. თუმცა, „მილანიდან" ჩემი აბარგების მთავარი მიზეზი ის გახდა, რომ მასიმილიანო ალეგრის მინდვრის შუაგულში საყრდენ ნახევარმცველად მასიმო ამბროზინისა და მარკ ვან ბომელის დაყენებას აპირებდა, მე კი ამპლუა უნდა შემეცვალა. ამას კონტრაქტის ვადაც დაემატა. ამიტომ, „მილანის" ხელმძღვანელობას მადლობა გადავუხადე და „იუვენტუსში" გადასვლის სურვილიც გავუმხილე. „ბებერი სინიორას" რიგებში გამოსვლა ჩემ საფეხბურთო კარიერაში ახალი და საინტერესო გამოწვევა გახლდათ. მერწმუნეთ, ტურინელთა შემოთავაზებულ ხელფასს არ დავხარბებულვარ.

***– გამოდის, თქვენ მხოლოდ საფეხბურთო ასპექტით განიზრახეთ კლუბის გამოცვლა?***

– „მილანს" აღარ ვჭირდებოდი. ეს იმთავითვე ვიგრძენი, როგორც კი მოლაპარაკების მაგიდას მივუსხედით. ალეგრიმ სხვა მოთამაშეებზე გააკეთა არჩევანი და უმჯობესი იქნებოდა, თუკი წავიდოდი. ვფიქრობ, სწორადაც მოვიქეცი.

***– „მილანის" ვებგვერდმა თქვენი და მარკ ვან ბომელის შეტაკების ამსახველი კადრები დადო. თანაც ვიდეო ისეთი რაკურსით იყო გადაღებული, რომ მაყურებელს თქვენი მხრიდან განზრახ უხეშობის შთაბეჭდილება შექმნოდა.***

– 10 წელი ვიცავდი „მილანის" ღირსებას და ჩემთვის წარმოუდგენელია, მის ფეხბურთელს ბინძურად ვეთამაშო.

***– „მილანში" გული არ დაწყდათ, ანდრეა პირლო ტურინში რომ გადავიდა?***

– საერთო განწყობის თაობაზე ვერაფერს მოგახსენებთ, ჩემი ყოფილი პარტნიორების უმრავლესობა კი მეუბნება, შენთან ერთად თამაში მოგვენატრაო. მე კი უკან არასდროს ვიხედები. რაც მთავარია, საკუთარ თავში საიმისო ძალა გამოვნახე და, ვფიქრობ, რთული გამოცდა კარგად ჩავაბარე.

***– როდის იგრძენით, რომ „იუვენტუსს" სკუდეტოს დაუფლების რეალური შანსი ჰქონდა?***

– არ დაგიმალავთ და მისვლის პირველსავე დღეს! კლუბში განსაკუთრებული ატმოსფერო დამხვდა. ივნისში ჯიჯი ბუფონის ქორწილში ვიყავი, როდესაც მისი მეგობრები მეკითხებოდნენ, რატომ გარისკე მილანიდან წასვლაო. მათ იქით „ვამშვიდებდი", რომ სკუდეტოს აუცილებლად მოვიგებდით. ჩემპიონობის დაუფლების შემდეგ ეს ბიჭები დამიკავშირდნენ და მადლობა გადამიხადეს. მათ მითხრეს, შენ პროგნოზს ვენდეთ, ფული „იუვეს" ჩემპიონობაზე დავდეთ და გვარიანადაც ვიხეირეთო.

***– ანტონიო კონტესთან პირველი საუბარი გახსოვთ?***

– იტალიის ნაკრების შეკრებაზე ვიყავი, როდესაც კონტე „იუვენტუსის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. მას ჯერ კიდევ შვებულება ჰქონდა, მაგრამ სამუშაოს შესრულებას კონტრაქტის ხელმოწერიდან მეორე დღესვე შეუდგა. ანტონიომ დამირეკა და შეხვედრა შემომთავაზა – ბევრი ვისაუბრეთ. რაც მთავარია, ერთმანეთს კარგად გავუგეთ. კონტე ბრწყინვალე მწვრთნელია. არაერთ სპეციალისტთან მიმუშავია, მაგრამ არცერთს შეეძლო ასე ზუსტად ჩამოეყალიბებინა და აეხსნა

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# შედეგები

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ევროპის ჩემპიონთა ლიგა _ ფინალი** | |
| ბაიერნი-ჩელსი | 1:1(3:4პ) |
| **ინგლისი. ჩემპიონლიგა _ პლეი ოფი** | |
| ვესტ ჰემი-ბლექპული | 2:1 |
| **ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი** | |
| ალმერია-ალკორკონი | 2:0 |
| ვილიარეალი ბ-უელვა | 2:0 |
| ხირონა-კორდობა | 3:1 |
| ლას პალმასი-ერკულესი | 2:0 |
| სელტა-ალკოიანო | 4:0 |
| უესკა-კარტახენა | 1:0 |
| ელჩე-გვადალახარა | 2:3 |
| **იტალია. სერია ბ** | |
| ვერონა-ვარეზე | 3:0 |
| **შოტლანდია. თასი _ ფინალი** | |
| ჰართსი-ჰიბერნიანი | 5:1 |
| **ნორვეგია. ტიპელიგა** | |
| ფრედრიკსტადი-სტრომგოდსეტი | 2:3 |
| ჰონეფოსი-ვალერენგა | 1:0 |

| | |
|---|---|
| **აშშ. მლს** | |
| ვანკუვერი-სიეტლი | 2:2 |
| დ.ს.იუნაიტედი-ტორონტო | 3:1 |
| მონრეალი-ნიუ იორკი | 1:2 |
| ნიუ ინგლენდი-ჰიუსტონი | 2:2 |
| დალასი-ფილადელფია | 1:1 |
| კოლორადო-კანზასი | 2:2 |
| სან ხოსე-კოლამბუსი | 1:1 |
| ჩივასი-ლოს ანჯელესი | 1:0 |
| **ბრაზილია. სერია ა** | |
| პალმეირასი-პორტუგეზა | 1:1 |
| სპორტ რესიფე-ფლამენგო | 1:1 |
| ფიგუირენსე-ნაუტიკო | 2:1 |
| **არგენტინა. კლაუსურა** | |
| ბანფილდი-ესტუდიანტესი | 0:3 |
| ოლ ბოიზი-სან მარტინი | 1:0 |
| უნიონი-სან ლორენცო | 1:0 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **ნბა. პლეი ოფი 4 მოგებამდე** | |
| კლიპერსი-სან ანტონიო | 86:96 |
| სერიის ანგარიში | 0:3 |
| ლეიკერსი-ოკლაჰომა | 100:103 |
| სერიის ანგარიში | 1:3 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ატპ. რომი. თიხა** | |
| ნადალი-ფერერი | 7:6;6:0 |
| ჯოკოვიჩი-ფედერერი | 6:2;7:6 |
| **ვტა. რომი. თიხა** | |
| შარაპოვა-კერბერი | 6:3;6:4 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **ნჰლ. პლეი ოფი 4 მოგებამდე** | |
| ნიუ ჯერსი-რეინჯერსი | 0:3 |
| სერიის ანგარიში | 1:2 |
| **მსოფლიოს ჩემპიონატი ნახევარფინალები** | |
| ფინეთი-რუსეთი | 2:6 |
| ჩეხეთი-სლოვაკეთი | 1:3 |

# ფიროსმანის მოხატული მარნის კარი მუზეუმს გადაეცემა

ეკა ირემაშვილი

ნიკო ფიროსმანაშვილის მიერ მოხატული მარნის კარი, რომელიც სადავო იყო, ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმს უსასყიდლოდ გადაეცემა. ამ გადაწყვეტილების შესახებ, ხირსის სტეფანე ხირსელის სახელობის ტაძრის მოძღვარმა მამა ლაზარემ სოფელ მირზაანში სტუმრობისას, მუზეუმის მმართველს თავად აცნობა. როგორც „ქიზიყი" იუწყება, სასულიერო პირი მხატვრის ეზოს მარნის კარის ამჟამინდელ მეპატრონესთან ვანო ქვრივიშვილთან ერთად ეწვია. როგორც მამა ლაზარემ აღნიშნა, მისმა სულიერმა შვილმა კარის მფლობელმა ვანო ქვრივიშვილმა სურვილი გამოთქვა ნიკალას ნამუშევარი მუზეუმს შესწიროს.

– ივანე ძალიან კარგი ადამიანია, სულით და გულით ქართველი ქრისტიანი. კეთილი, პატიოსანი ახალგაზრდაა. მან ასეთი სასიკეთო და საშვილიშვილო გადაწყვეტილება მიიღო, – აღნიშნა მამა ლაზარემ.

ვანო ქვრივიშვილი სოფელ ბოდბეში ცხოვრობს. მისი თქმით, ამჟამად სასამართლო პროცესი მიდის, თუმცა როგორც ყველაფერი დასრულდება, მარნის კარს მაშინვე მუზეუმს შესწირავს და შესაბამის დოკუმენტებსაც გააფორმებს.

მუზეუმის ახლად დანიშნულმა მმართველმა ნელი გობეჯიშვილმა მადლობა გადაუხადა მამა ლაზარესა და კარის მეპატრონეს და აღნიშნა, რომ ფიროსმანის მუზეუმისთვის ეს ფასდაუდებელი საჩუქარია. მისი თქმით, სასიხარულოა, რომ მეპატრონემ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო და ნიკალას მიერ შექმნილი ხელოვნების ნიმუში მუზეუმს გადაეცემა.



– ნიკალას ეზოში გვაქვს მარანი და ვფიქრობ, რომ ამ კარს, ან მის ასლს აქ დავკიდებთ. ძალიან დასაფასებელია, როგორც მამა ლაზარეს ღვაწლი ამ საქმეში, ისე მეპატრონის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რადგანაც ამ ნამუშევრის დაბრუნების შემდეგ მირზაანში ტურისტების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზრდება. ამის ვარაუდის საფუძველს კი ის ფაქტი გვაძლევს, რომ ხსენებული მარნის კარის მიმართ საზოგადოებაში დაინტერესება დიდია. ბედნიერი ვარ, რომ ეს საჩუქარი 18 მაისს მივიღეთ, მაშინ, როდესაც მუზეუმების დღეს აღვნიშნავდით, – ამბობს ფიროსმანის მუზეუმის ხელმძღვანელი ნელი გობეჯიშვილი.

სოფელ ოზაანში პარმენ ოზაშვილის მარანში მოხატულ კარზე უცნაური წარწერა 2010 წლის ივნისში აღმოაჩინეს, მოგვიანებით ექსპერტიზის დასკვნის შედეგად დადასტურდა, რომ წარწერა ნიკო ფიროსმანს ეკუთვნოდა. ბოლო დროს ნამუშევარი 17.000 დოლარად იყიდებოდა. მარნის კარზე მთვარე და ვარსკვლავებია დახატული და შემორჩენილია სიტყვები: „წითელი ღვინის მარანი, სავსე ვარ ღვინით, თამადა ამაირჩიეთ, ავამსო ლხინით". წარწერა მწვანე საღებავით არის შესრულებული. მკვლევარების ვარაუდს, რომ წარწერა ფიროსმანის შესრულებული იყო, ისიც ამყარებდა, რომ ოზაანში მხატვრის დისშვილი იყო გათხოვილი. გადმოცემით, ფიროსმანი მას ხშირად სტუმრობდა. როგორც სოფელ ოზაანის მაცხოვრებლებმა განაცხადეს, ორი წლის წინ, პარმენ ოზაშვილის სახლი ქვრივიშვილებმა 7.000 აშშ დოლარად იყიდეს და შენობა დაანგრიეს. სადავო კარი კი ვანო ქვრივიშვილის გადაწყვეტილებით, ნიკალას მუზეუმს გადაეცემა.

ამ სიახლის პარალელურად, ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევრები ჰოლანდიაში გამოიფინა. ექსპოზიციას „ფიროსმანის ძიებაში" ეწოდება და ის დორდრეხტის მუზეუმში გაიხსნა. ჰოლანდიელ დამთვალიერებელს შესაძლებლობა აქვს ეროვნულ მუზეუმში დაცული 45 ნამუშევარი დაათვალიეროს და ფიროსმანის შემოქმედებას გაეცნოს. გამოფენის გახსნას დორდრეხტში 1000-მდე სტუმარი დაესწრო.

გამოფენის პარალელურად, მუზეუმში მისულ დამთვალიერებელს ნიკო ფიროსმანის გმირები ეგებებოდნენ და მათთვის სპეციალურად თბილისიდან ჩასული თეატრალური კვარტეტი მღეროდა. სტუმრებს მასპინძლობას კი საქართველოს პირველი ლედი სანდრა ელისაბედ რულოვსი პირადად უწევდა.

„გოგონა წითელი საჰაერო ბუშტით", „ძიძა", „ორთაჭალის ტურფა", „ხუთი თავადის ქეიფი", – ეს იმ ნამუშევართა ჩამონათვალია, რომელიც ჰოლანდიაში 5 თვეს დარჩება.

– ძალიან მნიშვნელოვანი გამოფენაა. ფიროსმანი აგრძელებს თავის წარმატებულ სვლას ევროპაში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან ახალი სიცოცხლე შთაბერა ყველაფერს. ბედნიერი ვარ, რომ საქართველოს ეროვნული მუზეუმი მონაწილეობს ამ ყველაფერში, – აღნიშნა ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელმა დავით ლორთქიფანიძემ.

საქართველოს პირველი ლედი ნამუშევრების ისტორიას აცნობდა სტუმრებს. როგორც ცნობილი გახდა, გამოფენის გამართვის იდეა 2 წლის წინ გაჩნდა. ჰოლანდიელი მხატვარი დაუკავშირდა საქართველოს პირველ ლედის და უთხრა, რომ ჰოლანდიაში ფიროსმანის ნამუშევრების გამოფენის სურვილი ჰქონდა. ნიკალას ნახატების შთაგონებით რეინოლდს სპეციალური სერიაც კი აქვს შექმნილი. ჰოლანდიელი მხატვარი რეინოლდი საქართველოშიც იმყოფებოდა და ყველა ის ადგილი მოინახულა, რომელიც ნიკალას უკავშირდება. რეინოლდმა 25 წლის წინ ნახა ნიკალას ტილოები, მერე ფილმს უყურა მისი ცხოვრების შესახებ და როგორც თავად ამბობს, ფიროსმანის ცხოვრება, ძალიან გავს ახლანდელ სიტუაციას. ფიროსმანის ნახატების გამოფენის პარალელურად გაიხსნა რეინოლდის ნამუშევრების ექსპოზიციაც.

დორდრეხტის მუზეუმში გაცოცხლებული იყვნენ ნიკალას ნამუშევრების პერსონაჟებიც – ქალი ლუდით, მეთევზე, მარგარიტა. ქართულ გამოფენას აკრედიტებული ელჩებიც ესტუმრნენ. ბევრმა მათგანმა პირველად გაიგო ფიროსმანის შესახებ. როგორც გამოფენაზე აღინიშნა, ასეთი ღონისძიებები მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ისინი უცხოელებს კიდევ უფრო ნათელ წარმოდგენას უქმნიან საქართველოზე. დორდრეხტის მუზეუმში გახსნილი ფიროსმანის ნამუშევრების გამოფენა სექტემბრის ბოლომდე დარჩება.

# სოფიკო ჭიაურელს 75 წელი შეუსრულდებოდა

ეკა ირემაშვილი

ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავს სოფიკო ჭიაურელს 21 მაისს 75 წელი შეუსრულდებოდა. დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მსახიობის ოჯახის წევრები, კოლეგები, მეგობრები და მისი შემოქმედების მოყვარულები შეიკრიბებიან და მის ხსოვნას პატივს კიდევ ერთხელ მიაგებენ.

ამ თარიღთან დაკავშირებით, იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივში მსახიობის დაბადებიდან 75 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა. ეროვნულ არქივში დაცულია ფოტოები, რომელიც მხატვრული ფილმების გადასაღებ მოედანს ასახავს. მათ შორის არის კინოსურათები სოფიკო ჭიაურელის მონაწილეობით. არქივი ინახავს, ასევე, მსახიობის პორტრეტებს, თეატრალურ როლებსა და ბიოგრაფიული ხასიათის ფოტოებს.

– საბედნიეროდ, ჩვენთან ძალიან დიდი არქივია სოფიკო ჭიაურელის, მათგან შეირჩა ყველაზე მნიშვნელოვანი, საინტერესო ფოტოები, ექსპოზიციაზე ქართველი საზოგადოებისთვის საყვარელი ფილმები და სპექტაკლების ფოტოებია. ყველასთვის ცნობილია, რომ სოფიკო ჭიაურელი ლეგენდარული მსახიობის ვერიკო ანჯაფარიძისა და კინორეჟისორ მიხეილ ჭიაურელის ოჯახში დაიბადა. იგი კოტე მარჯანიშვილის აკადემიური თეატრის და რუსთაველის თეატრის მსახიობი იყო. გენიალურ მსახიობს მიღებული აქვს არაერთი საერთაშორისო პრემია და ჯილდო. მას 40-ზე მეტ სპექტაკლსა და 20-ზე მეტ ფილმში შექმნილი აქვს კომიკური და ტრაგიკული როლები, მისთვის დამახასიათებელი არტისტიზმით, ხასიათითა და სტილით, არაჩვეულებრივი პლასტიკით, განსაკუთრებული შტრიხებითა და დეტალებით. ჩვენს მიერ წარმოდგენილ გამოფენაზე გამოფენილია ფოტოები შემდეგი ფილმებიდან: „ჩვენი ეზო", „ვერის უბნის მელოდიები", „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ", „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე", „ამბავი ერთი ქალიშვილისა", „ხევსურული ბალადა", „ფერისცვალება", „წუთისოფელი", „დათა თუთაშხია", „აურზაური სალხინეთში", „ენგურის ნაპირებზე", „ნატვრის ხე", „ვილაცას ავტობუსზე აგვიანდება", „გენერალი და ზიზილები" და სხვა ცნობილი კინოფილმებიდან. დამთვალიერებელს შეუძლია იხილოს სცენები სპექტაკლებიდან: „ბერიკონი", „ტალანტები და თაყვანისმცემლები", „მილიარდერის ვიზიტი", „ეზოში ავი ძაღლია", „ნეაპოლი – მილიონერთა ქალაქი" და სხვა. ჩვენთვის დიდი პატივია, რომ ასეთი გენიალური მსახიობის არქივი ეროვნულ არქივშია დაცული, – განაცხადა გამოფენის გახსნაზე ეროვნული არქივის ხელმძღვანელმა თეონა იაშვილმა.

სოფიკო ჭიაურელის 75 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ცნობილი გახდა, რომ მსახიობის სპეციალური ბუკლეტიც გამოიცა. გამოფენას მსახიობის ოჯახის წევრები, მეგობრები, კოლეგები და მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები ესწრებოდნენ.

– ძალიან საინტერესო ფოტოები აქვთ შემონახული, ერთის მხრივ მის ხსოვნას პატივი მიაგეს, მისი იუბილეც აღნიშნეს, თან ადამიანებს საშუალება ექნებათ, კიდევ ერთხელ გაიხსენონ სოფიკო და ნახონ იგი სხვადასხვა თეატრალურ თუ კინოროლებში, – განაცხადე მსახიობის შვილმა ნიკუშა შენგელაიამ.

სოფიკო ჭიაურელის 75 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა ეროვნულ არქივში 25 მაისამდე გაგრძელდება.

# დაიცავით „ჯარისკაცის მამა"!

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ფილმის „ჯარისკაცის მამა" სიუჟეტი და დრამატურგიული მოტივები, კერძოდ, ცნობილი გახდა, რომ პაატა ციქურიშვილის მომავალი სპექტაკლი დაეფუძნება მამა შვილის ისტორიას ომში თავისი ტრაგიკული ფინალით – მამა და შვილი ომში იბრძვიან, ბოლოს კი ჯარისკაცი მამა შვილის დაღუპვის მოწმე ხდება ბრძოლის ველზე. აქ უდაოდ იკვეთება ფილმის „ჯარისკაცის მამის" დრამატურგიული ხაზი და ფინალი. რასაკვირველია, მამა-შვილის მონაწილეობას ომში ბევრი ანალოგია მოეძებნება საქართველოს უძველეს ისტორიულ წარსულსა თუ უახლეს ისტორიაში, აფხაზეთის ომის ჩათვლით, თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ფილმის „ჯარისკაცის მამა" უნიკალურობა და ორიგინალური სიუჟეტი დიდი ხანია აღიარებულია მსოფლიოს ყველა დროის კინოხელოვანთა თუ კრიტიკოსთა მიერ, ამიტომ კინოსცენარისა თუ ცნობილი ფილმის გამოყენება, გადამუშავება ნებისმიერი ფორმით ან იმავე ფილმიდან დრამატურგიული მოტივების გამოყენება ავტორებთან შეუთანხმებლად, თუნდაც, ეს ხდებოდეს სუპერთანამედროვე ტექნოლოგიებით, ორიგინალური გამომსახველობითი ხერხებითა თუ კინემატოგრაფიული ეფექტებით, აუცილებლად ჩაითვლება პლაგიატობად, შესაბამისად, საავტორო უფლებების უხეშ დარღვევად.

***– საავტორო უფლებების დაცვის ორგანიზაციას არ მიმართეთ?***

– უკვე მივმართე „საავტორო უფლებების დაცვის" ასოციაციას თხოვნით, რომ დაიცვას ფილმთან დაკავშირებული საავტორო უფლებები.

ცhoვყeჯჰcბ



1. ღია მრუდი; 2. კავშირი (გრამატ.); 3. საჭმელი სოკო; 4. წონის ძველებური ერთეული; 5. ... გარდნერი; 6. აზრი, ჩანაფიქრი; 7. არასრული დამბლა; 8. ამერიკული ფილმი-ფანტასტიკა; 9. გიორგი სააკაძის დასჯილი ვაჟი; 10. ... ბუკე; 11. ქალაქი ავსტრალიაში; 12. ვისიმე კეთილსინდისიერებაში დარწმუნება; 13. ქალაქი რუსეთში; 14. წყალსაღებავი; 15. ხასიათის თავისებურება; 16. სანელებელი; 17. ბუნებრივი საღებავი; 18. სანჩო ...; 19. პოლიტიკური გაერთიანება; 20. ტკბილი კარტოფილი; 21. წილი ბიზნესში; 22. ქალბატონი (ინგლისურად); 23. ლიტერატურული ხერხი; 24. ... ალიგიერი; 25. იუპიტერის თანამგზავრი; 26. ალგორითმული ენა; 27. გრ. რობაქიძის პიესა; 28. მექსიკელთა ღვთაება; 29. სიმღერის იტალიური მანერა; 30. საგრილობელი; 31. პატიმრის ოთახი; 32. სამკითხაო ქვიშა.

**ობყფ ყჯვცჰიბ უფვჯმღც.ყც,ეჯბ hჰჯცღჯჰცღც,ბც გფცე[ც,ბ5**

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. შპრეე; 2. ურავი; 3. კონიაკი; 4. მაცა; 5. კალო; 6. მიტარბი; 9. სკანდინავია; 10. პროზელიტი 11. სამტრედია; 14. კობრა; 16. კლიმპი; 18. ფრეგატი; 20. გორგოძე; 23. ჭონი; 24. ალილო; 25. სქური; 26. რაჭა.

**თარაზულად**: 7. ცოლიკაური; 8. პარანომია; 12. საარი; 13. ნაურუ; 15. პანჩი; 17. ბოგდიხანი; 19. ომალო; 21. პერტი; 22. შიფრი; 27. სტიპენდია; 28. ბურჭულაძე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კლინიკა; 2. ხახული; 3. ქუჩაბანდი; 4. საცივი; 5. გრიმალდი; 7. იენი; 11. ნებიერი; 13. შავთელი; 15. ფაცხა; 16. საქსი; 18. დრამი; 19. დიჯეი.

**თარაზულად**: 6. ლაღიძე; 8. ზანდური; 9. პიცერია; 10 ინდიანა; 12. ვისლა; 14. პიკოლო; 17. დივიდენდი; 20. სპეკალი; 21. ჩხეიძე; 22. მცხეთა; 23. ბირთვისი.

# ანდრეა პირლომ ბუფონის მეგობრებს ფული მოაგებინა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ფეხბურთელისთვის თავისი იდეები და მოთხოვნა. ტაქტიკური განსწავლულობით კონტეს კარლო ანჩელოტისა და მარჩელო ლიპიზე მაღლა დავაყენებ. ანტონიომ ბრწყინვალედ იცი გუნდის წინასამატჩოდ მომზადება. კვირის განმავლობაში 3-4-ჯერ გვანახებს მომავალი მოწინააღმდეგის თამაშების ჩანაწერს. „იუვე" ყოველ მატჩს სრულად მობილიზებული და მომზადებული ხვდება. კონტეს წყალობით, მეტოქე ჩვენ გაკვირვებას ვეღარ ახერხებს. ანტონიოს სამწვრთნელო ტალანტი ღმერთისგან აქვს ნაბოძები.

***– კონტეს რაიმე „ამოჩემებული იდეა" ხომ არ აქვს?***

– ანტონიო ნახევარმცველებს კომპაქტურად თამაშს გვაიძულებს. იგი კატეგორიულად გვთხოვს მცველებსა და შუახაზელებს შორის მცირე უთანხმოების აღმოფხვრას.

***– ჩემპიონთა ლიგის მომავალ გათამაშებაში „იუვენტუსს" რისი მიღწევა შეუძლია?***

– დარწმუნებული ვარ, „იუვენტუსი" ჩემპიონთა ლიგის კონკურენტუნარიანი მონაწილე გახდება. გული მწყდებოდა, როდესაც სამშაბთ-ოთხშაბათს ამ ტურნირის მატჩებს ტელეეკრანიდან ვადევნებდი თვალს და შეხვედრებში უშუალოდ არ ვმონაწილეობდი.

***– მილანიდან სკუდეტოს მოპოვების შემდეგ მოსალოცი მოკლე ტექსტური შეტყობინებები მიიღეთ?***

– თითქმის ყველა ყოფილი თანაგუნდელი შემეხმიანა და ჩემპიონობა გულწრფელად მომილოცა.

***– ბერლუსკონი და გალიანი დაგიკავშირდნენ?***

– არა.

***– ტურინელი გულშემატკივრები ბევრს საუბრობენ იმის თაობაზე, რომ „იუვენტუსმა" მესამე ვარსკვლავი დაიმსახურა. თქვენ რას ფიქრობთ ამის თაობაზე?***

– როდესაც „მილანში" ვთამაშობდი ვთვლიდი, რომ „იუვენტუსმა" ის 2 ტიტული მინდორზე კარგი ასპარეზობით მოიპოვა. იმდროინდელი „ბებერი სინიორა" მეტად ძლიერი გუნდი იყო. ტიტულების ჩამორთმევის სამართლიანობაზე საუბარი კი ჩემი საქმე არაა.

# ძლიერი მიწისძვრა იტალიაში

იტალიის ჩრდილოეთით მომხდარ მიწისძვრას 5 ადამიანი ემსხვერპლა, 50-მდე კი დაშავებულია. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, აქედან ორი ინფარქტით გარდაიცვალა. მიწისძვრა ქალაქებში – ბოლონიაში, ფერაროსა და მოდენაში მოხდა. მიწისქვეშა ბიძგების სიმძლავრემ 5,9 ბალი შეადგინა.



დაშავებულია ზუსტი რაოდენობის დადგენა ამ დროისთვის შეუძლებელია. სხვადასხვა მედიასაშუალებები 50-დან ასობით ადამიანს ასახელებენ.

ეპიცენტრი ქალაქ ბოლონიიდან 36 კმ-ში, 5.1 კმ. სიღრმეზე მდებარეობდა.

დანგრეულია შენობები, მათ შორის ისტორიული ნაგებობები.

მიწისძვრამ, ფერარაში რამდენიმე ისტორიული შენობის ნგრევა გამოიწვია. მოდენაში დაზიანდა ეკლესია, სან ფელიცში კი ტაძარი ჩამოინგრა და სერიოზული ზიანი მიადგა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის შენობას.

# საპრეზიდენტო არჩევნები სერბეთში

სერბეთში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური მიმდინარეობს.

„ბი-ბი-სის" ცნობით, საპრეზიდენტო არჩევნებში მოქმედი პრეზიდენტი დემოკრატი ბორის ტადიჩი და სერბეთის ოპოზიციური პარტიის ლიდერი, ნაციონალისტი ტომისლავ ნიკოლიჩი მონაწილეობენ.



ტადიჩს სერბეთის ევროკავშირში გაწევრიანება სურს, ნიკოლიჩი კი მიიჩნევს, რომ ევროკავშირის წევრობა საჭირო არ არის, იმ შემთხვევაში თუკი ბელგრადს ამის გამო კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება მოუწევს.

საარჩევნო უბნები ადგილობრივი დროით 07:00 საათზე გაიხსნა. არჩევნებისთვის 8 390 საარჩევნო უბანია გახსნილი, ხოლო საარჩევნო სიაში 6 მილიონზე მეტი ამომრჩეველია.

არჩევნების პირველი ტური 6 მაისს ჩატარდა, რომელშიც 12 კანდიდატი იყო დარეგისტრირებული. ტადიჩმა ნიკოლიჩს ამომრჩეველთა ხმების 0, 26 პროცენტით აჯობა.

სერბეთი – ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მდებარეობს. ესაზღვრება უნგრეთი ჩრდილოეთით; რუმინეთი და ბულგარეთი – აღმოსავლეთით; მაკედონია და ალბანეთი – სამხრეთით; ხოლო მონტენეგროს, ხორვატიასა და ბოსნია-ჰერცეგოვინას – დასავლეთით.

სერბეთის ტერიტორიაზე მდებარეობს თვითაღიარებული სახელმწიფო კოსოვო, რომლის მოსახლეობის უმეტესობას ეთნიკური ალბანელები შეადგენენ. სერბეთის დედაქალაქია ბელგრადი.

# იტალიაში მომხდარი აფეთქების უკან მაფია დგას

იტალიის ქალაქ ბრინძში კოლეჯის „მორვილო ფალკონეს" შესასვლეთან მომხდარი ორი აფეთქების ორგანიზატორი და შემსრულებელი, შესაძლოა, ადგილობრივი მაფია იყოს. აფეთქების მოწყობის მიზეზებს შესაძლო პოლიცია არ ასახელებს.

ამის შესახებ იტალიური მედია ადგილობრივ პოლიციაზე დაყრდნობით იუწყება. აფეთქების შედეგად 8 სტუდენტი დაიჭრა, მათ შორის ერთი საავადმყოფოში გარდაიცვალა.




ვრცელდება ინფორმაცია, რომ კიდევ ერთი დაჭრილის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა.

ადგილობრივი პოლიციის განცხადებით, ორი აფეთქება დილის 8 საათზე თითქმის სინქრონულად მოხდა. ასაფეთქებელი მოწყობილობა, სავარაუდოდ, განცხადებების დაფასთან იყო დამონტაჟებული.

აფეთქება მაშინ მოხდა, როდესაც სტუდენტები კოლეჯში მიდიოდნენ. სასწავლო დაწესებულებაში პანიკა შეიქმნა.

მაფია (ასევე ცნობილი როგორც კოზა ნოსტრა) – განთქმული იტალიური კრიმინალური საიდუმლო საზოგადოება, რომელიც პირველად მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში ჩამოყალიბდა სიცილიაში. მისი განშტოებები აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროზე და ავსტრალიაში მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს სიცილიური და სამხრეთ იტალიური ემიგრაციის პერიოდში აღმოცენდა. ჩრდილოეთ ამერიკაში მაფია ხშირად ზოგადად ორგანიზებულ კრიმინალზე მიუთითებს და არა მხოლოდ სიცილიურ კრიმინალურ დაჯგუფებაზე.

# რომნი ობამას ეკონომიკური სტიმულირების პოლიტიკას უწუნებს

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატი „რესპუბლიკური პარტიიდან", მით რომნი აშშ-ის პრეზიდენტს, ბარაქ ობამას ეკონომიკის სტიმულირების პოლიტიკას უწუნებს. უცხოური მედიის ინფორმაციით, მით რომნი აცხადებს, რომ თუ ამომრჩეველი საპრეზიდენტო არჩევნებში უპირატესობას ისევ ბარაქ ობამას მიანიჭებს, ქვეყანას ახალი ეკონომიკური კრიზისი დაემუქრება.



რომნი მიიჩნევს, რომ ბარაქ ობამას ეკონომიკის სტიმულირების პოლიტიკა ბიუჯეტიდან მთელ თანხას გაფლანგავს, რაც კიდევ უფრო ძლიერ კრიზისს გამოიწვევს.

მით რომნის ამ განცხადებას ბარაქ ობამას მომხრეები უკვე გამოეხმაურნენ. მათი განცხადებით, რომნიმ მასაჩუსეტსის გუბერნატორობის დროსაც დადო პირობა, რომ ეკონომიკურ პრობლემებს გადაწყვეტდა, თუმცა მისი გუბერნატორობის დროს კრიზისი უფრო გაღრმავდა.

თუმცა მოქმედი პრეზიდენტის ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები რესპუბლიკელებმა ობამას წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ იარაღად აირჩიეს. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ სწორედ ეკონომიკური მდგომარეობა, დიდწილად, ნოემბრის არჩევნების შედეგების განმსაზღვრელი იქნება.

ობამა ამტკიცებს, რომ მისი პრეზიდენტობის დროს მიღებული ანტიკრიზისული ზომები წარმატებული იყო. თუმცა, მან ამაში ამომრჩევლები ვერ დაარწმუნა 2010 წლის კონგრესის არჩევნებზე, როდესაც წარმომადგენელთა პალატაში დემოკრატიულმა პარტიამ უმრავლესობა დაკარგა. ობამა ეკონომიკის სახელმწიფოს მიერ სტიმულირების გაგრძელებას აპირებს. 2010 წელს კონგრესმა მისი ინიციატივით ეკონომიკის სტიმულირების პაკეტი დაამტკიცა, რომელიც 700 მილიარდ დოლარს აღემატებოდა.

რესპუბლიკელები, თავის მხრივ, აცხადებენ, რომ ობამას მთავარი ეკონომიკური „მიღწევა" სახელმწიფო ვალის 10.6 ტრილიონი დოლარიდან და 15.6 ტრილიონამდე გაზრდა გახდა. რესპუბლიკელთა კრიტიკის კიდევ ერთი სამიზნე ობამას ჯანდაცვის რეფორმაა, რომელიც სახელმწიფოს საკმაოდ ძვირი უჯდება.

ობამას ადმინისტრაცია სახელმწიფო ხარჯების სწრაფად შემცირებას არ ემხრობა, ხოლო გაზრდილი საბიუჯეტო დეფიციტის დაფარვას სიმდიდრეზე ახალი გადასახადის დაწესებით აპირებს, რასაც რესპუბლიკელები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან. რადგან, მათი აზრით, ეს ამერიკულ იდეალებს ეწინააღმდეგება.

მიტ რომნი ამერიკელებს დაბალანსებულ ბიუჯეტს პირდება. იგი ერთდროულად გადასახადების შემცირებას და თავდაცვის ხარჯების გაზრდას აპირებს. ბიუჯეტის დეფიციტთან ბრძოლას კი, სახელმწიფო აპარატის მნიშვნელოვანი შემცირებით, ასევე ფედერალური პროგრამების შეკვეცით და მათი ნაწილის შტატებისთვის გადაცემით გეგმავს.

მიტ რომნი ობამას მემარცხენე პოპულისტად მოიხსენიებს და აცხადებს, რომ პრეზიდენტი „ევროპულ სოციალიზმს" აშენებს. 27 აპრილს ოჰაიოში სიტყვით გამოსვლისას რესპუბლიკელმა კანდიდატმა განაცხადა, რომ სახელმწიფო ხარჯებისა და ვალის ზრდამ აშშ „საბერძნეთის გზაზე დააყენა". მისი თქმით, ობამას პოლიტიკა ეკონომიკაში მთავრობის დომინირებას ემსახურება, რაც „სულ უფრო მეტად ევროპას ემსგავსება".

აშშ-ის საპრეზიდენტო არჩვნები 2012 წლის 6 ნოემბრს არის დაგეგმილი.

# ბაშარ ასადის ძმა მოკლეს

სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის ძმა და მისი „მარჯვენა ხელი" მახირ ასადი მისი პირადი დაცვის ერთ ერთმა წევრმა მოკლა. წერს გაზეთი „აშ-შურუკი". ინფორმაციას ამის შეხებ აზერბაიჯანული სააგენტო „ტრენდი" ავრცელებს.

გაზეთის ინფორმაციით, მახირ ასადს ოცდაათი ტყვია ესროლეს, ამის შემდეგ იგი საავადმყოფოში მოათავსეს, დიდი ხნის განმვალობაში რეანიმაციაში იყო და შემდეგ გარდაიცვალა.

სირიის ადამიანის უფლებათა დაცვის სადამკვირვებლო საბჭოს ინფორმაციით, სირიაში, გასული წლის მარტიდან ანტისამთავრობო აქციების დაწყების შემდეგ 12 ათასზე მეტი ადამიანია დაღუპული.



სირიის ხელისუფლება აცხადებს, რომ ანტისამთავრობო გამოსვლების დროს დაღუპულია ორი ათასზე მეტი სამართალდამცავი და სამხედრო, რომელთა წინააღმდეგაც კარგად შეიარაღებული ბოევიკები იბრძვიან.

ამ ფონზე, სირიის აღმოსავლეთ ნაწილში ასაფეთქებელი მოწყობილობებით სავსე ავტომობილი აფეთქდა. აფეთქება ქალაქ დეიზ ეზ-ზორში მოხდა, იმ ქუჩაზე სადაც სამხედრო დაზვერვი შტაბი და სამხედრო ჰოსპიტალია განთავსებული. დაილუპა 7 ადამიანი და დაიჭრა 100-ზე მეტი. ინფორმაციას ამის შესახებ სირიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახური ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, ავტომობილში დაახლობით 500 კგ ასაფეთქებელი ნივთიერება იყო. შემთხვევის ადგილზე გაეროს სამხედრო დამკვირვებლები უკვე იმყოფებიან.

სირიის მოვლენებზე ისაუბრეს კემპ-დევიდში „დიდი რვიანის" სამიტზე. ლიდერებმა, მათ შორის რუსეთის პრემიერ-მინისტრმა დმიტრი მედვედევმაც, აღნიშნეს რომ კოფი ანანის ე.წ ექვსპუნქტინი სამშვიდობო გეგმა, ჯერ კიდევ სრულყოფილად შესასრულებელია და ახლა პოლიტიკური ტრანზიციისაკენ სვლაა საჭირო.

# რუსეთი დიდი რვიანიდან გასაგდებია"

რუსეთის ახალი პრეზიდენტი აცნობიერებს, რომ ჯი8-ის სამიტზე მას არაფერი ესაქმება. წერს „ფორინ პოლისში" გამოქვეყნებულ თავის სტატიაში „პეტერსონის საერთაშორისო ეკონომიკური ინსტიტუტის" მთავარი მეცნიერ თანამშრომელი ანდერს ასლუნდი. „მაშ ჯი7 -მა შეაფასოს სათანადოდ პუტინის საქციელი, – წერს ავტორი. ანდერს ასლუნდი ურჩევს ობამას „გადატვირთვის" „კონცეფციას გადახედოს, ვინაიდან ამჟამად მდგომარეობა შეიცვალა".

ანდერს ასლუნდის აზრით, თუ მედვედევმა პრეზიდენტრად ყოფნისას რუსეთის ურთიერთობა „პრაქტიკულად ყველასთან დაალაგა" ვლადიმერ პუტინმა საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტულ ამოცანად ევრაზიული კავშირის შექმნა დაასახელა.

– ეს არათავდაჯერებულობისა და იზოლაციის ნიშანია, – მიიჩნევს ავტორი. ამის შემდეგ პუტინმა განაცხადა რომ ჯი8-ის სამიტზე არ ჩავა. უარის ოფიციალურ მიზეზს, სტატიის ავტორი „სიმართლესთან შეუსაბამოდ" მიიჩნევს.

– პუტინმა სისტემატიური მოქმედებით, ნახევრად დემოკრატიული რუსეთი ავტორიტარულ სახელმწიფოდ გადააქცია. მრავალი ამბავი დადის მის ყბადაღებულ კორუფციაზე. რაც ვიზამთ, დიპლომატიური ურთიერთობების გამო, შესაძლოა, კავშირი სხვადასხვა ხალხთან გქონდეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დასავლეთმა პუტინი ყველა ფორუმზე უნდა დაპატიჟოს, – აცხადებს ავტორი და ნატო-რუსეთის საბჭოსა და ჯი8-ის გაუქმების ინიციატივით გამოდის.

– რუსეთი უკვე აღარ არის დემოკრატიული ამ სიტყვის ყველაზე ბუნდოვანი გაგებითაც კი და ამიტომაც ჯი8-ში რუსეთის ყოფნის ყველა საფუძველი გამქრალია. ჯი8-ის ლიდერთა შორის პუტინის ყველა მეგობარი – ბერლუსკონი, შრედერი, შირაკი „წავიდნენ და სამართლიანადაც იყვნენ დისკრედიტირებულნი", – მიიჩნევს ავტორი.

მისივე აზრით, ობამამ პუტინი-პრეზიდენტი უნდა უკუაგდოს. ობამამ პუტინს უნდა გააგებინოს, რომ მას არ შეხვდება მანამ, სანამ აშშ-ს ელჩის მაკფოლის დევნა არ შეწყდება.

მისივე აზრით, ჯი8-ის სამიტთან დაკავშირებულ სიტუაციაში ობამამ „თავის დამცირების საშუალება მისცა". „ობამას მისთვის უნდა ეთქვა, მისთვის გასაგებია, რომ პუტინს სამიტი არ აინტერესებს, ვინაიდან რუსეთი უკვე აღარ არის დემოკრატიული და ამიტომაც ჯი7 -ს ამ კლუბში რუსეთის დაპატიჟების არავითარი საფუძველი არ ექნებოდა".

ხოლო რაც შეეხება საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებს, ავტორის აზრით, აქ – ჯი20 -სა და ვმო-ში რუსეთს სიხარულით უნდა მიესალმოთ.

– ამერიკა დაინტერესებულია შემოსავლიან ვაჭრობაში რუსეთთან, მაგრამ აშშ ასევე დაინტერესებულია იმით, რომ რუსეთს თავის ადგილზე მიუთითოს, – აცხადებს ანდერს ასლუნდი და დასძენს, რომ ობამას პუტინის მიმართ მონური დამოკიდებულება აქვს, რაც მხოლოდ და მხოლოდ დააზარალებს აშშ-რუსეთის ურთიერთობებს. ჯი8-ის ქვეყნები ერთად წარმოადგენენ მთლიანი შიდა პროდუქტის 65%-ს, სამხედრო ძალის უმეტესობას და თითქმის მსოფლიოს ყველა მოქმედ ატომურ იარაღს. რვა ქვეყანა, რომლებიც შედიან ჯი8-ში, დაახლოებით მსოფლიო მოსახლეობის 14%-ს წარმოადგენენ, მაგრამ ითვლიან მსოფლიო ეკონომიკის 65 %-ს.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

# TV პროგრამა

**ოხშაბათი 21 მაისი**

07.30 ჩვენი დილა 09.00, 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 11.00 სამოთხის ვაშლები 12.45 ვახო სანაიას რეპორტაჟი 13.45, 06.00 დოკ. ფ. "მსოფლიო ოდისეები" 14.15 10 პლუს 10 15.15 ჩვენი ფერმა 17.00, 05.20 დოკ. ფილმი "რომი: იმპერიის აღმავლობა და დაცემა" 18.00 პეპე და მეგობრები 19.00 მოამბე 19.05 სერ. **"არც ასე, არც ისე"** 21.00 სერ. **"დეტექტივი"** 22.00 აუდიტორია 23.00 საფეხბურთო მიმოხილვა 23.30 მედიამონიტორი 00.30 საფარი 01.00 მოამბე 01.20 მხ. ფ. **"კარს მომდგარი მტერი"** (15) (დ. ლოუ) 03.35 მხ. ფ. **"დამიჭირე თუ შეგიძლია"** (ლ. დიკაპრიო)

08.00 დოკ. ფილმი 09.00 ან. ფილმი 10.30 საბ. ფ. **"წითელქუდა"** 12.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 13.00 მხ. ფილმი **"ნაბიჯი წინ"** 14.30, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 16.00 დოკ. ფილმი 16.45 სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** 19.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 20.00 მხ. ფილმი **"პოსეიდონის თავგადასავალი"** (ა. ბოლდუინი) 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ. ფილმი **"ზარი-2"**

07.30 იმედის დილა 10.05 სერ. **"მოპარული ბედნიერება"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.30 ქრონიკა 11.30 სერ. **"უკვდავი ამბავი"** 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** 16.00 ხანუმა 17.40 სერ. **"მეწამული ცა"** 18.40 სერ. **"შურისძიების სახელით"** 21.00 სერ. **"მემკვიდრეები"** 22.00 რომ გადახვალ, გააჩერე 22.20 მხ. ფილმი **"უდიპლომო სასიძო"** 23.50 კულინარიული დუელი 01.15 მხ. ფილმი **"თაფლობის თვე"** (ს. მილერი) 02.55 მხ. ფილმი **"ცოდვის ქალაქი"** (15) (ტ. სკერიტის)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"დედის გული"** 11.00 სერ. **"კლონი"** 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 06.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.30 იღბლიანი ბორბალი 17.00 სერ. **"ტერეზა"** 18.45 სერ. **"მგზნებარე გული"** 19.50 სერ. **"ველური ყვავილი"** 22.00 ნიჭიერი 23.30 შერეკილები 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. **"მარია ემილია"** 09.45, 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 10.00 მხ. ფილმი 12.15 სერ. **"მისი სულის მუსიკა"** 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 პულსი 16.00 იცხოვრე ფეხბურთით 17.10 სერ. **"ველური მთვარე"** 18.00 მხ. ფილმი **"თამაში"** 20.00 სერ. **"ვნებათა მიწა"** 21.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 22.00 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 სერ. **"სკოლის მეგობრები"** 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. **"ქალი გაიცნობს"** 12.50, 19.35 სერ. **"დედოფალი და კარდინალი"** 13.50 1000 წვრილმანი 15.15, 19.35 სერ. **"სკოლის მეგობრები"** 15.50 დოკ. ფილმი 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 21.00 ზღაპრის კონა 23.00 სახლი ბათუმში 23.30 მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** 08.30 განთიადი 10.00, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55 ისტორიის დღიური 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.30 ლექსით ქებათა ქება 10.35 კვირიაკე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.05 საეკლესიო კალენდარი 12.10 მხ. ფილმი **"იყო შაშვი მგალობელი"**. 13.30 კონცერტი – სოფიკო ჭიაურელის ხსოვნის საღამო. 15.05, 18.53, 22.55 ერთი ნივთის ისტორია. 15.10 განთიადის სტუმარი. 15.30 სპექტაკლი **"პატარა უფლისწული"** 17.15 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.40 დოკ. ფილმი "კადრს მიღმა". 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 18.10 გუთნისდედა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00 სიახლენი 19.20 მხ. ფილმი **"რაც გინახავს, ვეღარ ნახავ"**. 20.40 ძილი ნებისა 21.05 ფატრიარქის ქადაგება. 21.20 საღვთისმეტყველო საუბრებიც 22.00 სიახლენი 22.25 მოკ. ფილმი **"გამსვლელი პაიკი"** 23.00 საღამოს ლოცვა. 23.15 დოკ. ფილმი "თბილისის თავგადასავალი" 00.10, 02.30 სიახლენი. 00.35 განთიადის სტუმარი 00.55 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები.

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba

2 maisi


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,639

ევრო — 2,1551

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6114

რუსული რუბლი — 0,0549

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21–25, ღამით — 10–14

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18–21, ღამით — 8–10

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 19–23, ღამით — 7–9

ამინდის პროგნოზი 21 მაისისთვის





**8 მაისიდან**

გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად „ისტორია და ამოუცნობი სამყარო“ მეოთხე ტომი

**მასონები**



გამოსულია:

პირველი ტომი **ტირანები**



მეორე ტომი **100 გამოჩენილი მხედართმთავარი**



მესამე ტომი **კანიბალიზმის ისტორია**



გამოსაცემად მზადდება:

- უდიდესი ბრძოლები
- 100 ლიდერი, ვინც შეცვალა ისტორია
- 100 გამოჩენილი მეცნიერი
- მასონები - იდუმალი საქმო
- მაფიის ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი



**4 მაისიდან**

**ახალ თაობასთან“ ერთად**

ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი

პირველი ტომი

ფასი 6 ლარი


## fcnhjghjuyjpb @! ვფბცბცსებც

### .ღცაფვ უფბსღფჯაბცობყცს= წარმატებული დღეა

**ვერძი** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **კურო** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **ტყუპები** — სახლში სიახლეა, მნიშვნელოვანი ამბავი გელით. **კირჩხიბი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად აკეთეთ თქვენი საქმე. **ლომი** — ახალი საქმე გაამართლებს, სწორად შეარჩიეთ პარტნიორები. **ქალწული** — დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, მთავარია არ შეჩერდეთ. **სასწორი** — კარგი დღეა შრომისა და გარჯისათვის, შედეგი არ დააყოვნებს. **მორიელი** — ინფორმაცია გადაამოწმეთ და ისე იმოქმედეთ. **მშვილდოსანი** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **თხის რქა** — ახალ ცხოვრებას იწყებთ და ეს გახარებთ. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, ყველა საქმე გამოგდით. **თევზები** — ფულის პრობლემას მეგობრები მოგიგვარებენ, არ იდარდოთ.

უბცეჰღა,ს ,ტღყბტჰ ღქტც=

## ჩემპიონთა ლიგა არისტოკრატული გახდა

გვ.9



## ტატუირებულ მოხელეებს სახლში გაუშვებენ



იაპონიის ქალაქ ოსაკაში მოხელეებს ამიერიდან, არათუ მხოლოდ დრეს-კოდის დაცვას აიძულებენ, არამედ — სხეულის გაწმენდასაც სვირინგისაგან. ქალაქის თავი, ტორუ ხასიმოტო, რომელიც პროფესიით იურისტია, იბრძვის სხეულის სისუფთავისათვის. თავისი ქვეშევრდომები მან გააფრთხილა — თუ არ მოიცილებენ ტატუს, შეუძლიათ ეძიონ სხვა სამსახური.

როგორც იაპონური გაზეთი „ასახი“ აღნიშნავს, მერი თავის მკაცრ დადგენილებას ხსნის იმ გარემოებით, რომ ადამიანები, რომლებიც ახალგაზრდა ასაკში ისვირინგებენ სხეულს, მომავალში ნანობენ ამ საქციელს.

პოლიტიკოსების რეაქცია უცნობია, მაგრამ სიახლე რომ დიდ სირთულეებს გამოიწვევს, ფაქტია — ქალაქის მოხელეთა 98% ტატუირებულია: სვირინგი ზოგს სხეულის მხოლოდ ხილულ ან მხოლოდ ფარულ ნაწილებზე აქვს, ზოგსაც როგორც ხილულ, ისე — ფარულზე.

იაპონიაში უყვართ ტატუირება, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მთელი „შემოქმედება“ დაკავშირებულია მისტიკური ურჩხულების გამოსახულებებთან. სხვათა შორის, სწორედ მსგავსი გამოსახულებით მიეცა საბაბი ქალაქის მერის გადაწყვეტილებას — სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა თავისი ურჩხულიანი სვირინგით დააფრთხო ბავშვები.

სვირინგი, ანუ ტატუ, თითქმის 6000 წლისაა. მეცნიერებმა ტატუირებული სხეული მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში აღმოაჩინეს, მათ შორის ყველაზე ძველი ეგვიპტეში 4000 წლის მუმიების კანზე ნახეს. ტატუ ყველაზე პოპულარული იაპონიაში გახლდათ, ხშირად გვინახავს თავიდან ფეხებამდე მოხატული ინდიელებიც.

ტატუს ევროპაში გავრცელებასთან დაკავშირებით უამრავი აზრი არსებობს. ერთ-ერთი ვერსიით, იგი მას შემდეგ გავრცელდა, რაც კაპიტანმა ჯეიმს კუკმა ტაიტიში მოგზაურობის შემდეგ, 1769 წელს, მთლიანად მოხატული გვამი ჩამოიტანა. თავად სიტყვა ტატუც ტაიტური წარმოშობისაა და ნიშნავს: „ჭრილობას“, „ნიშანს“, „ნახატს“.



## hჰჯცეღჯჰლბ ფ

**თარაზულად:** 4. ძვირფასი ნივთების შესანახი ყუთი; 6. გვამის დაწვა; 8. გაიდიალება; 10. სურნელება; 11. სამეურნეო იარაღი; 12. ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ჯგუფი; 14. ავადმყოფური მისწრაფება რაიმესადმი; 17. აზელილი კარტოფილი; 19. ბამბის ბადურა ნაქსოვი; 20. ნაზმატყლიანი ცხვრის ჯიში; 21. ბერძნული ანბანის ასო; 22. სულიერი განწმენდა; 23. მამაკაცის საჩიხიანი ქუდი.

**შვეულად:** 1. მიწის დონეზე დაბლა მდებარე შენობის ნაწილი; 2. აკლდამა, სამლოცველო; 3. ლითონის ფული თურქეთში; 5. ობობას ქსელი; 7. არამშობლიური მხარე; 9. ქუჩების რთული, დახლართული განლაგება; 13. ქალის დილის ხალათი; 15. მაგარმერქნიანი ხე; 16. რაიმე საგნის შემცირებული ნიმუში; 18. გამის პირველი ძირითადი ბგერა.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

## ედი მერფიმ ნიუ-იორკის სახლი გაყიდა



51 წლის კომიკოსმა მსახიობმა ედი მერფიმ ნიუ-იორკში მდებარე საკუთარი მდიდრული სახლი გაყიდა, რომელიც ცნობილმა მსახიობმა 7 წლის წინ ააშენა.

სახლის საბაზრო ღირებულება 30 მლნ დოლარზე მეტს შეადგენდა, თუმცა სახლს მყიდველი არ გამოუჩნდა და საბოლოოდ მსახიობმა სახლი 12,75 მლნ დოლარად გაყიდა. შესაბამისად, სახლის გაყიდვისას ედი მერფიმ 18 მლნ დოლარით იზარალა.

ედუარდ (ედი) რიგან მერფი (3 აპრილი, 1961, ბრუკლინი, ნიუ-იორკი) ამერიკელი მსახიობი და კომედიანტია, რომელსაც მიღებული აქვს ოქროს გლობუსი 2006-ში. იგი ასევე იყო ოსკარის კანდიდატი 2001-ში.

გ.მ.